



შანთული მედიუმობა

სრ. საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის
ყოველთვიური ჟურნალი

წელიწადი მეოთხე

10



მკბრევერი—1929
თბილისი

საქართველოს
კარლამუნდის
მრეწვეული
ბიბლიოთეკა

F 719

1929

პასუხისმგებელი რედაქტორი ს ი მ ო ნ ხ უ ნ დ ა ძ ე

სარედაქციო კოლეგია

- ბ. ბუაჩიძე
- ვ. კოტეტიშვილი
- თიციან ტაბიძე
- ლ. მ. ჭიაჩელი
- მ. ასათიანი

საუპარი ასოთაგჳოტან ჩემი წიგნის დაბეჭდვის ღრუს

— რა ეშმაკი ხარ! კაცო, საიდან
იგონებ ასეთ უცნაურ თემებს?
მე მიყვარს შენი წერის ყაიდა,
რომელსაც ბევრი ვერ დაიჩემებს.
აი, ეს წიგნიც! თავის მგოსნებით
მუშებით, ჰამქრით და ხელოვნებით,
თითქმის, ყოველმხრივ საყვარელია...
მაგრამ მკვდარს, სოსო, აღარ ელიან
და შენც „წარსული“ არ გეყო განა?
გაჰხედე ირგვლივ! ყველგან ქარხანა
გუგუნებს მტრების ხმის დასაფოლად.
უნდა შეიგრძნო ახალი ხანა!
უნდა უმღერო რკინას და ფოლადს!

— ბაღლობიდანვე არა მქონია
საასპარეზოდ დიდი ფართობი
და ჩემს ლექსს ლამაზს, ვიწროფონიანს,
დასჩემდა ოხვრა ძნელ-გასართობი.
არა მჭერია ხელში მახვილი,
ეპიგრამივით მჭრელი და ბასრი;
„მასწავლეთ წიგნი!“ — ჩემი ძახილი
არვის ესმოდა შეითანბაზრით.
და ასე, ძმაო, მეც უნებურად
ვცხოვრობდი ჩემში, ჩემთვის, ვნებურად,
და დავაგროვე ლექსებში ხვადად:
მზე, სილამაზე, კოცნა და მკერდი, —
რა მქონდა ობოლს წასაკითხავად:
„ყარამნიანი“ და „ეფრემვერდი!“

— ეხლა ხომ, ბიჭო, ის აღარ არის,
 რაც იყო ძველად, იმ ღუბჭირ დროში?
 ძველს ჰფარავს ფერთლი სიჭალარავის,
 ახალი—ჰხარობს წითელი დროშით.
 რად გვინდა შენი დაარხივება,
 გაყვითლებული კაბადონები;
 აღარ არიან დღეს ბატონები
 და არც ღმერთი სჩანს ცაში სხივებად!
 შენ კი მასალას წარსულში ხვეტავ,
 არ გწამს მიღწევა უზარმაზარი,
 აღმშენებლობა წინ მიდის... ჰხედავ?
 მაკრატლით გასჭრეს შუაბაზარი!
 ჰხედავ, ტრამვაი როგორ აშუქებს?
 ჰხედავ, ძველ ჩიხში როგორ შევიდა?
 — აი, ეგ მომწონს!... იმ ვიწრო შუკებს
 რევოლუცია თუ უშველიდა!
 — ან ჩვენ რომ დავთმეთ სარდაფები და
 მზეზე წიგნს გიწყობთ, არაფერია?!
 — აკი რითმების დაფდაფებიდან
 პროლეტარები თქვენთვის მღერიან?
 — მუშა მძლავრია! ნუ ჩავთვლი დუნეთ!
 მთელი მსოფლიო მის წინ ზიმზიმებს.
 — მუშა მძლავრია, მაგრამ მერწმუნეთ,
 ვერ ასწევს მგოსნის სიტყვის სიმძიმეს!
 — მაშ, შენის აზრით, ჩვენს ვაჟკაც ზაგეს
 არა სჭირია პოეტის ქება?
 — იცი? ზაგესი იმდენი აქეს,
 რომ ამდენ ქებით ის ილაქება...
 ვინც კი დაიწყებს ლექსების წერას,
 აქებს ან ზაგეს, ან მუშის წერაქვს,
 თითქოს საბჭოთა კულტურულ დონეს
 სხვა მიღწევები აღარა ჰქონდეს!
 — ვერას დაგვაკლებს მტერი მოხეტე,
 საბჭოთა მხარე მაგრობს კლდესავით.
 რა ვიცი, ძმაო, მიხედ-მოხედე,
 განა ცოტაა გასალექსავი—
 რომ ლექსის ნაცვლად რჩეობ სიმუნჯეს?
 — მე მტერს სხვა მხრიდან ვესვრი ქიმუნჯებს...
 ვწერ გამოკვლევებს... მიყვარს მშრომელი...

— რად მიატოვე ლექსი, რომელიც
 ჩვენო პოეტო, ასე გიყვარდა?
 — ლექსი მოძველდა და ამის გარდა,
 არ ფასობს ეხლა წმინდა ლირიკა.
 — ჰო... რა თქმა უნდა, დღეს „ტყეში წამო!“
 ან „ოქროს ფეხი“ და ან „მი-მი-კარ!“
 არ არის თემა ნორჩი, ახალი...
 ბოლოს და ბოლოს უნდა იწამო,
 აღსდგა ქვეყანა ნაპარტახალი...
 და დღეს, როს მეფობს ქარხანა, რკინა,
 და დღეს, როს მეფობს გლეხი და მუშა, —
 ეგ შენი ნიჭი რად გაიყინა?
 ეგ შენი ნიჭი რად შეიკუმშა?
 — მე შეიძლება ვერ ვწერდე ისე,
 როგორც შეპფერის ახალ დროებას, —
 ამისთვის უნდა მჩხვლეთდეთ სადგისებს
 და „თანამგზავრებს“ კუდში მოვება?
 კარგი... ვსთქვათ... ლექსი ვერ მოგიძღვენით,
 ნუ თუ ამიტომ მტერი ვარ თქვენნი?
 არ მიყვარს სისხლი, ომი, ბრძოლები,
 მიყვარს სუყველა ჩაგრულ-ვნებული.
 და თქვენც ხარივით არ გერჩოლებით
 წითელი ფერით გაგიყებული.
 ვმუშაობ ჩემთვის ჩუმად და ყუჩად,
 ვეძებ არხივში ყვითელ ციტატებს.
 ო, ნუ აიგდებთ ჩემს ნიჭს აბუჩად,
 რომ დღეს ლექსები აღარ მიტაცებს, —
 სულ სხვა სფეროსკენ მივმართე შიმშა...
 — ხალხს ლექსი უნდა! ხალხი დაიმშა!
 — ეხ, მოვრჩეთ, ძმაო, კამათს და ნისლვას,
 ამაოდ მავსებთ საყვედურებით,
 ახალი ქვეყნის ზრდასა და წინსვლას
 ჩვენ სხვადასხვა მხრით ვემსახურებით!!

1929 წ.

—:—

12 ვეფხი

ლალის ალამი ფრიალებს,
ვეფხების არი მარულა.
შუბები ისევ პრიალებს
რომლებიც ბევრჯერ ხმარულა.
შუბები მესრათ არტყია
ბრძოლებით ნაშენ სამყაროს.
გული არწივის ბარტყია—
იარალ ვერვინ ამყაროს.
ვერვინ დააბას, დააგეშოს
ოქტომბრის ვეფხნი კალოზე,
წაიღებს ქარი, ვით ნემოს,
ღუშმანის გუმანს ალოზე.
ვეფხთაგან გზა ნატორალი
კვლავ ვარსკვლავებმა დათოვა.
ცაში აფრინდა ტოროლა
გალობით ბუდე დატოვა.
მზეც თითქო ოქროს ქორია
მოფრინავს მთების წვერებზე.
ხევებში კიდევ თქორია,
კიდევ ნისლია სერებზე.
ალიონიდან სცემს კვერი,
ზეიმობს მოჯამაგირეც
რადგან მზეს მოსდევს ბოკვერი
თორმეტი ვეფხის მაგიერ.
ეს მეცამეტე წელია
გამარჯვებების მტევანი.
და მშრომელს მაგარ წელიანს
ველარ ღლის ღამის თევანი.
უხარის ლაშქარს მოკვერილს
გულები აყვა ტოროლას,
რადგან დაადგა ბოკვერი
თორმეტი ვეფხის ნატორალს.

რუსის პროლეტარი
 EIN RUSSISCHER PROLETARIER

დახეთ

ამ ფოლადის ობობებს,
 ბოლოჯის გარშემო დაფანჩულს.
 სახსარში მოდრეკილ კრანებს!
 მშიერებს არ გვქონდა პური
 და ძილი შრომისგან დაქანცულს.

* * *

როცა

ლენინი

გამოგვეცალა, შეჰტოკდა მიწა
 როგორც მეწყერი.
 ვსთქვით: ჩაესვენა სიცოცხლის ძალა
 წამოგვეძალა
 მუშების მტერი.

როცა ლენინი

გამოგვეცალა,
 ვსთქვით: შეტორტმანდა
 ზეცის ეთერი.

* *

მაგრამ ხელები, მუშის ხელები
 ბელადთან რკინებით დამაშვრალელები
 გავმართეთ ისევ, და გავახილეთ
 (ცრემლით ნაპკური მუშის თვალები!)
 და ასე ძმაო მისი ცხედარი
 მიგვქონდა მხრებზე—დროშა მაღალი.

* *

მიგქონდა დროშა და გაისმოდა
 მილიონების მქუხარე მარში...
 და შივდიოდით თითქოს ბრძოლაში
 და შივდიოდით თითქოს ლაშქარში.
 ვსევვე როგორც ერთხელ კრონშტატში
 თავს რომ დაგვესხა მძვინვარე მტერი,

ან პერეკოპთან, თეთრ გენერალებს
რომ მოეუგრიხეთ სქელი კისერი.
მიგვექონდა დროშა და გაისმოდა
მილიონების მქუხარე მარში
და მივდიოდით თითქოს ბრძოლაში
და მივდიოდით თითქოს ლაშქარში.

* * *
ხომ ურყევია ის დებულება,
ნევა, ყინულით გადახორცილი
არ შეჩერდება, რა გინდ ემძიმოს
გარს შემომდგარი ყინვის ბორკილი.
განაგრძნობს დენას
დაუგეშავი.

ისიც სწორია: არ გასწორდება
მონგოლეთის მთა მოუხეშავი,
ასევე გვეჯერა:
რომ წითელ რუსეთს
ვერ დააოკებს,
დროების ქარი...
და მთელს მსოფლიოს წარგრაგნავს
ერთხელ,
აქ დანთებული დიდი ხანძარი.
ჰორიზონტებზე ტყეთა ჯაგარი...
ყინვის ტრამალი
თვალშეშვალი...
დაჰგელავს ქარი
და გაშლილ სტეპებს გადასძრობია
ნისლის უვალი.

გვაცალეთ ცოტა, ჩვენ გავექცევით,
ჩვენ თავს დავახწევთ წყვდიადის ბჭალებს,
და ვისაც სხივი ველარ მისწვდება
ჩვენ ჩავუღვწავთ თავისა ქალებს.

წინ წასასვლელად
გვინდა ტრაქტორი.
არ ვიმუშავებთ აწი ერქვანზე
ელექტროს შუქი ბნელეთს გააპობს,
და სიდუხჭირე დაგვრჩება განზე.

უ. უ.-ს თარგმანი გერმანულიდან.

მ ა ნ თ ი ა ღ ი ს ა ს

ქარხნის მუშების გაფიცვა კარგა ხანი გაგრძელდა. მხოლოდ გუშინ საღამოთი გავრცელდა ხმა რომ მხარეები შეთანხმდნენ. თუმცა, რა ფასი აქვს ამას, ძლიერ ხშირად ხდება ასე.

იუზეფი, სიმართლე რომ ითქვას, იმიტომ წავიდა გაფიცულთა ბანაკში რომ უფასოდ პაპიროსები მიეღო და არა იმისთვის რომ მათი პროგრამები მოესმინა, ან და მოთხოვნების პუნქტები წაეკითხა.

„უფროსებთან საქმე რისთვის გავიფუჭო, მეორე მხრივ კი, რას ვკარგავ, ჩვენი ბიჭები ბევრს თავისას გაიტანენ და მე უკეთეს მდგომარეობაში ჩავვარდები, ვიქნები ჩემთვის ცალკე, როგორც უმრავლესობა სჩადის“, ეუბნებოდა თავის თავს იუზეფი და ამ სიტყვებით თითქოს იმშვიდებდა კიდევ თავს.

ის მხოლოდ გაფიცვის გათავების მოლოდინში იყო. მას არ უნდოდა შტრეიკბეხერობა, ღმერთმა დაიფაროს, ხომ სცემენ კიდევ; და რომ იუზეფი შტრეიკბეხერად არ ჩაეთვალათ გამოცხადდა გაფიცულთა ბანაკში. ის უსმენდა მფრთხალი და კარგ ყურადღებას ვერ იჩენდა, მაგრამ ერთი რამ მაინც გაიგო და ისიც სასაცილოდ მოეჩვენა.

პატარა ფეკეტე, სამჭედლო ამქრის მუშა გაიძახოდა:

— ჩვენი, მუშების ცხოვრება სულ სხვანაირია, ის არ ჰგავს სხვებისას. ჩვენ სულ სხვაგვარად ვგრძნობთ ცხოვრებას. თავისებური დამოკიდებულება გვაქვს ნივთებსა და საქმესთან. ცხოვრებაში სულ მათ წინააღმდეგ მივიმართებით, ისინი კი ჩვენს წინააღმდეგ. ამიტომ აუცილებელია რომ საკუთარი კანონები გვქონდეს, კანონები რომელიც დაგვიფარავდა მეპატრონეებისაგან.

— საიდან იღებს ასეთი პატარა, ვილაც უმნიშვნელო მჭედელი ამდენ ინტელიგენტურ აზრებს,—საკუთარი კანონები, თავისებური კანონები?!.. საკვირველია მაგრამ ეს აზრი ყოველი მუშის ტვინში მაინც ლურსმანივით იჭედება.

გუშინ იუზეფმა ეს ბატონ პეტრაშოს უამბო, ის საყალიბო განყოფილების უფროსია. უყვარს ზოგიერთი მუშის ხელის შეწყობა. მისგან იუზეფმა ცოტა ფული ისესხა. ეს მცირე ხნით; გაფიცვის დამთავრებამდე...

მან კი სიცილით უთხრა:

— იუზეფ, შენ ყველაფერს თვალყური ადევნე და მიახლო ხოლმე თუ ვინ რას ამბობს, მე ეს ისე, გასართობად მინდა, — თანაც მხარზე ხელი დაარტყა, გესმით თქვენ, პეტრაშომ მუშას მეგობრულად მხარზე ხელი დაარტყა.

ბატონ პეტრაშოს ყველაფერი შეიძლება უამბო. ის პროფკავშირის წევრია, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრიც კი არის; მაგრამ იუზეფმა გონებაში იჭვიანად მაინც გაიტარა:

„მისი ჯაშუში ხომ არ გავხდები, ის იმასაც კი არ უამბობდა პატარა ფეკეტემ რომ სთქვა, ისე სასაცილო რომ არ ყოფილიყო“.

ყველაფერი ეს რამდენჯერმე გაიტარა იუზეფმა გონებაში ვიდრე ქარხანას მიუახლოვდებოდა. ტრამვაიმ სწრაფად დაჰტარა გზა და იუზეფი უკვე ქარხნის კედლებს შესცქეროდა.

განთიადი იყო, ლურჯი განთიადი, და ქარხნის ალყაფის კართან უკვე მრავალი მუშა დაგროვილიყო.

— გაფიცულები!... დამცინავად გაიფიქრა თავისთვის იუზეფმა და ქარხნის ბჭეში შესდგა ფეხი.

აქ კი უფროსებთან სულ სხვა რამ დაუხვდა...

— უკაცრავად! ეს როგორ?.. საყალიბო განყოფილების გამგეს, ბატონ პეტრაშოს ჰკითხეთ, ის დაამტკიცებს რომ მე გაფიცულებში არ ვერიე, მე გავიფიცე ისევე, როგორც ყოველი სხვა. და ვინ მოიმოქმედა ეს, რა უფლების ძალით, რის გამო?!..

არაფერიც არ დაამტკიცა ბატონ პეტრაშომ.

ასე შეთანხმდენ მხარეები და იუზეფი მოხვდა იმ ჯგუფში, რომელთაც დღეს ითხოვდენ.

ბატონ პეტრაშომ არაფერი არ მოსთხოვა იუზეფს დამატებით, თუმცა როცა ვინმეს ფულს ასესხებდა სარგებელსაც ართმევდა. იუზეფს იმდენი ფული არც მიუღია რომ სარგებელიც მიეცა. გაისტუმრებდა მხოლოდ ვალს და რჩებოდა ტრამვაის ფული რომ სახლში დაბრუნებულიყო.

ასეთ შემთხვევაში ადამიანს საჭირო სიტყვები ავიწყდება. ტვინი ეყინება, ფიქრები ჰქრებიან და მხოლოდ ხელები და ფეხები მოძრაობენ მექანიკურად.

ასე დაემართა იუზეფსაც. გულმა შეუწყალებლად ცემა დაუწყ-
ყო. პირი ღია დარჩა. ფეხებმა სულელურად და გამგონედ გაიყვან ეს
ქარხნის კარების გარეთ.

რა კარგი იქნებოდა რომ ასეთ წამს მოხდეს მიწის ძვრა, ხან-
ძარი, ან კიდევ რამე სხვა უფრო საშინელი, უფრო საზარელი.

ტრამვაიში სიმშლი იგრძნო. ეს მას უსიამოვნოდ დაურჩა და
ძალიანაც აღიზიანებდა. ქალაქს რომ მიუახლოვდა სიმშლი გაუ-
ძლიერდა.

ფული დაითვალა. ძლიერ ცოტა აღმოაჩნდა.

გაიფიქრა: საავადმყოფო სალაროში წავალ; მაგრამ იქვე გაახ-
სენდა, რომ სავსებით ჯანსაღი იყო.

დამატებითი ბილეთის აღება რომ არ აეძულებინათ ტრამვაი-
დან გადმოვიდა ფული ხელმეორედ გადასთვალა, სულ საჭკელზე
ფიქრობდა.

ფრთხილად გამოკვანდა ცხვირსახოცის ყურში მთელი თავისი
თანხა და ფრთხილადვე ჩაიდო ჯიბეში.

ზაფხულის თბილი და მშვენიერი დარი იყო. ქალაქი მას უც-
ნაურ სურათად წარმოუდგა. იუზეფი ღიმი ხანია გადაეჩვია დღის
სურათებს და დღის სანახაობებს.

საჭმლის მწვავე სუნი გამოვარდა იათფასიან სასადილოდან და
ცხვირში ეცა იუზეფს. ამ საჭმლის სუნზე უნებურად გაჩერდა. სიმ-
შლის ინსტიქტს დაემორჩილა და სასადილოში შევიდა. კარებში
ვიღაც გამოწყებულ ყმაწვილს დაეჯახა, რომელსაც თმიდან ვარდის
წყლის სურნელი ასდიოდა.

„გაიძვერა“, გაიფიქრა იუზეფმა, მას კი ხმამაღლა უთხრა:

— ბოდიში!..

ის მშვენიერი მოკრძალებით უკან დაიხია და თავის წინ გაა-
ტარა იუზეფი.

სასადილოში არავინ არ იყო გარდა დიასახლისის, რომელიც
დაზგის უკან იდგა და თავისი მკრთალი უფერული თვალებით ისე
შესვკეროდა კარებს, თითქოს მუშტრებს შემოსვლას ევედრებო.

მან იუზეფს რატომღაც განცვიფრებით შეხედა.

— მომიტათ სასისკი პურით, — წამოიძახა გაბოროტებულმა
იუზეფმა.

— შავით თუ თეთრით?...

— თუ შეიძლება შავით. — უპასუხა იუზეფმა, რადგან შავი პუ-
რი უფრო იაფი ღირდა.

ვიდრე დიასახლისი სასისკს ხარშავდა, იუზეფმა დაზგაზე მდებარე საჭმელები დაათვალიერა. იქ ეწყო კალბასი, ყველი, ნაირ-ნაირი თევზეულობა. მან განზრახ თვალი მოაშორა ყველა ამას. არ სურდა მისი ჭამა მხოლოდ იმიტომ, რომ არასოდეს არ უგემნია მას ისანი.

თუმცა არც ეს არის საესებით მართალი. ამ წუთში მან გაიხსენა თავის სამხედრო სამსახურში ყოფნის წლები. მოაგონდა რომ ერთხელ იტალიის ფრონტზე ის ისე გამოძღა თევზის კონსერვებით რომ სამი დღის განმავლობაში ციებ-ცხელებაში იყო. მოგონებები ნათელი და გარკვეული იყო. მისი გონება მექანიკურად მუშაობდა.

როდესაც დიასახლისმა მის წინ მაგიდაზე სასისკი დასდო, იუზეფმა შეატყო რომ დიასახლისს მისთვის რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მორიდების გამო ბაგეგაუხსნელად შეტრიალდა დაზგისაკენ. იუზეფმა არც კი დაიცადა რომ მაგიდაზე დაგდებული ჩანგლის წკრიალი შეწყვეტილიყო, მაშინვე ხელი სტაცა და პირველ შეხვედრილ სასისკს ფერდში ჩაასო.

არ შეიძლება ითქვას რომ პური ახალი გამომცხვარი იყო, სასისკი კი ისე რბილი იყო, როგორც ბებერი ქუჩის ქალის დასრესილი მკერდი.

გაათავა. ჯიბისკენ ხელი წაიღო.

ოცდაჩვიდმეტი და ათი—სულ ორმოცდაშვიდი—და ეს მას ეძვირება.

მისი ცხვირსახოცის ყურში კი სულ სამოცდასამია გამოკვანძული. მაგრამ, ცხვირსახოციც ხომ... იუზეფს გარკვევით ახსენდება რომ ეს უნდა მომხდარიყო სწორედ მაშინ, როდესაც კარებთან შემოსვლისას გაიძვერასთან ბოდიში მოიხადა.

მისთვის ეს უბანი უცნობია. მას აქ არავინ არ იცნობს. ის მხოლოდ განთიადისას გაიქროლებს ხოლმე ამ უბანს ტრამვაით და ჩამოდის ქარხანასთან.

მან იცის მხოლოდ თავისი ბინა და ქარხანა.

— აი, უბედურება!..

ასეთ წუთებში ადამიანის გონება აღარ მუშაობს, ტვინი ჩერდება, იყინება...

— როგორ მოხდა, როგორ?.. ბრაზით და მწუხარებით ეკითხება თავისთავს იუზეფი და გაშტერებული იცქირება გაყინული თვალებით.

როგორც ღრმა ორმო ისე იღება დიასახლისის პირი და იმდენად მისი სიტყვები არა ყვირიან, რამდენადაც მისი კორფლიანი გაცრეცილი სახე.

— ორმოცდა შვიდი!..

— იცით ქალბატონო!.. ხედავთ... არ... ქალბატონო, ეს გაუგებრობაა... უკაცრავად... ი... ი... ი... უკაცრავად...

რასაკვირველია მას ისიც უნდა სცოდნოდა რომ შუშა, თუ მას გაუფრთხილებლად დააწვებოდა იდაყვით ჩაიმტვრევოდა. ეს ხომ სახარატო დაზგა არ არის, ან და რომელიმე სამუშაო მაგიდა, არამედ თხელი მინის დაზგა, ის კი დაეყრდნო ზედ მთელი ტანის სიმძიმით.

დამსხვრეული მინა წკრიალით დაიპნა და დაცვივდა ირგვლივ. შუშის ნატეხები დაეცა საჭმლებით სავსე თეფშებზე. გაბრუებულმა იუზეფმა თეფშებიდან უნებურად შუშის ნატეხების ამოკრეფა დაიწყო.

მღელვარებაში თითი გაიჭრა. გადმოდინდა თბილი ალისფერი სისხლი...

— ეშმაკმა წაიღოს, ვინ იცის ეს მინა სამ კრონზე მეტი ღირს. რა უბედურებაა!..

წაილაპარაკა გაბორცებულმა იუზეფმა.

— პოლიცია, პოლიცია!..

პირველი ყვირილი მაშინ გაისმა, როდესაც დიასახლისმა დაინახა თითიდან გადმომდინარე სისხლი; მეორე მაშინ როდესაც იუზეფმა ხელი ასწია და დასამშვიდებლად სურდა ეთქვა: „მოითმინეთ, ქალბატონო“!..

მესამე უკვე კარებში, როგორც ხმამაღლა მოლაპარაკე რადიომ მთელს ქუჩას გადასცახა:

— პო-ლი-ცი-აა!..

სასადილოში პირველი მეზობელი ლუდხანის პატრონი შეეარდა. მარცხენა მხრიდან მესაათე შეეარდა, სარდაფიდან კი უფროსი მეზოვე.

— სად? რა?. ვინ იყო?.

— აჰაა, დაიჭირეთ?..

— მალე პოლიცია მოიყვანე, შვილო, პოლიციელი, წარმოიდგინეთ თქვენ, წარმოიდგინეთ: მე აქ მარტო ვზივარ ეგ შემოდის, სასისკს თხოულობს, სასისკი შესჭამა, მერე დაზგის მინა გასტეხა, იქიდანაც რალაცის აღება უნდოდა, მერე ხელით პირის მოკუმვა უნდოდა, დღის სინათლეზე, დღის სინათლეზე.. რასა ჰგავს ეს, რასა ჰგავს!!.

პოლიციელის ხელი მტკიცედ ჩაეჭიდა იუზეფს, მას კი გულში ბოლმა დაუტრიალდა. რატომ ეპყრობიან აგდებულად?!. რატომ არ

მოუსმენენ?!. იფხრიწება მისი პინჯაკი, ის ერთად-ერთი პინჯაკი, რომელიც მრავალ ადგილას დაძენძილი და დაკერებულია...

— ოოოხ, ბატონო პოლიციელო!.. წაიყვანეთ ეს არამზადა..

იუზეფის გაჭრილი თითიდან მდინარებს სისხლი, ხალხი კი უცქერის დასისხლიანებულს ხელს, პოლიციელს, მისი მუნდირის ბრწყინვალე ფოლაქებს, ბუფეტის დიასახლისის მოლურჯო და მოყვითალო სახეს.

დიასახლისს ისტერიკა ემართება. გაძარცვის ფაქტი მტკიცდება.

ავტომობილის მოსვლის წამი. ორი მოძრაობა და პოლიციელი ავტომობილში შეაგდებს იუზეფს. წამიც და ის უკვე ავტომობილის დივანზე ზის, მოტორი ჯერ არც კი აგუგუნებულა, მაგრამ იუზეფის სახეზე პირველი სილა უკვე ატკაცუნდა.

ქუჩები თავბრუდამხვევი სისწრაფით მიცურავენ. აი, გაიქროლა ნაცნობმა ცენტრალურმა ქუჩამ. აი, მოედანი, კარგათ ნაცნობი მოედანი სადგურის წინ; აი, საათიც, ქალაქის დიდი საათი. ჯერ დილის ცხრის ნახევარიც არ არის, ქარხანაში ჯერ არცკი უსაუზმიათ, ქუჩას დღის მღელვარება და გამოცოცხლება არცკი დასტუობია და პოლიციის მოხელე სამსახურში არცკი მოსულა.

აღრეა, აღრე განთიადია.

საკვირველია, ნამდვილი უცნაურებაა, იუზეფს მთელი გზა გონებიდან არ მოსცილებია პატარა ფეკეტეს, უმნიშვნელო მჭედლის სიტყვები: „ჩვენ გვჭირდება თავისებური კანონები, საკუთარი კანონები“!..

დიახ, ეხლა, მუშებისათვის უცხო მოსამართლე, უცხო კანონით გაასამართლებს იუზეფს.

ყველაფერი ეს მოხდა ასე სწრაფად.

ყველაფერი ეს ნათელია და აშკარა.

ყველაფერი ეს მოხდა განთიადისას...

თარგმ. ელიზბარ პოლუმორდვინოვის.

ბ ა ძ ო


(ქალაქი უდაბნოში)

ირგვლივ უდაბნო.
ყვითელი ქვიშა.
ამ უდაბნოში ბუმბერაზი
ქალაქი იშვა,
შემორკალული
მშრალ ტრამალებით,
დამწვარი მზის და
ქარის ალებით.
ქალაქი სცოცხლობს
და ქუჩებით სწრაფ ილუნება;
არავითარი არ არსებობს
ირგვლივ ბუნება.
თითქოს სამყარო
ცეცხლის წვაშია—
აქ ერთად-ერთი
პეიზაჟია—
ნავთის კოშკები,
ამართული ქალაქის ცაზე—
გაჭენებული ტყის სილამაზე.
და ისმის ნავთის
აქ სურნელება.
შავ შადრევნების
საშინელება.
ამოაქვთ ნავთი
მიწის ფსკერიდან.
ადამიანი ოკეანეს
არ დაერიდა.
და მას მოსტაცა

დიდი ალაგი,
ნავთის წყალობით აღმოცენდა
მთელი ქალაქი,
არის ილიჩის ნავსადგურად
ის წოდებული.
აქაც კოშკების გაიშალა
დიდი კრებული.
ცეცხლს თაყვანს სცემდენ
აქ წინაპრები—
დღეს ინდუსტრიამ გაიმარჯვა
თავის ზღაპრებით.
და ოქროს ვერძის
თუ ოდესმე იყო თქმულება—
ეს არის ნავთი—
თვითონ მისი დიდებულება.
ეს არის ოქრო—შავი ოქრო—
ამაყი ნავთი;
მოვიდა მუშა ვით არგონავტი;
მან დაამყარა უდაბნოში
თავისი ძალა,
ქალაქის თავზე ბრძოლის დროშა
ააბდღვრიალა,
დღეს განდევნილი
არის ნობელი.
თვითონ მუშაა
ერთი მფლობელი.
ყველგან ქარხნები, ტრამვაები,
ცათამწვდენები.
ყველგან ელექტრო, ყველგან მასსა
ახალ მშვენებით,
ეს გამარჯვება ნაყიდია
ოფლით და სისხლით.
მონობისაგან ჩვენ უმსხვერპლოდ
თავს ვერ დავიხსნით.
ბრძოლაში ბევრი სამუდამოთ
ხომ დაიფერფლა
და შეეწირა ხალხს
წმინდა მსხვერპლად—

F 718
~~11111~~

ოცდა ექვსი კომუნარი:
 იქ, სადაც მზეა
 მეტად მცხუნარე,
 მათი სიკვდილი საშინელი
 ნახა უდაბნომ,
 გმირებს ძეგლები გვირგვინებით
 რომ დაუდაფნოთ.
 შაუმიანი,
 ჯაფარიძე,
 ფიოლეტოვი!
 მათი გმრობა მაგალითი
 იყოს ნეტავი!
 ნავთის კოშკები აიმართენ
 როგორც გემები.
 აი უდაბნოს ხომალდები—
 მჭლე აქლემები,
 მაგრამ გაასწრებს მათ უეცრად
 ავტომობილი—
 და წინ მიქროლავს საუკუნე—
 ძველის მგმობელი.
 მტვერი ნებივრობს
 მუდამ— დლითი-დღე,
 სახლებს ეხლება
 ცხელი ზმორებით.
 ნავთის კოშკები,
 როგორც ნაძვის ტყე,
 სჩანან ზღვის ფსკერზე
 განმეორებით.
 საიდუმლოა
 მიწის-ქვეშ ბევრი,
 მაგრამ ძნელია
 გარღვევა მტვერის.
 უკანასკნელად ჩვენ ვალწევთ მიზანს,
 გვემორჩილება დედამიწა
 როგორც გულთმისანს.
 ღამით ქალაქი
 არის ელვარე
 მისი ხმაური



მაინც მღელვარე.
ბაქო ვარსკვლავებს
ეამაყება —
მას უნდა ბლომად
შუქის გაღება.
უდაბნოსაკენ
იშლება გზები,
ლამე მორევში
კვლავ იძირება.
როცა თენდება,
ლამის კოშკები
ყველაზე ადრე
სჩანან გზირებათ.
სდგას ნავთის კოშკი,
როგორც კანდელი
და იხედება
კასპიის ზღვაში.
ტანში დამივლის
მე ჟრუანტელი.
ო, ეს ქალაქი,
ეს პეიზაჟი!
შენ ხარ ვერხარნის
ქალაქი ავი,
რომელიც არის მოვარდნილი
როგორც რომ ზვავი.
იბრძოდა მუშა,
გაჭირვების სუსხით დამბალი.
მაგრამ დღეს წელში გაიმართა
მუშა-ამბალი;
როგორც პრომეთე ის იტაცებს
ცეცხლს უფსკრულიდან —
ეს არის ნავთი —
მოწყვეტილი მიწის გულიდან.
ნავთი ამოდის უფსკრულიდან
ტახის სიმძიმით;
შემდეგ თანდათან იწმინდება
მწვანე ციმციმით.
მას დიდი გზა აქვს —

ცისტერნები მას მოელოან—
ვინ სთქვა რომ მიწას
საუნჯენი გამოეღია?
უნდა ავხადოთ ჩვენ ნილაბი
ქვეყნიერებას,
და დავამყაროთ მსოფლიოში
ბედნიერება.
უნდა მოედვას
მთელ სამყაროს დიდი ხანძარი.
ძველი ქვეყანა დანგრევის წინ
ბრაზობს ზანზარით.
ნავთის კოშკები აიმართენ
ქალაქის ცაზე—
გაჭენებული ტყის სილამაზე!
ქალაქის ირგვლივ მათი ცეკვა
მუდამ ხარბია,
ერთად ჩნდებიან,
ერთად გარბიან.
მაგრამ ეს არის გამოფენა
და ზედაპირი:
მიწის ქვეშაა სინამდვილის
დიდი ზღაპარი.
სურახანა და ბალახანა!
აღმშენებლობა!
და ამ წიაღში ალტაცებით
გული ეფლობა.
ყველგან ქარხნების
რიტმიული, ფხიზელა ბგერა
მრისხანედ ისმის ამ რიტმებში
ნავთის სიმღერა.
და ოქროს ვერძის
თუ ოდესმე იყო თქმულება —
ეს არის ნავთი—
თვითონ მისი დიდებულება.
ეს არის ოქრო—შავი ოქრო—
ამაყი ნავთი.
მხოლოდ მუშაა ამ დიდების
დღეს არგონავტი.

ეს იაზონი მთელ ქვეყანას
შეატრიალებს.
მთელ მსოფლიოში კომუნიზმის
დროშა იალებს.
აღმოსავლური სიზანტეა
უარყოფილი—
მოძრაობაში ამერიკის
მოსჩანს პროფილი.
სისხლით და ოფლით აგებული
არის მაგარი,
და ოცდა ექვსი კომუნარის
ნაამაგარი
ჩვენს წინ იშლება
განახლებულ ყოფნის თალებათ.
მტერი სიკვდილით
ამ ბრძოლაში დაიდალება.
ნავთის კოშკები ქალაქის ცაზე—
გაჭენებული ტყის სილამაზე!

ოქტომბერი, 1929 წ.

—:—

ემიგრაციის „მწერლებს“

ამბობენ, რომ

თქვენ მე მახსენებთ
და ჩემში ხედავთ თითქოს მახლობელს,
თითქოს ბრძოლებში მტკივა სახსარი
და არვინ ამბობს ჩემზე მადლობას.
ნსხვერპლი გგონივართ

მე კომუნიზმის,
გგონიათ მჩაგრავს ყველა გამვლელიც,
რომ კრიტიკოსი კისერში მიზის
მიხუთავს სუნთქვას

ყალბი წამლებით.

თქვენ შეცდით

რადგან თქვენი სიბნელე
ყველაფერს არკვევს საბჭოთა მტრობით;
ეს შედეგია თქვენი დაბნევის
და არა ჩემი თქვენდამი ნდობის.
როგორც ბრმა ვერ გრძნობს საგნების მოცვას
ისე ჩვენ აზრებს თქვენ ვერ აზიდავთ,
თქვენ კვლავ კითხულობთ ნანგრევთა ლოცვანს
გადავარდნილნი დღევანდელ გზიდან.
სასაფლაოზე დადგმულ ჯვრებივით
წარსულზე გტკივათ ყველას ფერდები,
თქვენ ჩამოგენგრათ ქვეყნის ფანჯრები
და ღია სივრცეს

ჩააჩერდებით.

თქვენ არ ყოფილხართ არასდროს ბურჯი,
არასდროს თქვენგან არ მქონდა აზრი,
არ გადამიდგამს თქვენთან ნაბიჯი,
ჩვენ შორის იყო მახვილი ბასრი.

არ ვიცნობდი და

არც მინდა თქვენგან
შორს გამოწვდილი ხელები მქონდეს;
მე ჩემ მხარეში ეკალი მერგოს
თუ ყალბი გრძნობა გამისტრიქონდეს.
არვის ლანძღვის წინ

არ ვიხდი ბოდიშს
და არ მსურს დაცვა ყალბათ შესმოდეს;
თქვენ საქართველოს მე არ ვიცნობდი
და არც ვეტოფოდი მას არასოდეს.
და ყოველი დღე, თქვენ დასასრულის
ხავს ხელს კიდებს და შველას ვერ აგნებს
მე თქვენი არ ვარ. ...

ჭრები თქმული

გაყვეს ქარს,

ფრინველს,

გაშლილ იალქნებს.

როს განდიდების გიბერავთ ბნელი
აგიშრიალებთ ფოთლებს დაფნების,
ქალაქზე ჩნდება, აზრები ძველი
და წიგნი დგება თქვენი დაბნევის.
თქვენი ხმაური ჩამომდნარ კოხის....
თქვენ დროის ტაშტზე გამტყდარი ჭიქა,
თქვენ თვით მყინვარი გეჩვენათ ჩოხით
და ნანგრევების სიზმარში ზიხართ.
ჩვენ დავიბადეთ ბრძოლების მტვერში
როდესაც წარსულს

ცეცხლს უკიდებენ

და საბჭოეთის პირველ დარშივე
გრძნობები შევთხზეთ დროის კიდემდე.
რვა წელი ჩემი ყმაწვილ კაცობის
მზრდიდა საბჭოთა ცხოვრების შიგნით;
დღიურ სიმხნევით და მამაცობით
ბრძოლებში იშვა ლექსების წიგნი.
თქვენ გინდათ უცხო მიშოვოთ გზირათ
და ჰაერში თხრით აზრების ორმოს;
თუ ჩვენ ჩვენს შიგნით ვიბრძოლებთ ხშირათ
რომ შეცდომები გამოვასწოროთ.

ამიტომ აღვას თქვენ ტვინზე ბნელი
რომ ჩვენი ბრძოლა ახსენით მტრობით.
ეს შედეგია თქვენი დაბნევის
და არა ჩემი თქვენდამი ნდობის.
ჩვენ არ ვყოფილვართ არასდროს ერთად,
ერთად არ გვითქვამს არც ერთი აზრი;
ჩვენს შორის იყო ბრძოლები მკვეთრი
ჩვენ შორის არის მახვილი ბასრი,
თქვენ სიტყვით, კალმით და სიორგულით
ბევრჯერ შემდგარა

ბაასი ყალბი

თქვენ გაგიმართავთ წარსულის ზურგი
და ნამგალივით მოხრილა წარბი.

მე-კი წიგნს დავხევე

აზრებს დავახრჩობ,

დავწვავ საბეჭდათ გამზადილ ლექსებს;
თუ სადმე ვიგრძენ თქვენი სარჩული
და თქვენზე მსჯავრნი თუ დამესხენ.
არ ვტოვებ ქვეყნად თქვენთვის თამასუქს
მაშ, ჩვენს საქმეზე თქვენ რას კაკანებთ,
ჩვენ ერთმანეთში თვით გავსცემთ პასუხს
პასუხს პასუხზე

უფრო საკადრისს.

ჩვენ შეცდომები გვქონია ბევრი
ამიტომ ვებრძვით ერთმანეთს ხშირათ
რომ გავასწოროთ შემცდარი წევრი
და კომუნიზმის გავხადოთ გზირათ.
ამიტომ ჩვენში არ არს სიბნელე
და ჩვენც არ ვებრძვით ერთმანეთს მტრობით;
თქვენ შედეგი ხართ, თქვენი დაბნევის
და არა ჩემი თქვენდამი ნდობის.

1929 წ.
ტფილისა
ზაფხული.

ლადო მაჭავარიანი.

ოქტომბერი

ფოლადის გული შეუდრეკელი
მოზღვაავდა რისხვად გრიალით
გრგვინვით!
ძირში მოთხარა ცხოვრება ძველი
გამოდარღვული ცრემლიან
გმინვით.
სისხლი მოედო, მიდვრებს,
მთაველებს,
ქუჩები იდგა, სისხლად ნაფერი,
ოფლიან მკერდს და დაკოჟრილ ხელებს,
უძლეველს ხდიდა როს ოქტომბერი.
ფრიალებს დროშა სისხლით ნალები
თავისუფლების გზით მონაწვეთი,
მშრომელთ გულიდან ამონალები
მშრომელთ გულიდან ამონაკვეთი.
რკინად ნაჭედი ცხოვრების გეზი
ახალ ქვეყანას სიცოცხლით ავსებს,
მომხიბლავია ახალი გზები
ბრძოლით ამტკიცებს მილიონ მასებს.
აღსდგა ჩაგრული, აღსდგენ მონები
შრომა ზეიმობს, ოფლი დაფასდა
ხარობს სიცოცხლე მილიონების
მრავალათასთა, მრავალათასთა.
ცა მოწმენდილი, ცა მოსარკული
აღისფერ სხივში ამოიქარგა,
ბრძოლით გამთელდა მოთხრილი გული
ბრძოლის გუგუნში გამოისრკა.
მეფის ჯალათებს მეფის იუნკრებს
დაატყდათ რისხვად დიდება შრომის,
მტაცებლებს, სვავეებს, კრიჭა შეუკრეს
და გაუმართეს ოქტომბრით ომი.

ბრძოლა სასტიკი, ბრძოლა მედგარი
დაავიღვივინეს რწმენის იმედით,
და განახლების გზებზე შემდგარი
გამარჯვებამდე სისხლით მივედით.
პროლეტარიატს გამთბარ მზერიდან
მოაქვს ალამი ულამაზესი,
მღერის ამაყად ოქტომბერიდან
და ახალისებს შრომის ალერსი.
სალი კლდისა აქვს გული და ნება
ძარღვი ფოლადის შემოსალტული,
ახალი ხანა ოქტომბრით დგება
ცეცხლის დროშებით შემოთასმული.
ცეცხლის წვიმებში გადაიხრება
მთელი მსოფლიო, მთელი სამყარო,
ამაყი დროშა არ დაიხრება
თავისუფლება რომ დაამყაროს.
ოქტომბერია, მუშებს, საბჭოებს
შრომის ზეიმით როგორ ამშვენებს,
დიდ მონაპოვარს მტკიცედ სდარაჯობს
ახალ ქვეყანას ოფლით აშენებს.
ოქტომბერია,
ფერები შვენიის
პროლეტარიატს
მოაქვს ალამი,
ოქტომბერია
ვიგონებთ ლენინს.
ახალ ქვეყანას
ჩვენი სალამი.

— : —

ხალხური სიმღერა

სპეტაკი ნისლი მოლს აკრავს,
გლები აძოვებს ხარებს,
ნეტავ ასე რამ მოსარკა
მთების სამშობლო მხარე!
ტყეში მხეცები დადიან,
ნადირს მდევარი ახლავს;
უწინ თურმე აქ დადიანს
მოადგებოდენ სახლთან.
შორს მწევრის ყეფა მოისმის,
ყანაში მღერის ნადი:
— ბატონის კვალი მოისპო
ტყეში, რომ სპობდა ნადირს.
ეხლა.. ტევრებს ვერ გადახვალ,
რადგან სოფელი იცავს;
უწინ ბატონმა გალახა
გლები, რომ კრიდა ფიცარს.
შორეულ სურვილს აჩქარებს
უხვი ბუნების ცქერა,
ჩვენ გვინდა მალე გაჩაღდეს
აქ ინდუსტრიის კერა...
ისევ—ბურუსი მთას ახლავს,
მწყემსი აძოვებს ნახირს
და თუ მთებიდან გადახვალთ
შფოთავს მშრომელი ხალხი.

—:—

ერთი თვე სვანეთში

გზა ჯვარის მთისაკენ: ხვიჩის ტყე და ზირნახულზე ბაასი.

5 სექტემბერს, როგორც მოსალოდნელი იყო, ორბელში დილის ოთხი საათი მოახლოვდა. ჩემმა გამყოლმა ცხენი მოიყვანა და ჩვენ გავყევით ლაჯანურის ნაპირებს. ლაჯანური ჯვარის მთის ფერდობში გამოდის და რიონისაკენ მიემართება. ჩვენ კი გამოვდივართ რიონის ნაპირებიდან და მივემართებით ჯვარის მთისაკენ: მარჯვნივ დარჩება ცაგერიდან მიმავალი გზა და ქვემო სვანეთში უცაგეროთ სალამოს შვიდ საათზე ვიქნებით. ასეთია დაპირება გამყოლის — მეც ვეყრდნობი გამყოლის სიტყვას და ცხენის მაგარ მუხლებს. ლაჯანურის რიყის დასაწყისში შემოგვიერთდა ერთი მგზავრიც. ის ჯვარის მთის საბალახოებისაკენ მიდის, მისი ხარი საბალახო ჯოგში შერეული გამხდარა ავათ და პატრონი მიეშურება სამკურნალო დახმარებისთვის. ზურგზე კიდია ბეწვიანი გუდა და გამართული ზურგით სჭრის დაალიონებულ სივრცეს. ჩემ მახსოვრობაში დარჩა მისი ზურგი, რადგან მას ჩემსკენ ერთხელაც არ მოუხედია. ბაასობდა ჩემთან, მაგრამ ჩემ გამყოლთან ერთად, გზის მაჩვენებლის როლს ასრულებდა და ამიტომაც ცხენს მიუძღოდენ წინ.

ჩვენ მალე მოვექეცით ლაჯანურის ხეობაში, ან უკეთ დაუყევით ლაჯანურის რიყეს და ქვების სიმრავლემ ცხენის ფეხებზე იმოქმედა არა სასიამოთ. გზა თითქმის ამ ხეობაში არ არსებობს. არა სჩანს ბილიკიც. ცაზე გაკრულ იერუსალიმის გზასავით (млечный путь) რიყეზე მოსჩანან გადაქლეჩილი ქვები. ეს ქმნის გაჭიანურებულ ზოლს, რომელიც ამ ნაპირებში გზის მოვალეობას ასრულებს. მახვილი თვალია საჭირო ხსენებულ ზოლის გარჩევისათვის და ჩემი თანამგზავრებიც ამ ნიჭიერებით დაჯილდოვებულნი არიან. ეს ზოლი გამვლელთა ქუსლებით არის აღნიშნული, მაგრამ მას ქუსლების გამომეტყველება სრულებით არა აქვს. ქუსლებს ფერი შეუცვლიათ ქვებისთვის და საკუთარი დალი ვერ დაუტოვებიათ. ჩვენც უყურებთ ფერნაკლულ ქვებს და მივდივართ წინ. ლაჯანური დაკლაკნი-

ლია: ხან მარჯვენა ნაპირს უახლოვდება და ხან მარცხენა ნაპირსაკენ იწევს. ამიტომ ჩვენ მდინარეზე გადასვლა ხშირათ გვიხდება; გზა მიხვეულ-მოხვეულია მდინარის კარნახით და ჩვენც ნაპირიდან—ნაპირისკენ საათის ენებივით ვქანაობთ.

დაახლოვებით ორი საათის შემდეგ ჩვენ შეუდექით ლეჩხუმის მთის აღმართს. დაბლა დარჩა ლაჯანური და მის ნაპირებზე არსებული სიმინდის ყანები. მთები აიწიენ და ჩვენ განვიცადეთ სიმალღეების სიმძიმე. თანამგზავრები განუწყვეტლივ ბაასობენ. უმთავრესათ მათი ლაპარაკი ეხება მოსავლის ბედს და უბედობის გამომწვევ გვალვას. გვალვამ მოსწვა ჭირნახული. მთელი იმერეთი და ლეჩხუმი მხოლოდ ამის შესახებ ლაპარაკობს. სამეგრელოს ჭაობები სრულიად მოხარშა გვალვამ და მოსავალი ჩაახრჩო შიგნით. გვალვა უმთავრესი თემაა მგზავრების. წუხელის მოვიდა ერთი მოხვია. ეს ხომ კოვზია ზღვაში. გვალვით გახურდა ქვეყანა და მცენარეები პირდაღებულ ბარტყებივით ელიან წვიმას.

— ღვინო მოიწამლა—დაუმატა ჩემმა გამყოლმა.

— ღვინო როგორ მოიწამლა?—ვეკითხები.

— უწინ ორჯერ ვწამლავდით—ამიხსნა ხარის პატრონმა—ახლა ხშირათ ოთხჯერ ვწამლავთ ხოლმე, წვიმამ უნდა ჩამორეცხოს შაბიაბანი. გვალვამ-კი შაბიაბანი მტევანზე დაახმო. ის შედის მტევნის სისხლში და ღვინო მოწამლული გამოვა სავსებით.

ჩემი გამყოლი მითითებს გარემოზე და ამბობს:

ასეთ ადგილებში კაცს სიმაგრე სჭირია. სიმაგრისათვის ღვინო აუცილებელია, ღვინო კი მოიწამლა და უკვე ვნებს ადამიანს.

ვარემოს მიდამოები მართლაც ძლიერია. ჩვენ გარეშემორტყმული ვართ, მუქი მწვანელოვან მთებით და ქვებით ამოშენებული გვაქვს გზა, რომელზედაც მივდივართ. გახურდებიან ქვები და მართლაც ძნელია შრომა ასეთ ბუნების „წიაღში“. აქ ღრუბლების მოთხოვნილება პოეზიისთვის-კი არ არის, არამედ ცხოვრების და სიცოცხლის საჭიროებისათვის. წელს მიწის მუშები ოცნებობენ მძიმე და წვიმით გაბერილ ღრუბლებზე.

წუხელ ღამის ორ საათზე წვიმამ ძუნწათ დაიწყო დენა. ორბელში შეიქმნა დიდი ხმაური. როდესაც ბინიდან გამოვედი, მთელი სოფელი გარეთ იყო გამოფენილი და შესცქეროდა ცას. შესცქეროდნენ ცას, რადგან უნდოდათ წვიმა ხანგრძლივი ყოფილიყო. სურდათ გამოერკვიათ ჭირნახულის ბედი ცის გარესკნელზე და არ ეშინოდათ დასოვლების.

აი როგორ უყურებენ სოფლები ცას. გავიხსენოთ როგორ შესცქერიან პოეტები იმავე ცას და მიხვდებით რაოდენი უფსკრულია საზოგადოების სხვადასხვა ფენების მხედველობათა შორის. მიხვდებით რაოდენ სხვადასხვა ფუნქციები აქვს ცას მწერლობაში და ცხოვრებაში მოღვაწეობის დროს.

ამ დილით ჩემი თანამგზავრები სწუხან და დარდობენ რომ წუხელის ხანგრძლივი არ იყო წვიმა. მტვერიც ვერ აიღო, თორემ სიმინდის ყანებს რას დააამებდა. სიმინდისთვის შეიძლება უკვე დაგვიანებულიც იყოს. ვენახს ჯერ კიდევ დრო არა აქვს გასული და წვიმისგან მოელის ხსნას.

— ამბობენ სვანეთში კარგი მოსავალია — სთქვა ხარის პატრონმა — ესეც კარგი, ჩვენში არ დასჭირდებათ გადმოსვლა.

— არაა მართალი — უპასუხებს ჩემი გამყოლი — სვანებს წელს ბევრი ხარჯი აქვთ ხალხი მრავალი მიდის. იქაური ბუნება ხელახლა უნდა შეამოწმონ. საზრდოს თუ გაყიდვიან, ფული მარტო რას გააძღობთ.

ცნება ბუნების „ხელ-ახალი შემოწმების“ სრულიად მართალი გაგებაა. მართლაც რომ სჭირია საქართველოს ბუნებას „შემოწმება“ და შემდეგ სათანადოთ გამოყენება. მოწმობის მიღებისათვის ბუნების სალამი მეცნიერ-მუშაკებს, ინჟინრებს და მცენარეულთა კულტურის გამომყენებელთ. ხოლო „წიალის“ სალამი აღტაცებულ ექსკურსანტებს და საქართველოს ცა-ფირუზის ავთიმყოფ მეოცნებებს.

ამ მიდამოებს სჭირია გზა და ამ მოკლე დროში წვიმა. მარჯვნივ და ქვემოთ სიმინდის ყანები რჩება. მაღლობზე ტყეა მუხლნარის წოდებით ღ თვისებით დატვირთული. ზემოთ დახურული ტყიანი მთაა და ჩვენ ნიმუშებივით ჩაგდებული ამ ხეობაში, ვიწვევით აღმართისაკენ. გზა საჭიროა ყანებისთვის. გზა საჭიროა ტყიდან მასალის გამოსატანად და ბოლოს გზა საჭიროა ჩემთვის, რომ ადვილათ გადავიდე სვანეთში.

იმერეთიდან ორბელამდი გზატკეცილი არსებობს. ლეჩხუმი ცენტრთან დაკავშირებულია გაშლილი სივრცით. ჩვენი სამგზავრო მიდამოები-კი გვამცნობს რომ სვანეთი ჩვენი მხრიდან მოწყვეტილია ქვეყანას და ცაზე გაკრულ ჩრდილის მზგავს ბილიკით ჩვენ უახლოვდებით მას. ამიტომ ბიბლიის ანალოგიას მოიმარჯვებს მწერალი და ქრისტეს დაბადების ღამეს. მოგვების მოგზაურობას შეადარებს ჩვენებურ გზებზე სიარულს. აღმართზე რამოდენიმეთ გასწრებულ თანამგზავრებს ისევ დავეწიე. სამასლაათო თემა უკვე გამოცვლილი იყო. ჩემი თანამგზავრები ახლა კოლმეურნეობების შესახებ ლაპარაკობდნენ.

ჩემი ჩარევის შემდეგ კოლექტივების დაარსების აუცილებლობა მათთვის თითქოს ნათელი შეიქნა.

— მართალია — სთქვა ხარის პატრონმა — უნდა დაგვეარსებინა, მაგრამ კარგი ხელმძღვანელი არ აღმოგვიჩნდა, ვერ განგვიმარტეს მნიშვნელობა და ხასიათი. მსურველნი ჩვენშიც აღმოჩნდებოდნენ.

— არ აღმოგვიჩნდა და არც მოხერხდება ჩვენში არა — დასძინა ჩემმა გამყოლმა.

— კოლექტივი ხომ ამხანაგური მუშაობაა — გააგრძელა ხარის პატრონმა — რატომ არ შეგვიძლია ამხანაგური მუშაობა. ეს ბილიკი (მთაში უკვე გარკვეულ ბილიკით მივდივართ) ვინ გააკეთა? მე, შენ თუ იმან; ამ სოფელმა, იმ სოფელმა თუ დასახელებით რომელმა?... დასახელებით არც ერთმა — უპასუხა თავის თავს თვითონვე.

— ეს შეერთებულმა ამხანაგობამ გააკეთა. ვერ დაასახელებ ამის გამკეთებელს. ხალს სჭიროდა და ხალხმა გააკეთა უსახელოთ, ხალს თუ სჭირია გააკეთებს.

— ხალხს სჭირიაო გეუბნებიან.

— თუ ასეა კიდევაც გააკეთებს კოლექტივს.

მართლაც ხსენებულ ბილიკის გამკეთებელ სოფლებს ვერ დაასახელებ. ეს ისეთივე შემოქმედებითი მოვლენაა როგორც ხალხური პოეზია. ბილიკს და ხალხურ პოეტურ თხზულებას ავტორი არა ყავს. პროცედურაც მათი შექმნის ეთგვარია. ხალხური თხზულება ნაწილაკების შეერთებაა. ერთი ქმნის, მეორე უმატებს და მესამე ასწორებს და ასე დაუსრულებლივ... ბილიკიც ასე კეთდება. ნაჭრებთან დარჩენილი ნაკვალევი შეერთებულია... შემდეგ გამომართულია. შეხვდებით ხშირათ ბილიკს, რომელიც ამოკლებს მთავარ ბილიკის მოხრილ ხაზებს. ეს ხალხური თხზულების ვარიანტებია.

ახლა ამ გვარათ შექმნილ ბილიკს შევყავართ ჩვენ ტყეში და ავყავართ მთის მწვერვალისაკენ. ამ მთის შუა სარტყელის ტყეს მთის შემოსარტყელითურთ, ეძახიან ხვირის ტყეს. ხვირის ტყე იწყება მუხნარით და გრძელდება წიფელების შვიარებით. წიფნარის ფენაში ჩვენ გადავდივართ კოლმეურნეობებზე მსჯელობის შემდეგ და იზრდება მწვერვალები ხეების. ტყეში მზე თითქმის არა სჩანს: ჩრდილებში ჩანთქმულია მზის მნიშვნელობა და ჩვენ მივდივართ სიცხის საშიშროებას მოშორებულნი. ცაში ატყორცნილი ხეები ზანტად ირხევიან და სდუმს სიღრმე, რომელსაც ტყე ქმნის. ბილიკის ორივე მხარეზე უმაღლესი და უმდაბლესი ხეები ჩამწკრივებულან. მიუღიათ სხეულის სხვადასხვა აღნაგობანი, მაგრამ მეთაურობას მაინც სწორი

და ატყორცნილი ხეები ეწევიან. ისინი ტყეს მთის ზემო სარტყელი-საკენ მიაქანებენ და იქმნება თვალით გაუხსნელი სივრცე დაბურულ მთის. ჩვენ სიარულთან ერთად სიმაღლეები იზრდებიან და თვალი ვერ წვდება ხეების კენწოროებს და თუ წვდება ტკივილით. მიდიხარ და გხვდება დაჩეხილ შეშების წყებები, მოჭრილი და წელში გადატეხილი ხეები გვამებივით აწყვია ტყის სიღრმეში. ვებერთელა წიფელი ჭიქასავით გადფრჩხვნილა წელში და გრიგალს ჩვენი გზა შეუკრავს ამ მოღვაწეობით. ჩვენ შემოუარეთ შელახულ ტანით გაწოლილ ფეხებ გაჭიმულ გვამს და გავაგრძელეთ სწორი ბილიკი. ხეებზე ხშირათ ჩამოთლილია ნაჯახით ტყავი და აწერია $\frac{92}{10}$; უფრო ხშირათ $\frac{88}{8}$; ეს ხეების სიმაღლეს და ტანის

გარესკნელს აღნიშნავს. ტყის მცველს გამოანგარიშებული აქვს მათი ვინაობა და შესაძლებლობანი. დაუშვებს ქარი და ხეები აშრიალდებიან, ახმაურდება სიღრმე და ამ სიღრმეში ჩვენ გამოვივლით ათიათასჯერ აწერილ ბუნების ფანტატიურ სტიქიას. არც ტყის მცველს, არც ჩემ თანამგზავრებს ასეთი სცენა არ აინტერესებთ. მათვის ესთეტიური ფასი ამ დაუსრულებელ და მაღალ დარწმუნებულ ხეების არარაობას უდრის. მათვის უცნობია ამ ქალწულებივით აშოლტილ ხეების ცქერით თრობა და მართლაც ესთეტიურათ ასი პროცენტით ამაღლებულ ტყის დეკორატიული გამართლება.

— აქედან მოგვაქვს ჩვენი ხეები ფიცრებისთვის — ამიხსნა ჩემმა გამყოლმა.

— როგორ გაგაქვთ აქედან მასალები? — ვეკითხები.

— ჯერ ბილიკამდე დავასრიალებთ ღარებზე და შემდეგ ხარები მიათრევენ პირდაპირ, როგორც მოგეხსენებათ უურმოთ. შეშაც უმთავრესად ამ მიდამოებშია. მეენცარი ტყეა მეენცარი.

სიტყვა „მეენცარი“ საოცარი უნდა იყოს. ეს სიტყვა სამეგრელოში ტყის კაცს ნიშნავს — მაგრამ იქ ითქმება „მენცარი“.

მართლაც ეს ტყე „მეენცარი“ მოვლენაა. ცნობილია რომ შეშის საუკეთესო მასალათ საქართველოში წიფელა ითვლება — ლეჩხუმის ბუხრები ალბათ ამ ტყიდან იძენენ სითბოს და მათი პრომეთეოსი ამ ტყეში ბინადრობს. მკვლევარები გვეუბნებიან რომ წიფელი სააღმშენებლო მასალათაც საუკეთესო ხეა. მისგან გამოდის საკასრე მასალა და გრეხილი ავეჯეულობა. აქ ლეჩხუმში მისგან შენდება სახლები და ჩემი გამყოლის ოჯახის შენობები ამ ტყის ნაყოფია.

ამ ლაპარაკის დროს დაუბერა ქარმა და ახმაურდენ მაღალ ტანიანი ხეები — ოცნებებივით გაიშრიალეს შტოებმა და ხვირის ტყე

ახმაურდა საამშენებლო მასალებით. მე მაგონდება ახალგაზრდა
პოეტის შესანიშნავი სტრიქონები:

...გადმოდიხარ ფიცარ ფიცარ
აშენდი და ვეღარ გიცან
აშოლტილო ხე.

ამ სტრიქონებში ნაჩვენებია მასალის სხეულებრივი ცვალებადობა და ხეების დამოუკიდებელი ცხოვრების უქონლობა.

ხვირის ტყეს საიდუმლოება არა აქვს. ტყის მცველმა შესჭა ის და დარჩა „აშოლტილი“ საფიცრო შვიარები, მოტეხილ ხეების გვამები და შეშის ნაფხვნები. მოტეხილ ხეები ხშირათ თეთრი ფერ დაკრულნი არიან და გვაგონებენ სუდარაში გახვეულ ცხედრებს. გაჭიმულნი ყრიან და ქმნიან მშენებლობის სევდას. ალბათ რაჭველებს მოსწონთ ეს ტყე. რაჭველები ხომ ფიცრების და ფიცრულ შენობების ოსტატები არიან.

— ლეჩხუმლებს ძალიან გვიყვარს ეს ტყე—გამისწორა ფიქრი გამყოლმა.

მართლაც საყვარელი უნდა იყოს ეს ტყე. ამის შედეგია ლაჯანურის მიდამოებში ყანებისათვის საკმარისი სისოვლე. ამის შედეგია, რომ ლაჯანური ქვემოთ საკმაო სიძლიერით ხმაურობს. ეს ტყე აჩერებს ალბად მთების მწვერვალთან წამოსულ მეწყერსა და ნალექს. ეს ტყეა იმის თავდები, რომ მთის ფერდობზე და ზემოთ გაშლილი საბალახოები შენახულია და არ ხრიოკდება მწვერვალები.

და ამ ტყის ზემოთ საბალახოებისაკენ მიდის ხარის პატრონი. ჩვენ უკვე მიუახლოვდით საბალახოებისკენ მიმავალ ბილიკს. აქ ტყემ სივრცე მეტი შეისუნთქა და ცის უფრო ფართო ნაჭრები დავინახეთ. ხარის პატრონი გამოგვეთხოვა და გაუდგა პირდაპირ აღმართს. ჩვენ დავეშვიტ მცირედათ დაქანებულ თავდაღმართზე და გავწიეთ ჯვარის მთის ძირისკენ. ჩემი თანამგზავრი მობრუნდა და მითხრა:

— ჩასწერეთ, ეს ხვირის ტყეა. ორბელის ზემოთ ციხე რომ მოსჩანს ის ორბელის ციხეა... ჩასწერეთ—მეც ჩავწერე.

გამოირკვა რომ გამყოლი მიჩვეულია შეკითხვებს და უბის წიგნაკებში ჩაწერის პროცედურას.

— ეს ქვემოთ ლაჯანურის მდინარეა, ჩასწერეთ—მეც ჩავწერე.. გზა გრძელდება, ტყე თხელდება და ლაჯანური დამშვიდებული ხმაურობს.

— ეს ჯვარის მთიდან მაჩქაფი გამოდის, ჩასწერეთ.
მე გავიხედე და ჯვარის მთა წინ დაგვიდგა თავის ალპიურ სიმწვანეებით. ჩრდილოეთ აღმოსვალეთით ჯვარის მთიდან ეშვება ძლიერ ცოცხალი ჩანჩქერი ან უკეთ წყალვარდნილი: დაახლოვებით

ორასი მეტრის სიმალიდან ის ვარდება მარჯვნივ კლდეზე—კლდიდან აკეთებს მოხრილ ხაზს და მარცხნივ მიმართებით ეშვება ლაჯანურში. ჩანჩქერი კლდის საშუალებით ორ სართულიანია და ვფიქრობ იშვიათიც ამ მხრივ. უკან ტყე შრიალებს— აქედან ჩანჩქერი პასუხობს, კლდის თუნუქზე ნაპერწკლების და ტალღების დახეთქებით.

მაჩქავს ლეჩხუმლები წყალვარდნილს ეძახიან. ჩვენ ისევ ლაჯანურთან ჩავედით. ლაჯანური შემორტყმული აქვს ქვემო სარტყელივით ლეჩხუმის მთას და ის ყოფს ხვირის ტყეს მჯვარის მთიდან. ეს ადგილი ძალიან ვიწროა და თითქმის ათიოდე ნაბიჯის შემდეგ ლაჯანურის გადასვლით ჩვენ ჯვარის მთას აუყევით.

დარჩა ატყორცნილ ხეებით აშრიანებული ხვირის ტყე და სვანეთის მიახლოება გვაგრძობინა ჯვარის მთის მწვანე ფერდობებმა.

ჯვარის მთა: ლეჩხუმის მიდამოებისა და გვალვის დახასრული.

ჯვარის მთაზე ბილიკი იშლება. ის ყოფნის ცხენსა და ადამიან მხარ და მხარ სასიარულოთ. ბილიკი მიიკლაკნება ფერდობზე და რაც ზევით მიდის, მთის დასავლეთი ნაწილი ვიწროვდება; ჩვენ ჩამოვტოვეთ ჯვარის მთაზე არა შესანიშნავი მუხნარი ტყე, გადავედით შქერებში და ვბაასობთ ნაწყვეტებათ.

— მწვერვალზე რომ ავალთ უშბას და თვეთნულდს გაჩვენებთ — მითხრა გამყოლმა — მეენცარი სანახავია გადასავალიდან. აი აქეთ მარცხნივ ამ მთის გაგრძელება, რომ არის, იქ წავიდა ჩემი მეზობელი. იქ გვაქვს ჩვენ საბალახოები, იმ ადგილს ლანქორს ვეძახით. ლაჯანური იქიდან გამოდის. ესეც მეენცარი სანახავია არა... ჩაწერეთ ეს ყველაფერი.

— ლანქორი მე გამიგია რომ ლაშხეთის იქით არის, აქ როგორ მოხდა მისი გადმოსმა?

— ჩვენ ამ ადგილს ვეძახით ლანქორს, იმასაც გაჩვენებთ მწვერვალიდან—სთქვა გამყოლმა...

მარცხნივ საბალახოები იშლება—ის იწყება ხვირის ტყის მეზობლათ და შემდეგ მოხვეული უერთდება ჯვარის მთას. საბალახოებზე თხის განავალის წერტილებივით სჩანს გაშლილი ჯოგი და ფერდობები ეტყობა დატვირთულია შესანიშნავი ბალახით.

— რატომ აქ არ აბალახებთ ჯოგს—გკითხე ჩემ გამყოლს.

— აქ ჯოგის მოყვანა არ შეიძლება—მიპასუხა მან—ფერდობები ძლიერ დაქანებულია—ოთხფეხი თავს ვერ შეიმაგრებს. თორემ ასეთი ბალახი სად არის?

ასეთი ბალახი მართლაც რომ იშვიათია—ზოგიერთ ადგილებში ბალახის სიმაღლე ორ მეტრამდე აღწევს. რამდენადაც გამიგია ეს ბალახი ტყის მოსაზღვრე მცენარეულობას წარმოადგენს და ის იზრდება დიდ სიმაღლეს მოწადინებული... ამ ბალახის შემდეგ იწყება დაწოლილი ბალახი. დაწოლილ ბალახს გამყოლის ახსნით სვანები „წერაქვას“ ეძახიან. ამ ბალახებს შორის ბილიკი გრძელდება ჩიკოლიკას ზღაპარივით...

მწვერვალიდან ეშვებიან და გვხვდებიან ლეჩხუმლები... გამყოლმა ამიხსნა, რომ ლაშხეთთან არსებობს აგარაკი მუაში. ესენიც მოაგარაკეები არიან მამაკაცები იბრუნებენ დასასვენებლათ გაგზავნილ დედაკაცებს და ბრუნდებიან თავიანთ ოჯახებში. შემხურთა პირველი კითხვაა:

— წუხელ ორბელში წვიმა იყო?

— არ იყო—უპასუხებს ჩემი თანამზახარი და ჩვენ ვშორდებით შემხდურთ. ისინი შეყურებენ ცას და ეშვებიან თავდაღმართში.

ბილიკი გრძელდება—თვანიერი ცხენი ზანტად მიაბიჯებს და კიდევ მოისმის ზევიდან ხმა.

— წვიმა იყო წუხელის?

— არა—უპასუხებ მე.

— აქეთ ყველაფერი წაიღო წვიმამ.

— ჩვენში მოცვარა. მტვერიც ვერ ააშრო.—უმატებს ჩემი გამყოლი და ვიწვევით ზევით. ჯვარის მთა 7989 ფუტია სიმაღლით. დაახლოვებით 7600 ფუტის სიმაღლეზე მცირე მოედანი შეგვხვდა. ჩვენ აქ შევისვენეთ—ცხენი საბალახოთ მიუშვით და ჩვენ ორბელში შეძენილ პურსა და სულუგუნს მიუსხედით. ჯვარის მთა როგორც ვთქვით მორთულია ხშირი ბალახით—ამ ადგილიდან მარჯვნივ და მარცხნივ ფერდობები ძლიერ დაქანებულია. დაქანებულზე თვალი რომ გააყოლოთ თვალები დაიკარგება ფერდობების სიღრმეში. ფერდობი პირდაპირ ექანება და ამიტომ სიმაღლის განცდა დიდია. ბილიკი აწეულია შევაწროვებულ მწვერვალზე იმედივით. ბალახი „წერაქვით“ წოდებული მოდებია მიდამოებს და წამოყუნტულ მთებს შეუვიწროვებიათ სივრცე ლიტერატურულ ატმოსფეროვით.

დასავლეთისკენ მოსიანს ლეჩხუმის მთა ხვამლი და იმ ხვამლის ზურგიდან სასწაულებივით ამოდიან მძიმე და ზანტი ღრუბლები.

— ღამით წვიმა არ მოსულა?... კიდევ დაგვიძახა ვილაცამ, ბილიკის ზემო მხრიდან... დღეს—კი უსათუოდ მოვა წვიმა,—ჩვენ შევხვდეთ ცას და გამყოლმა სთქვა:

— წავიდეთ საჩქაროთ, წვიმას მწვერვალზე უნდა გადავასწროთ. წვიმა მოვა... უსათუოდ მოვა...

გამყოლი მაინც და მაინც დასოვლების შიშით არ დარ-
დობს. ოღონდ წვიმა მოვიდეს და თუ გინდ სულ ჩაგვრეცხოს ხრამ-
ში. მე-კი სულ სხვა შეხედულების ვარ ამ საკითხის შესახებ: ბლუ-
ზის ამარა, 2000 მეტრის სიმაღლეზე ვერაფერი სასიამოვნო მოვლენაა
დასოვლება და შემდეგ როგორი, გზაა? ბილიკი ვიწრო და თვალი,
რომ ფერდობებს გააყოლო, თან გადაყვები საკუთარ მხედველობას.

— უშბას ვერ დაინახავთ დღეს. ღრუბლები უკვე გაიშალენ—
მითხრა გამყოლმა. და ჩვენ ავამუშავეთ ცხენი და საკუთარი ფე-
ხები.

ჩემთვის ბუნების ესთეტიური ფასი და პეიზაჟების ცვალებადო-
ბა მაინც მეორე ხარისხოვანი მოვლენაა. მე მინდა წილათ მხვდეს
ჭეშმარიტი ჟურნალისტის მოვალეობა. მე მინდა ამ ბუნების მიერ
შექმნილ პირობების გამორკვევა და აქაურ ადამიანთა სამოქმედო
თვისებები. მე ვეშურები ლაშხეთს, არა პეიზაჟების აღსაწესხავათ, არა-
მედ მინდა გავიგო სვანების ყოფის შინაგანი დენილობა და გამო-
ვარკვიო ცხოვრების დრამა, რომელიც ეპოქების შეჯახებით იქმნება.

დაახლოვებით ორმოცი წლის წინეთ სვანეთში სცხოვრობდა პოეტი
რაფიელ ერისთავი. საინტერესოა რომ მან, ამ ფანტასტიურ ბუნებაში,
პოეზია გვერდზე გადადვა და ერთგული ჟურნალისტის სიდიდით
აღწესხა სვანურ ყოფა-ცხოვრების თვისებები.

ორმოცი წლის მანძილზე, მე შეიძლება მხოლოდ მეორე ქართ-
ველი პოეტი ვარ, რომელიც სვანეთში მივდივარ და ჩემი მოწოდებაც
რაფიელ ერისთავის ცდებთან ანალოგიური მოვლენაა. მაგრამ კონ-
ფლიქტი ეპოქებთა და თაობათა ძალათ შეჯახებისა, რაფიელ ერის-
თავმა სრულიად გამოტოვა. ჩემი მოვალეობაა, ყურადღება ამხრივ გა-
ვამახვილო და თუ შეეძლებ დასახულ მიზნის მინიმუმის შესრულებას,
ესეც მიღწევაა.

ამიტომ არ ვდარდობ ჩემო მეგობარო, დღეს თუ ჯვარის
მთიდან კავკასიონის მწვერვალებს ვერ დავინახავ და ათასს ანი-
სიმოვების ალტაცებას ჩემ ხოტბასაც არ მივუმატებ.

ღრუბლები გაიშალენ და როდესაც ღრუბლები სავსებით გაიშა-
ლენ, მე ცხენიდან გადმოვხტი. საკვირველია, ამდენი ხანია ცხენით
მოვდივარ და ვერც ერთი მკითხველი ვერ წარმოიდგენ, რომ მე ცხენით
მივდიოდი. ჩემ დღიურში ცხენის განცდა არ არის. ეს გამოწვეულია
ცხენის თვისებით. ჩემი ცხენი რაღაც ავტომატიურ მანქანასა გავს:
მიუშვი სადავე და მიიზლაზნება. ეხლა გადმოვხტი და უკან დამშვიდე-
ბული გამოგვყვა. ჩვენ ფეხს აუჩქარეთ. წვეთები ვიგრძენით და ძუნ-
ძულის ხასიათი მივეცით სხეულებს.. წვიმამ მაინც მოგვისწრო. ის

საჩქაროთ კოხის თვისებაში გადავიდა და დაუშვა მთელი სიძლიერით. უცებ ჩემი თანამგზავრი შეჩერდა, იყურება ორბელისაკენ და იძახის -- „ორბელში წვიმს“...

მე მივრბივარ, გამყოლი მოდენის ცხენს და უცებ ჩერდება. მე უხახი... „რას უყურებ“... „მოიცადე უნდა გავიგო ორბელში წვიმს თუ არა“... „რა დროს შეჩერებაა აქედან რას გამოარკვევ“ უძახი მე... „მაცადე გავიგებ“ მიპასუხებს... და მოძუნძულებს. მე კი ვსველდები ნემსის ყუნწამდის. მეშინიან ფეხის დაცდენის და მაინც გავრბივარ დავიწროვებულ ბილიკზე. მთის ფერდობი დასრიალებისათვის საუკეთესოთ არის განმზადილი. თუ ფეხი დაგიცდა რამოდენიმე წუთში ლაჯანურში ჩაასწრებ და მოკითხვის უფლებაც არ დაგრჩება ქვეყნად.

„ორბელში წვიმს“ იმეორებს ჩემი გამყოლი; სდგას და დამშვიდებული იტანს კოხის ბარაბანს. „ორბელშიდაც წვიმს.. მე მგონია ლაშხეთშიც“.. უმატებს გამყოლი „შეხედე უკან“... კოხი მოდის საშინელი საძლიერით. ირგვლივ მთების ფერდობები შეთეთრდა.. ჩამოდის კოხი საშინელი სიმძაფრით: ხანდახან ცამ თითქოს სული მოითქვაო, შეანელებს სიმკაცრეს და შემდეგ ისევ ხშირი და მაგარი კოხით გვიმასპინძლდება.

მოდის და ასეთ მდგომარეობაში დაუჯერე თანამგზავრს მისი თხოვნით 2000 მეტრის სიმაღლეზე კოხის ქვეშ უნდა შეეჩერდე და უყურო ლეჩხუმის ცას და ვარკვიო წვიმს თუ არა ლეჩხუმში? მე გავიხედე უკან და დავიძახე „ორბელში წვიმს, ნამდვილათ წვიმს“... და გავიქეცი წინ. უღელტეხილის ასასვლელ ნიშანთან მე გავასწარი კოხს და სამუდამოთ დასველებულმა ამოვისუნთქე მშვიდათ.

თავდაღმართი და სვანეთის ბახსნა.

ჯვარის მთის მწვერვალი აღნიშნულია შენობის მზგავსად შეწყობილ ქვებით. ჩვენ გავიარეთ უყურადღებოთ ეს ნიშანი და თავდაღმართში გადავედით. შეწყვეტილი კოხი გვაცნობს, რომ მისი სიმკაცრე სვანეთის მხარეზე მეტი ყოფილა. ჯვარის მთა სვანეთის ძხრიდან სრულიად შეთეთრებულია და ელის ღრუბლების მოხსნას ცის მოედნებიდან. ღრუბლებიც თანდათან გადიწიენ და გაიხსნა ჩვენ მიმართ ორიზონტალურათ მდგარი მთების წყებები და გაისმა დაუსრულებელი კივილი სივრცეების. მთები თანდათანობით ინთავისუფლებენ გიგანტიურ სხეულებს და თანდათანობით, თანმიმდევრობით გამოდიან ღრუბლების საიდუმლოებიდან. კავკასიონის ქედის მწვერვალები მაინც შეპყრობილი ყავთ ღრუბლების მიმდინარეობას და ჩემი სხედველობის შუქიც დაშვებულია ქვემო სვანეთის მიდამოებში.

ჩვენს პირდაპირ გადიწიენ ღრუბლები და გამოჩნდა მთა და-
დიაში და დადიაშის დაქანებული ფერდობები. დადიაშის კალთაში
და შემდეგ დადიაშის დაბლობში გამოჩნდნ მალლობიდან უორგანიზა-
ციოთ გადმოყრილი შენობები. შენობები ამ სიმალიდან გაგონებს
კოლოფების კრებას და ეს კოლოფების კრებები ქმნიან დადიაშის
ფერდობთან ლაშხეთის სოფლებს. ლაშხეთი, ჩაგდებული ამ მთების
სიღრმეში, გაგონებთ ფეხმორთხმულ მთების სათამაშოებს და შუაში
გამდინარე ცენის წყალი კავკასიონის შარდს.

და არის მთები დაუსრულებელი, მთების მწვერვალებიდან
ფერდობები წამოსროლილია და სივრცეში გაქცეულ სიბრტყეებიდან
შესდგება. გატყორცნილი სივრცეები შედეგია: მთების ფერდობის
არა პირდაპირ ჩამოქანების, მთების კალთების თანდათანობით გა-
გრძელების და ცხენის წყლის გადამკვეთ ხაზის.

სიბრტყეები შეთანხმებული კი არ არიან ცენის წყალთან, არა-
მედ ჩამორბიან მასთან, მთები მწვერვალებიდან ჩამოსროლილნი.

მე დღეს ასე შეჩვენება ეს მიდამოები. ხვალ შეიძლება ღრუბ-
ლებთან ბრძოლა არ ექნეთ მთებს და მზიან თვალებმა სხვაფერ და-
აფასონ სივრცეების რხევანი.

ჯვარის დაღმართიც დაუსრულებელია მხედველობისთვის. ისინი
შორს, ძლიერ შორს კივილი. პირველ კივილს პასუხობს მეორეც...
მოწყვეტილ ვარსკვლავივით გაიწკრიალებს მკივარი ხმა და მოწყვეტი-
ლი ხმა ჩაეშვება თვალგადუწვდენ ფერდობთა ნაპრალებში... ეს ვილაც
კივის და ავრცელებს თავის ხმას კარუსელივით დატრიალებულ
სივრცეებში.....

ჩვენც გვიხარია... მე და ჩემი გამყოლიც ვიწყებთ მორიგეობით
კივილს. ჩვენ გვინდა ჩვენი ხმაც გავავრცელოთ მთებში.

აი ასე გავხსენით ჩვენ სვანეთი. აქ გვალვა შესცვალა კოხმა და
წვიმამ. ლეჩხუმიდან ჩვენი ვერტიკალური მიმართება კავკასიონის
ქედისკენ, სვანეთის მიდამოებმა მოსკრეს და ორიზონტალური დენა
მისცეს სივრცეებს. კავკასიონის პარალელური ხაზით წავიდა სოფ-
ლების გაშლილობა, ცარიელი სივრცე მთებსა და მთებს შუა და ცე-
ნის წყლის ჯიშინი ხმაური.

ლეჩხუმი თავის გზების, მდინარეების და სოფლების მიმართე-
ბებით ვერტიკალურათ ვითარდება კავკასიონის ქედის ხაზთან,
სვანეთი სკრის ამ ხაზს. სვანეთის მთების ბუდეები ჩაგდებულია და
ქმნიან კავკასიონის ქედის პარალელათ მიმდინარე დერეფნებს.

სვანეთში მთებს შუა ჩაგდებული კალაპოტი სოფლებისათვის
ვიწროა და სოფლების გარშემოწერილობის დაძლევა მხედველობით

ადვილი მისაღწევი. საქართველოს სხვა მიდამოებში ერთი მოსმით მთლიანი სივრცის დაჭერა ძნელია. როგორც ნათქვამიდან სჩანს ქვემო სვანეთი ვერტიკალურათ ვითარდება ლაჯანურის მიმართ. ცენის წყალის ნაპირები შლიან მიდამოებს თანდათანობით და მიყრილი სახლები გაკვირვებით შესცქერიან გიგანტიურ მთების საბუდარებს.

ეს სანახაობა აღებულა ჯვარის მთის დაახლოვებით 1700 მეტრის სიმაღლიდან. ეს გამოკონილი ფანტაზიის ნაყოფი კი არ არის—არამედ განსაკუთრებულ მღებარეობაზე დაყენებულ თვალების და გონების შემოქმედებაა.

მე დაღმართი მთლიანად ჩამოვიარე ფეხით და სალამოს 5 საათზე შევჩერდით აგარაკ მუაშში. ჩვენ მიერ გახსნილი სვანეთი ღრუბლებით ისევ დაიკეტა და ჩვენც შენობებთან პირისპირ დავდექით.

— : —

მძროს საათი *)

VII.

გამოურკვეველი მომავალი დაუდგა იმ ხალხს, რომელიც დღემდე ყველაფერს არშინით ზომავდა. ნეპის ილიუზიები მალე გაჰქრა და გზა დაუთმო კლასობრივ სინამდვილეს. ამწყობ უიმედო იყო, მომავალი უჩინარი და უდიდესი ნაწილი ამ ხალხისა ცხოვრობდა მხოლოდ წარსულით. წარსულის ნაშთებიდან კი, ჯერ-ჯერობით ყველაზე ამაყად თავი ეჭირა სალოცავს, რომლის ეზოც გადაიქცა „ერთა ლიგის“ მსგავს სალაყბო ორგანიზაციის—გელათის ქუჩის განყოფილებად.

ყოველ საღამოს, დაღამებამდე ერთი საათით ადრე, ორი ლოცვის „მინხა“-სა და „ყარბით“-ს შუა გაივსებოდა ეზო. ვინ არ მოდიოდა აქ? ორიოდე ჩასუქებული, რომელთაც ჯერ კიდევ ეცვათ თუმცა გახუნებული, მაგრამ მაინც „ევროპიული ტანსაცმელი“—ნაშთი „ძველი დიდებისა“; წვრილმანით მოვაჭრეები—დღეს უკვე გალატაკების გზაზე შემდგარი ფართო მასა; თავიდანვე ღარიბები და უკვე გაპროლეტარებული ხალხი; თეთრწვერა რაბინი ავტორიტეტული ცხვირით და შავწვერა ხახმები—უკვე მეორე კატეგორია სასულიერო წოდებისა, გაბაები 1) და შამაშები 2); გზადაბნეული „ინტელიგენტები“, რომელთაც მოასწრეს მხოლოდ საშუალო სკოლის დამთავრება და მიუხედავად ამისა არ ეღალატნათ მამების ტრადიციისათვის ვაჭრობის გაგრძელებაში და დღეს როდესაც მათი ძირითადი საქმე ისტორიის არქივში გადადიოდა, თავს ირთობდნენ საერთაშორისო პოლიტიკაზე ლაყბობით და როგორც „სწავლულები“ უხსნიდნენ „უსწავლულებს“ ქვეყნიერების ამბებს და წინასწარ მეტყველებდნენ მომავალს; იყვნენ აგრეთვე სხვა კატეგორიის ახალგაზრდებიც: ახალგაზრდები, რომელთაც ჩამოეკიდნათ მორწმუნეობის სიმბოლო—გრძელი კიკინები—პირისსახეზე და იყვნენ ფანატიკური გატაცებით მიმდევარნი ხასიდების 3) სექტისა; უდიდესი ნაწილი—ეს იყვნენ ის

*) იხ. „ქართული მწერლობა“ № 8—9.

ახალგაზრდები, რომელნიც ინერციით მიჰყვებოდნენ მამაპაპათა ზნე-ჩვეულებებს, მაგრამ თვითონ კი ინდიფერენტულად იყვნენ განწყობილნი სარწმუნოებისადმი; და დაბოლოს აქ იყვნენ მცირე რიცხოვანი, თითებზე ჩამოსათვლელი ისეთი ახალგაზრდებიც, რომელთაც სრულიად შეგნებით გაეწყვიტათ ყოველგვარი კავშირი ღმერთთან და თუ დადიოდნენ სალოცავში, ეს იყო მათ მიერ მხოლოდ დროებითი მანევრი, დიპლომატიური აუცილებლობა წარსულის მრისხანე წარმომადგენლობასთან და უცდიდნენ მოხერხებულ დროს, რათა თავისი აზრები აშკარად გამოეთქვათ. ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნოდა აგრეთვე ნეთანელიც, რომელიც ჩვეულებრივად მოსულიყო ამ საღამოს და თვალყურს ადევნებდა უფროსების საქმიანობას და მსჯელობას.

რა აერთიანებდა ამდენ ხალხს, რომელიც ბუზივით ირეოდა სალოცავის ეზოში? რა ჰქონდა საერთო მშვიერს და მაძღარს, მოხუცს და ახალგაზრდას, ერთეულ „პოლიტიკანებს“ და უსწავლელებს, რეუბენს და ნეთანელს?

ყველას ჰქონდათ თავის საკუთარი მიზნები: ზოგი მოდიოდა ღმერთთან სალოცავად, ზოგიც ღმერთთან საჩხუბრად, მაგრამ ყველა ესენი იყვნენ მორწმუნენი; მოდიოდნენ ისეთებიც, რომელთაც არაფერი არ სწამდათ, მაგრამ ვინაიდან მათ კერძო ინიციატივამ ცხოვრების სხვა დარგებში განიცადა სრული მარცხი, ეხლა სურდათ ეს კერძო ინიციატივა, თავისი ავტორიტეტი—ერთგვარი ავტონომია შეენარჩუნებიათ აქ მაინც, სალოცავის კედლების ფარგლებში; ის ერთეული ახალგაზრდები კი, რომელნიც მოკრძალებით გამოიყურებოდნენ აქა-იქ, ცდილობდნენ მოხერხებულ დროს ლაპარაკში ჩაერთოთ თავიანთი რეპლიკები და კონტრბანდათ შეეპარებინათ ახალ-ახალი იდეები.

ხალხი ჯგუფებად იყო დაყოფილი და ყველა ჯგუფებში გაცხარებული კამათი სწარმოებდა; ნეთანელი ჯგუფიდან ჯგუფში გადადიოდა და ყველგან ჩაურთავდა თავის შენიშვნებს, მიუხედავად იმისა, რომ მორწმუნე მასისათვის მისი შენიშვნები მეტის-მეტად სახიფათო იყო.

პირველ ჯგუფში კამათი იყო „დიდი პოლიტიკის“ შესახებ, რომელიც შეეხებოდა საბჭოთა კავშირის შინაურ და საგარეო საკითხებს. ამ საკითხში დიდ აქტიობას იჩენდნენ თითო ოროლა ყოფილი ხალხი, დანარჩენები ეჭვის თვალთ თავს აქნევდნენ, თითქოს თანხმობის ნიშნად. წვერიანი ხალხი და მოინტელიგენტო-მორწმუნეები—დიდ ნდობით და ავტორიტეტით იყვენ აღჭურვილნი. ამიტომაც, რა

აზრიც არ უნდა წარმოეთქვათ მათ, ყველაფერი მისაღები იყო. ჯგუფი თანდათან იზრდებოდა და კამათიც უფრო „მიმზიდველი“ ხდებოდა.

— არ ვიცი, როგორღა უნდა იცხოვროს ისრაელის შვილმა. ეს მთავრობა აღარაფერს გვანარჩუნებს. რაც რამე გვებადა, სუყველაფერი წაგვართვა. წაიღეს სახლები და მალაზიები. თან ვაჭრობის ნებასაც არ გვაძლევენ. ჩვენ კი, ყველ წუთში ვკანკალობთ, ჩეკაში არ დაგვიჭირონ-თქო. აბა რით უნდა ვიცხოვროთ? სტამბოლის გზა დაკეტეს და ჩვენ აქ უნდა მოგვახჩონ.—ამბობდა რეუბენი.

— ნამდვილად, მაშიახის 1) მოსვლის დღეებია; სწორედ ასე სწერია „თორა“-ში 2), რომ მაშიახის მოსვლის დღეებში ისრაელებს გაუჭირდებათ.—დაუმატა არონმა.

— ეჰ, ჩემო რაბი არონ—გამოცხმაურა ვილაც, კეთილშობილი ღიმიით—ვიდრე მაშიახი მოვა, ჩვენ სუყველას ამოგვუღებენ.

— ამოგვუღებენ და მერე რა იქნება? ეს ხომ მუდმივი არ იქნება? „თიხიათ ჰამეთიმი“ 3) ხომ გწამს?

— „თიხიათ ჰამეთიმი“-კი მწამს, მაგრამ...

— ვერაფერი ნუგეშია „თიხიათ ჰამეთიმი“, არა?—ჩაერია ლაპარაკში ნეთანელი.—ჩვენ იმაზე უნდა ვიფიქროთ, რომ ვიდრე ცოცხლები ვართ, რამე კარგი გავაკეთოთ, თორემ როცა მოგვკვდებით, ძნელი იმედია, რომ კიდევ მოვბრუნდებით სააქაოს. ასე ადვილად ბოლშევიკები ვიზას არ მოგვცემენ.

რეუბენმა მრისხანედ გადახედა ნეთანელს; მისმა ამაყმა და თავხედურმა კილომ გაუხსნა მას ძველი ჭრღობები და მოაგონა დაკარგული ლევი. რეუბენის აზრით მისი შვილის დაკარგვაში—ნეთანელსა და მის ოჯახს მიუძღოდა ბრალი, რომლებმაც გზიდან გადააცდინეს ლევი, მაგრამ ვინაიდან არ უნდოდა ლევის გახსენება, ამიტომ არ შეიმჩნია ნეთანელის სიტყვები და ყურადღება მიაპყრო მეორე მხარეს, სადაც ერთი კიკინებმოშვებული ახალგაზდა გაცხარებით ამტკიცებდა.

— მე ვამბობ, რომ ტროცკი—ეს მაშიახია. იგი „ჰაკალოშ ბარუხუ“-მ 4) გამოგზავნა ქვეყნად, რომ იხსნას ისრაელის ერი გალუთიდან 5). მე წუხელის ვმეცადინობდი თალმუდში და გემატარიით 6) გამოვიანგარიშე—რომ ხუთ წელიწადში უნდა მოვიდეს მაშიახი, რომელსაც ჰქვია სახელად ტროცკი.

უმეტესობაზე ამ ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ხოლო უმცირესობამ რომელმაც ეჭვის თვალით მოისმინა ეს სენსაცია—ამჯობინა გაჩუმებულიყო. ერთად ერთი, ვისაც წასკდა სიცილი და

ვერ მოითმინა—ეს იყო ნეთანელი, რომელსაც შეხედეს ათასი მრისხანე თვალებით. ერთმა მოხუცმა ებრაელმა ამ სიცილის გამო მძიმედ ამოიოხრა და მოიგონა ნეთანელის მამა, რომელიც ძლიერ მორწმუნე იყო ხოლო შვილი კი დარჩა ურწმუნო და „გაუბედურებული“. კამათი ისევ გრძელდებოდა. წინ გამოიჭიმა „ნასწავლი“ ვაჭარი, რომელმაც ასე „შეათასა“ მიმდინარე ამბები:

— ნასწავლმა სახელმწიფოებმა ბალშევიკებთან შესწყვიტეს ყოველივე კავშირი. არც ანგლია, არც ფრანცია, არც ტურცია, არც ამერიკა—ამათთან არ არის. სუყველა ამათი მტერია. ბოლშევიკებს ფული არა აქვს და ჯერჯერობით ჩვენი ფულით ცხოვრობენ. მოსავალი წელს არ მოსვლიათ. მთელი რუსეთი დამშეულია. როცა ჩვენი ფულები გამოელევათ და აღარავინ ეყოლებათ, რომ წაართვან ფული, აღარც პური ექნებათ, გადადგებიან ტახტიდან, აბა რა იქნება? მე ერთმა დიდმა კაცმა მითხრა „სეკრეტათ“ რომ წუხელის ბალშევიკებს ტელეგრამა გაუგზავნიათ ნოე ჟორდანიასათვის, რომ მობრძანდი საქართველოში, დაგვეხმარე და ისევ შენ იყავი მთავრობის თავმჯდომარეთო.

— მერე, მერე?—დაინტერესდნ ზოგიერთი ღიპიანები.

— მერე და, ჟორდანიას შემოუთვლია, მე თქვენთან არაფერი საქმე მაქვს, მე სულ ერთია ანგლიჩანებით და ფრანცუზებით ორ კვირაში მანდა ვარო.

ნეთანელმა ველარ მოითმინა და ისევ ჩაერია:

— ენუქას ანდერძია. ახლა არ ამბობდით, რომ ტროცკი მაშიახიაო? თუ ტროცკი მაშიახია—ჟორდანიას რაღა უნდა?

ამ „რელიგიური“ მოსაზრების წინააღმდეგ ვერავინ ვერაფერი სთქვა და თითქმის ყველანი გაეშურენ მეორე ჯგუფისაკენ, საიდანაც მოისმოდა აღელვებული ხმები.

— არ გვინდა ცალკე შრომის სკოლები.—იძახოდა რაბინის თანაშემწე.—ჩვენ დღემდის იოლად გავდიოდით სხვა სკოლებით, დღესაც ასე იოლად გავალთ. ტფილისში იმიტომ მოუგონიათ ცალკე სკოლები, რომ შვილები გაგვიქრისტიანონ, გაგვიბრიყვონ და სარწმუნოება გამოგვაცალონ. ჩვენი ჯამაათი ყველაზე დიდი ჯამაათია, ჩვენი ხმა გასკრის, თუ საჭირო იქნება დელეგაცია გავაგზავნოთ თვითონ ტროცკისთან. ტროცკი ხომ გაგიგონიათ—გვარად ბრონშტეინიას თურმე ძალიან კარგი ისრაელი ყოფილა.

როშჰაშანასა და ქიფურში¹⁰)—ყოველწლიურად დადის სალოცავში და ლოცულობს:

მთელი წლის განმავლობაში კი სახელმწიფოს საქმებს აკეთებს და როცა ჩაუყარდება ხელში ისრაელების საქმე—უცბად გადასწყეტავს. ამიტომ ვიძახი, თუ საჭირო იქნება თვითონ ტროცკის გავუგზავნოთ დელეგაცია, რომ უნდათ ჩვენი გაქრისტიანება, რომ ჩვენი თვის უნდათ გახსნან ცალკე სკოლები.

— არ გვინდა ცალკე შრომის სკოლები—გაიძახოდა ერთი საექვო სტუდენტი, რომელსაც სტუდენტობას მხოლოდ ძველი გახუნებული ქუდი „უმტკიცებდა“—ჩვენ ყოველთვის ერთად ვიყავით ქართველებთან და ერთად დაფრჩებით. რატომ არ შეუძლია ისწავლოს შაბათა მაწონაშვილს პეტრე კაციტაძესთან?

ისევ გამოჩნდა ნეთანელი, რომელიც ეძგერა „სტუდენტს“.

— ამხანაგო „სტუდენტო“, რასაკვირველია შაბათა მაწონაშვილმა უნდა ისწავლოს პეტრე კაციტაძესთან და ეს ასეც უნდა იყოს. მაგრამ არ შეიძლება მიპასუხოთ შემდეგ საკითხებზე: რამდენი მაწონაშვილია დღეს სკოლაში? რამდენი ჩვენებური ისრაელის ბავშვებია სკოლებში? ძალიან ცოტა? რატომ ხდება ეს? იმიტომ რომ რაბინები და ხანები არ აძლევენ მათ საშვალებას სწავლისას. მაშინ ვინღამ უნდა ისწავლოს ხედერებსა¹¹⁾ და იეშიბებში¹²⁾? რაბინებიც იძახიან, არ გვინდა ცალკე სკოლებიო და თქვენც, ინტელიგენტები, მასვე იმეორებთ. რაღა განსხვავებაა თქვენს შორის? ორივეს მიგყავთ ხალხი დალუპვისაკენ და სიბნელისაკენ. ხომ ხედავთ, ვაჭრობას გამოეცალა ნიადაგი. დღეს მთავრობა მოგვიწოდებს სწავლაგანათლებისაკენ და აგრეთვე იმას, რომ ამოვირჩიოთ ახალი პატიოსანი გზები. თქვენ კი, დახმარების მაგიერ, გზებს ჰკრავთ, რომ სინათლე არ შემოგვეპაროს გელათის ქუჩაზე. თუ ვინმე ჩვენი თანაგანი ამოიღებს ხმას—მაშინვე მზადა ხართ ქვებით ჩაჰქოლოთ. თუ მთავრობა ჩვენ გვიხსნის ჩვენ რაიონში შრომის სკოლას, ჩვენ უნდა გავაგზავნოთ იქ ბავშვები და არ უნდა წამოვეგოთ არც რაბინების და არც ამ ვაჟბატონების პროვოკაციას.

— მართალია, მართალი—გაისმა აქა-იქ ოდნავ მოკრძალებული ხმები.

— რას ლაპარაკობ რაშაყო¹³⁾?—აღელდა რაბინის თანაშემწე.— აი დახე, ისრაელის შვილები, რას შევესწარიო? ახლაც იტყვიოთ კიდევ, რომ მაშიახის დრო არ დამდგარა? ვაი ჩვენს მოსწრებას, როგორი შვილები გაგვიჩნდნენ. ჩვენ ამდენი ხანია ვსწავლობთ, როგორმე ფული შევაგროვოთ, სასაფლაოს ღობე შემოვაკრათ და ეხლა მოდიან ჩვენი ურჩი შვილები და გვეუბნებიან: სხვას ყველაფერს თავი მიანებეთ და ფულები დახარჯეთ გაქრისტიანებაზეო.

— სიცრუეა. — შეაწყვეტინა ნეთანელმა. — ნულარ ატყუებთ ხალხს, სწავლა-განათლება გაქრისტიანებას არ ნიშნავს. გარდა ამისა ვინ გითხრათ, რომ მთავრობას სკოლის გახსნისათვის სჭირია თქვენი ფულები? საბჭოთა მთავრობა ყველგან ხსნის სკოლებს თავის ხარჯზე.

— სასაფლაოს ღობე?

— სასაფლაოს ღობე? — ჩაიციხა ნეთანელმა. — სასაფლაოს რაში სჭირია ღობე? ცოცხლებს არ სურთ სასაფლაოში შესვლა, მკვდრები კიდევ ვერ გამოვლიან იქიდან. მაშ ვისთვის აკეთებთ ღობეს? თუ რაღე ფული გაქვთ, რომელიც ღარიბ ხალხს აატყავთ, მე წინადადება შემომაქვს ამ ფულით გავხსნათ სამკითხველო.

ეს მეტი მეტი იყო კლერიკალური სამყაროსათვის. ყუმბარა გასკდა, ვინაიდან უკვე აივსო მოთმინების ფიალა. წინ წამოდგა რეუბენი და წინადადება შეიტანა, რომ ნეთანელი გაეხერხებინათ ¹¹).

— მეც რეუბენივით ვფიქრობ, რომ რაშაყი ნეთანელი უნდა იყოს გახერხებული. რა გინდა შენ, ცოდვილიანო, აქ, სალოცავის წმინდა გალავანში? რა გინდა შენ აქ ჩვენთან ღირსეული მამის უღირსო შვილო? მამიშენის სიკვდილის შემდეგ არც ერთხელ მისთვის „კადიში“ ¹⁵) არ გითქვია. მამიშენის სულს „ყოლამ-აბას“ ¹⁶) დაეპატრონება „სიტრა-ახარა“ ¹⁷). ყველაფერი ეს კი, შენი ცოდვებით... წადი, მოგვშორდი აქედან, იყავ წყეული. ნუ შემოადგამ ფეხს სალოცავის ეზოში, ნუ წაბილწავ წმინდათა წმინდას, წადი გაგვეცალე აქედან, ვიდრე შევიდოდე სალოცავში, ავიღებდე შოფარს ¹⁸) და როგორც წესია გაგახერხებდე. მაშინ აღარც ერთი ღირსეული ისრაელი არ მოგეკარება სამი ნაბიჯის სიახლოვით...

— ნუ შეწუხდები, რაბი. ჯერ კიდევ საშუალო საუკუნოებმა ვერ შესძლეს მოედრიკათ ურიელ ჰაკოსტას მტკიცე სული. ვისაც ნებისყოფა აქვს ის არის ქვეყნიერების პატრონი. დღეს ხელისუფლების საჭე ხელში უჭირავს საბჭოთა მთავრობას. განა გგონია, რომ დღევანდელი მთავრობის დროსაც ასე ადვილად იპარპაშებთ? რაც უფრო მეტად გაამწვავებთ დამოკიდებულებას, რაც უფრო ხელს შეგვიშლით ახალი გზების ძიებაში — მით უფრო ადრე თქვენ იმზადებთ საკუთარი ხელით სამუდამო სამარეს, მით უფრო ადრე თქვენ დაგჭირდებათ დაგვიცალოთ ისტორიის არენა. ეხლა მე მივდივარ, დავბრუნდები თქვენთან მხოლოდ მაშინ, როცა თვით დარწმუნდებით, რომ გაჭირვების დროს ღმერთი შორს იქნება და დახმარებისათვის ძებნას დაიწყებთ არა ზეცაში, არამედ დედამიწაზე.

ნეთანელის სიტყვებმა თავზარი დასცა ძველი ქვეყნის წარმომადგენლებს, სამაგიეროდ მან მოახდინა უდიდესი შთაბეჭდილება

ახალგაზღვებზე და ლარიბ-ლატაკთა შესამჩნევ ნაწილზე; ნეთანელმა ერთხელ კიდევ გადახედა იქ მყოფთ და მძიმე ნაბიჯებით, გულზე მოწოლილი ღრმა სევდით, გამოვიდა ქუჩაზე.

მარტოობის სევდა აწუხებდა ნეთანელს, როცა მიაბიჯებდა დამტვრეულ ფილაქანზე. თავაულებლად მიდიოდა და ვერ ამჩნევდა, რომ მის წინ, ქუჩის მარცხენა მხარეს მისკენ მოიმართებოდა ხალხი ყვირილით და ერთი ყრიაშლით. თავი ასწია და მის წინ დაინახა მილიციელი და ვაჭარი ვანო.

ვერც კი გაიგო ნეთანელმა, ამდენი ხალხი როგორ შემოერთყა რკალივით და რა უნდოდათ მისგან. ვანომ მიუთითა მილიციელს ნეთანელზე,

— თქვენა ხართ მოქალაქე ნეთანელი? — შეეკითხა მილიციელი.

— დიახ.

— თქვენ დაპატიმრებული ხართ.

ნეთანელის დამძიმებულ გონებას უკვე აღარაფერი ესმოდა. ასეთ სიურპრიაზს ის არ ელოდა. არც არაფერ დანაშაულს არ გრძნობდა, მხოლოდ ინტუიციით მიხვდა, რომ აქ რაღაც პროვოკაცია იყო. ძალა მოიკრიფა და მილიციელს კატეგორიულად განუცხადა:

— აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი. გამაგებინეთ, რაშია საქმე?

— თქვენ ბრალი გედებათ, რომ გიწვალეებით ქრისტიანის ბავში სისხლის აღების მიზნით. წავიდეთ კომისარიატში და კომისარი დაგკითხავთ.

— რიტუალი? ხა, ხა, ხა! ამხანაგო მილიციელო! გთხოვთ დაურეკოთ კომკავშირში ამხანაგ ლევანს, რომ მე დამაპატიმრეს ამ მიზნით. მე მოვდივარ თქვენთან, იმედი მაქვს ერთ საათში განვთავისუფლდები, მაგრამ თქვენ კი, მოქალაქე ვანო, ნუ გგონიათ, რომ დღეს, საბჭოთა ხელისუფლების დროს, კიდევ შეიძლებოდეს ბეილისის ამბების განმეორება. ფრთხილად, თქვენ ცეცხლს ეთამაშებით!

VIII.

ნეთანელი არ დაიბნა არც მაშინ, როცა რაიონის კომისრის მოლოდინში, იგი შეაგდეს გრძელ და ცარიელ ოთახში და გარედან კი გაიკეტეს კარები. ოთახში ძველი დამტვრეული მაგიდის გარდა არ იყო არავითარი აგეჯეულობა. სამაგიეროდ ოთახი კეტის მეტად ნათელი იყო და თითქმის ყველა ფანჯრები გადიოდა სხვადასხვა ქუჩის მიმართულებით. იგი ჩამოჯდა ერთ-ერთ ფანჯართაზე და ფიქრს მისცა თავი.

თუმცა ძნელი იყო ასეთ წუთებში რაიმე გარკვეულ საგანზე ფიქრი, მაგრამ ნეთანელი ეკუთვნოდა ახალგაზდათა იმ ჯგუფს, რომელიც ადრე, ბავშობიდანვე შეეჩვია შერიგებოდა ცხოვრების ყოველგვარ უსამართლობას. ნეთანელმა ძალიან ადრე გაიგო ცხოვრების სიმძიმე და მიუხედავად ყოველგვარი გაჭივრებისა ერთსა და იმავე დროს იგი ჰფიქრობდა, როგორც თავის დაობლებულ ოჯახზე, რომელზედაც ზრუნვა დარჩა მას მემკვიდრეობით მამის სიკვდილის შემდეგ, აგრეთვე თავის ღარიბ თანამოძმეებზე, რომლებიც დღემდე იმყოფებოდნენ სიბნელის ბურუსში.

ნეთანელი ხედავდა, რომ ახალი ხელისუფლება მოვიდა სწორედ სათანადო დროს, რომ მხოლოდ ეხლა შეიძლებოდა რისამე გაკეთება, მაგრამ ამავე დროს იმასაც ჰგონობდა, რომ რევოლუციის ქარტახილმა შეარყია ამ ხალხის მხოლოდ ეკონომიური საფუძვლები, ხოლო მათ სულიერ ცხოვრებაში თითქმის არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

მიზეზი?

მიზეზი ბევრი იყო. ბნელეთის მოციქულებს ჯერ კიდევ ღრმად ჰქონდათ გადგმული ფესვები. ერთ პერცხალს კი გაზაფხული არ მოჰყავს. ახალი ქვეყნის მშენებლებსა და ამ ხალხს შორს საჭირო იყო გამაერთიანებელი ხიდი, მაგრამ ჯერ არ სჩანდა ის ინჟინერი, რომელიც ასეთ ხიდს გააშენებდა.

ოდესღაც იყვნენ მტკიცე ნებისყოფით შეკავშირებულნი, ფოლადის მეგობრები: ლევი, ლევანი და ნეთანელი, ყოველ მათგანს ძვალსა და რბილში გამჯდარი ჰქონდა ერთი მიზანი: ზრუნვა ამ ჩამორჩენილი ხალხის კეთილდღეობაზე. დღეს კი, ცხოვრების უღმობელო პირობების გამო დაიშალა ეს განუყრელი ჯგუფი. ლევი გადიკარგა. იგი ესხვერპლი გახდა რეუბენის ფანატიზმისა. ხოლო ლევანი რევოლუციამ დატვირთა ბევრი საქმეებით და იგი მოუცლელი შეიქნა. დარჩა ერთი ნეთანელი. რა შეეძლო მარტო ერთ ნეთანელს გაეკეთებინა და არ გააკეთა? ნეთანელი სინდისის წინაშე მართალი იყო. ამ სიმართლის გულისათვის მას ყველა სდევნიდა: ებრაელი და ქრისტიანი. ებრაელებმა, მისმა თანამოძმეებმა იგი გამოაგდეს, არ იწამეს მისი აზრები. ხოლო გარედ გამოსვლისას მას იჭერენ როგორც ებრაელს, რომელმაც აწამა ქრისტიანის ბავში...

იცნობდა ნეთანელი ვანოს. იცოდა, კარგად იცოდა მისი შხამიანი შინაარსი. განა ეს ვანო არ იყო, რომელმაც თავის გაუმადლარ ჩარჩულ კლანკებში სული ამოაძრო ღარიბლატაკ მოსახლეობას? განა ეს ვანო არ იყო, რომელმაც უკანასკნელი ნივთები გაუყიდა ნეთანე-

ლის ოჯახს—უფროსის სიკვდილის შემდეგ? განა ვანო არაა გაქლენ-
თილი კაციჭამიობით, რომელიც ყოველდღე იმას ჰფიქრობს, რომ
როგორმე, რომელიმე ებრაელს, რითიმე კისერი მოსტეხოს? განა ვინ
იტყვის ისე ღვარძლიანად სიტყვა „ურიას“, როგორც ამას ჩარჩი ვა-
ნო ამბობს? და დაბოლოს, ვინ მოიყვანა ნეთანელი ამ ადგილას? გა-
ნა ვანომ არ შეთხზა ახალი ჭორი? მაგრამ რისთვის? ან როგორ მო-
ხდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს, ისიც საქართველოში, სა-
დაც ასეთ შემთხვევებს თითქმის სულ არ ჰქონია ადგილი, ვილაც
მაინც წამოეგო ვანოს გაბმულ მახეში და ნეთანელი დააპატიმრეს ასე
უდანაშაულოდ?..

გაიხედა გარეთ. ვილამაც დუქანზე მიაკრა თეატრის აფიშა. წა-
იკითხა, რომ დღეს ქალაქის თეატრში წარმოდგენილი იქნება ახალი
პიესა. დიდი და შავი ასოებით ქვეშ ეწერა სპექტაკლის სახელი:

„ინტერესთა თამაში“.

დაფიქრდა. უცბად გაახსენდა და უნებურად გაიმეორა:

— ინტერესთა თამაში...

შეავლო თვალი ოთახს და გაიცინა. მილიციის სამმართველო
ვანოს შენობაში იყო მოთავსებული. ეს ოთახიც ფორმალურად მი-
ლიციას ეჭირა, მაგრამ შიგ არაფერი იყო. გასულ კვირაში კომკავ-
შირის უჯრედში დასმული იყო ამ შენობის ჩამორთმევის საკითხი
და მასთან დაკავშირებით ცარიელ ოთახებში სხვადასხვა კულტუ-
რული დაწესებულებების მოთავსება. ნეთანელმა ყველაზე უფრო თავ
გამოდებით და აქტიურად მხარი დაუჭირა ამ წინადადებას. ეს ამ-
ბავი გაიგო ვანომ და გადასწყვიტა შური ეძია ნეთანელზე თავის
სიძის ხელით. მისი სიძე კი პატარა კაცი არ იყო. იგი იყო რაიონ-
ის კომისარი.

შემთხვევაც საუკეთესო მიეცა ვანოს: ვილაც მეზობლის ბავში
გადაიკარგა მეორე დღეა. დაკარგული ბავშვის მშობლები ახლად გა-
დმოსახლებული იყვნენ სოფლიდან. თან ჩამოიტანეს ცრუმორწმუნო-
ება და ძველი აზრები. საჭირო იყო მხოლოდ ნალვერდლის გამლვი-
ვებელი. ასეთ როლს ვანოზე უკეთ ვინ შეასრულებდა, მით უმეტეს
როდესაც მისი სიძე ყოვლის შემძლე იყო. ახლა კი, ჰფიქრობდა ვა-
ნო, ასწავლიდა ჭკუას ამ „ურის ბარტყს“...

მაგრამ „ურის ბარტყს“ არ სჭირდებოდა ჭკუის სწავლება.
იგი საკმაოდ ჭკვიანი იყო, რომ გარკვეულიყო ამ ამბების ხლართში
და გულდამშვიდებით ელოდა რაიონის კომისარის მობრძანებას, რო-
მელიც შეუდგებოდა ნეთანელის დაკითხვას.

მაგრამ რაიონის კომისარი არ ჩქარობდა. ზემო სართულში იგი ჩაის მიითმევდა და ტკბილ მუსიკაში იყო გართული ცოლთან და სიმამრთან. აქ როლები განაწილებული იყო: ვანო მოწმე იყო, მისი სიძე კი მოსამართლე. ნეთანელს მოიშორებდნენ და სახლიც დარჩებოდა ვანოს, ხოლო ცარიელი ოთახები კიდევ მის სიძეს.

ის ოთახიც, სადაც ეხლა საოცარი სიმშვიდით დასეირნობდა ნეთანელი, შეხვდა კომისარს... ამ ოთახში ის სასტუმრო ოთახს მოაწყობდა.

ყოველივე ეს წყდებოდა ზევით სართულში. ნეთანელმა დეტალები არ იცოდა, მაგრამ ზოგადად ყველაფერს მიმხვდარი იყო. ერთხელ კიდევ გაიხედა ქუჩისაკენ და ერთხელ კიდევ წაიკითხა სარკასტიული ღიმილით შავი და დიდი ასოები:

— ინტერესთა თამაში...

შემდეგ მოშორდა ფანჯარას და დაიწყო ოთახში სეირნობა. უცბად ერთმა აზრმა გაუელვა თავში, შეჩერდა შუაგულ ადგილას და შემოაბრუნა დამტვრეული მაგიდა ფანჯრისაკენ. შემდეგ ერთხელ კიდევ გაისეირნა. გულმოდგინებით შეისწავლა ჭერი და იატაკი, რამოდენიმეჯერ დაითვალა კარები და ფანჯრები, შემდეგ ამოიღო უბიდან ქალაღი და ფანქარი, გადაიღო ოთახის გეგმა და შიგ დასვა სამი წერტილი. გადააბრუნა ქალაღი და მეორე გვერდზე გაამწკრივა ციფრები. საბოლოო ჯამში მას შერჩა: ასოცი მანეთი.

და ნეთანელის სახეზე აღიბეჭდა იმედი და მძლავრი სიხარული. ელექტრონის დენასავით დაუარა სხეულში ახალმა იდეამ და თავისთვის მოულოდნელად შესძახა ხმამაღლა:

— გადაწყდა!

კარები გააღო და ოთახში საჩქაროდ შემოვარდა ლევანი. გაშტერდა—არ ელოდა, რომ ნახავდა ასეთ ნეთანელს. როცა ლევანი მორბოდა აქეთკენ, მას ეგონა, რომ ნეთანელი დახვდებოდა დაღვრემილი და უსამართლობით აღშფოთებული. მაგრამ იგი გაიხილა, როცა დაინახა, რომ ნეთანელი იდგა შუა ოთახში გაბრწყინებული სახით, ხელში ეჭირა ფანქარი და ქალაღი და მოღიმარი თვალებით უცქერდა მეგობარს. როდესაც კარები იღებოდა და ლევანი შემოდიოდა, მან აშკარად გაიგონა, რომ ნეთანელმა წარმოსთქვა ერთი სიტყვა: „გადაწყდა“. იმ მომენტში ლევანს ეგონა, რომ მისი მეგობარი ჭკუიდან შეცდა, მაგრამ ეხლა, მხოლოდ ეხლა, ამ წუთში, როდესაც მან პირდაპირ შეხედა ნეთანელს ცისფერ და საოცრად დამშვიდებულ თვალებში—დარწმუნდა რომ შესცდა. ერთხანს იდგნენ უსიტ-

ყვოდ და შემდეგ ერთსა და იმავე დროს მიუახლოვდენ ერთმანეთს და გადაეხვიენ.

— ნეთანელ! შენ მეგონა დამხვდებოდი ძალიან აღშფოთებული და თურმე შევმცდარვარ. გავიგე თუ არა ეს ამბავი, გავვარდი პარტიულ კომიტეტში. იქ თურმე ჩემზე ადრე გაეგოთ. მივიღე დირექტივები და საჩქაროდ გამოვვარდი. ნუ სწუხარ, ყველა დამნაშავენი, ყველა პროვოკატორები სასტიკად იქნებიან დასჯილნი.

— მე სრულებითაც არა ვსწუხვარ ამაზე; ამხანაგო ლევან, განა არ მესმის, რომ რიტუალის ლეგენდას საბჭოთა ხელისუფლების დროს არავინ მისცემს გასაქანს? ყოველივე ეს, ჩვენი კლასობრივი მტრების ამბებია, რომელთაც სურთ ძველი რუსეთის მაგალითით ჩვენშიაც აურიონ წყალი. მე ერთი წუთითაც არ მეპარებოდა ეჭვი, რომ ამ უღლეურ პროვოკაციას ასე მალე მოეღებოდა ბოლო. მაგრამ იცი შენ, ქართული ანდაზა რომ ერთი ჭირი მარგებელია? იცი შენ, რომ მე ეხლა ძალიან მიხარია, რომ შემომამბრძანეს აქ ერთი საათით?

— რას ლაპარაკობ ნეთანელ? მე შენი არაფერი მესმის. აქ რომ მოვდიოდი კარებთან გავიგონე, რომ შენ იძახოდი: გადაწყდაო. რა გადაწყდა? ნეტავ რატომ გიხარია ეს შეურაცყოფა აღმოცენებული სარწმუნოებრივ ნიადაგზე, რომელიც წარმოადგენს ძველი საუკუნეების სამარცხვინო ლაქას? აბა, ნეთანელ, ჩქარა მითხარი ყოველივე, თორემ მეტის მოთმენა აღარ შემიძლია.

— სწორედ ეხლა შეგვიძლია ლევან, განვახორციელოთ ჩვენი ძველი დიდი ხნის ოცნება. არ უნდა გავუშვათ ხელიდან ჩვენი კლასობრივი მტრების პროვოკაცია. ეს საუკეთესო მომენტია, როდესაც შევძლებთ ებრაელთა ფართო მასები—მოვიზიდოთ კულტურული მუშაობისაკენ. ეს ერთის მხრით. მეორე მხრით ჩვენ პრაქტიკულად უნდა გადავდგათ ნაბიჯი. აი, ხომ ხედავ ამ გეგმას? ეს ამ ოთახის გეგმაა. ეს სამი წერტილი ამ გეგმაზე ნიშნავს: ამ ადგილას იქნება გრძელი მაგიდა, ამ ადგილას პატარა მაგიდა, ამ ადგილას კიდევ წიგნების შკაფი.

— ვაშა ნეთანელ! შენ გინდა სწორედ ამ ცარიელ ოთახში მოთავსებულ იქნეს ებრაელთა რაიონის სამკითხველო?

— ყოჩაღ ლევან, შენ მიხვდი ჩემს აზრებს.

— აგერ ჩემი ხელი. მე შენთან ვარ ამ საკითხში. ეს სახლი მდებარეობს ებრაელთა უბნის ცენტრში და ამაზე უკეთესს ვერ ვიშოვოთ. წავიდეთ, სადაც საჭიროა და შევეუთანხმოთ. ვერავინ და ვერაფერი ვერ დაგვიდგება მის შემდეგ. მე მოვახერხებ დღესვე ვიშოვოთ ასორმოცდაათი წიგნი.

— აი ამ კედელზე ჩამოვკიდოთ ლენინის, მარქსის და ენგელსის სურათები. იქ კიდევ კარების თავზე იცკა რიჟინაშვილის სურათი.

— მაგრამ სურათები და წიგნები ხომ არ კმარა? ოთახს სჭირდება განათება, ნივთები და რემონტის გაკეთება. ამისათვის საჭიროა ფული. საბიუჯეტი წლამდე კი — ჯერ კიდევ დიდი ხანია. მანამდე კი პოლიტგანს არ შეუძლია არც ერთი კაპიკის გაღება. მე ეხლა იმას ვფიქრობ, როგორ უნდა ვიშოვოთ ფული? საჭიროა ყველაფერი საჩქაროდ გავაკეთოთ, რომ საჩქაროდ დავცეთ თავზარი ჩვენს მტრებს და საჩქაროდ შევქმნათ პირველი კულტურული კუთხე მშრომელ ებრაელთათვის.

— მეც გეთანხმები ლევან, რომ საჭიროა საჩქაროდ გავხსნათ. მე მზად ვარ, თუნდაც ხვალვე. ელექტრონის მაგიერ ჭრაქი ავანთოთ. ჯერ თვით ეს ჭრაქი ძილს დაუფრთხობს წყვდიადის მოციქულებს და რაღას იზამენ მაშინ, როდესაც ამ სამკითხველოდან გამოანათებს ელექტრონის ძლევამოსილი შუქურა?.. მე უკვე გამოვიანგარიშე, ჩვენ გვჭირდება ჯერჯერობით ასოცი მანეთი და ისიც ვიცა, როგორ ვიშოვოთ ეს ფული.

ამ დროს ოთახი გაიღო და შიგ შემოვიდა რაიონის კომისარი უფროსი მილიციელის თანხლებით. ლევანი თითქოს ვერც შეამჩნია, პირდაპირ მიმართა ნეთანელს:

— თქვენ თავისუფალი ხართ. აქ რაღაც გაუგებრობა ყოფილა და ჩვენ უკვე გამოვარკვიეთ.

ლევანი წინ წამოდგა და პირდაპირ თვალებში აეტუზა:

— ველარ მიცანით, არა? სალამი მოქალაქე კომისარო. არა უშავს, ნუ შეწუხდებით, ხელის ჩამორთმევა ჰიგიენური არაა. საინტერესოა ვიცოდეთ, როდის შეიტყვეთ, რომ აქ გაუგებრობა იყო? საერთოდ, ჩვენს პირობებში, სამწუხაროდ, ჯერჯერობით კიდევ ბევრი გაუგებრობა ხდება და ჩვენც ვეცდებით ეს გაუგებრობანი გამოვარკვიოთ. საბჭოთა ხელისუფლების მტრებს, რომლებიც მოკალათებულან ჩვენს აპარატებში — ძირშივე აღმოვკვეთთ. გესმით კომისარო?

კომისარს კარგა ხანს ესმოდა, ესმოდა მეგობრების ნაბიჯებიც როცა ჩადიოდნენ კიბეებზე. ქუჩაში მოგროვილიყო აუარებელი ხალხი, რომელიც უდიდესი ცნობისმოყვარეობით და პატივისცემით ელოდა მეგობრების გამოჩენას. კარგა ხანია დაღამებული იყო, მაგრამ არავინ მიდიოდა სახლში და სურდათ თვითონ გამოლაპარაკებოდნენ ნეთანელს და ლევანს.

ვინც არ იცნობდა ამ ხალხს, ერთი შეხედვით ძნელი გახდებოდა გაგება, რა მოხდა ისეთი, რომ ერთ საათში თავიდან ბოლომდე შეიცვალა მათი შეხედულება ნეთანელზე. ნეთანელმა კარგად იგრძნო, როდესაც გადახედა გარშემოკრებილ ხალხს, რომ მისი ავტორიტეტი იზრდება ყოველ წუთში და ვერავითარი ბნელი ძალები ვეღარ შესძლებდენ ცხოვრების აუცილებელი მსვლელობის შეჩერებას. მიუხედავად ამისა მეგობრები სალაპარაკოდ არ გაჩერდნენ.

* * *

შემდეგმა დღეებმა მოიტანეს მთელი რიგი ახალი ამბები.

დაკარგული ბავში აღმოჩნდა სრულიად ჯანმრთელი და უწყვლადი სადგურ ხრესილში. მისი ჩამოყვანა ქალაქში ერთგვარი ტრიუმფი იყო, როგორც მშობლებისათვის, აგრეთვე იმ ხალხისათვის, რომელიც არ იზიარებდა არავითარ ასეთ მსგავს საზიზღარ ჭორებს.

რაიონის კომისარი მოხსნეს სამსახურიდან და მისცეს პასუხისგებაში.

მასთან ერთად სასამართლოს გადაეცა ჩარჩი ვანოც.

სასამართლომ, ნეთანელის წინადადებით, ვანოს შეუფარდა შედარებით იოლი სასჯელი: ჯარიმა 120 მანეთი ებრაელთა რაიონის სამკითხველოს სასარგებლოდ და მიეცა სამი წელიწადი გამოსაცდელ ვადად.

დიდი სახლი ჩამოერთვა ვანოს და გადაეცა კომუნალურ განყოფილებას. ცარიელი და გრძელი ოთახი გადაეცა ლევანს და ნეთანელს ებრაელთა რაიონის სამკითხველოს მოსაწყობად.

შეიღება ოთახი და გაყვანილ იქნა სინათლე.

მოიტანეს: შკაფი და წიგნები, სურათები და ლურსმნები.

დაინიშნა გამგედ — ნეთანელი.

აელვარდა პირველი შუქურა.

საზეიმო გახსნაზე ხალხი აღარ ეტეოდა ოთახში და იდგნენ კიბეებზე და ქუჩაზე.

ძველი ქვეყანა წყევლას უთვლიდა ახალ თაობას მაგრამ ამაოდ: ახალი თაობა მოდიოდა ახალი ნაბიჯებით და ახალი გზებით.

როცა ძველები ლოცულობდნენ საღამოს ლოცვას, ახლები — საზეიმო საღამოზე კითხულობდნენ ტფილისიდან მიღებულ მისასალმებელ დეპეშებს.

IX.

სანაპირო რაზმის კანცელიარია.

ტელეფონთან იჯდა ახალგაზდა კაცი წითელარმიელის მაზარა-

ში გამოხვეული. წლოვანობით იგი ახალგაზდა იყო: ჯერ კიდევ ოცდასამი წელი არ ჰქონდა შესრულებული, მაგრამ შეხედულებით ოცდაათი წლის ვაჟკაცს ჰგავდა. სახეზე ეტყობოდა, რომ ცხოვრებაში მას შეხვედრია მრავალი უსიამოვნება, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, იგი არ ვარდებოდა სასოწარკვეთილებაში და ენერგიულად აგრძელებდა გზას.

ოთახში მარტო იყო. არავინ არ უშლიდა მყუდროებას. ქალაქს უკვე ეძინა. დრო გამოშვებით მოისმოდა ზღვის ძლიერი ტალღების ხმაური.

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზდას მეტის მეტად ძნელი სამუშაო ჰქონდა, იგი ბედს არ ემდუროდა. იგი სთვლიდა იმ საქმეს, რასაც ის ემსახურებოდა—სასარგებლო საქმედ, რომლისგანაც დამოკიდებული იყო სახელმწიფოს საგარეო ვაჭრობის სიმტკიცე. დიდი ხანია იგი ოცნებობდა სხვა უწყებაში მუშაობას, მაგრამ როგორც კარგ მუშაკს მას არ ანთავისუფლებდენ. ახალგაზდაც არ სჩიოდა და ფხიზლად იდგა სადარაჯოზე.

ამ საღამოს იგი ღელავდა. მაგიდაზე უწესრიგოდ ეყარა სხვადასხვა საჭირო ქალაქები. რამდენჯერ დააპირა მათი გადარჩევა და მოწესრიგება, მაგრამ ვერ ახერხებდა. ყოველ წუთში გულის ფანცქალით ელოდა, რომ ტელეფონზე დაუძახებდენ. როგორ უნდოდა, რომ ჩქარა დაეძახნათ და შეეტყობინებიათ მისთვის სასიხარულო ამბავი.

და რა იყო ეს სასიხარულო ამბავი?

იგი არ ცხოვრობდა, თავის პირადი სიხარულით. დიდიხანია მას გამოესალმა. ეს იყო ოდესღაც. სიზმარივით გაჰქრა. ეხლა იგი ცხოვრობდა საერთო ინტერესებით, სახელმწიფო ინტერესებით. ყოველთვის, როდესაც მას შეატყობინებდენ, რომ დაჭერილია კონტრაბანდისტთა ესა თუ ის ჯგუფი, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა იგი მთელი თავის არსებით გატაცებული იყო მხოლოდ ამ საქმით. იგი სხვაზე არ ჰფიქრობდა, უკედ ცდილობდა არ ეფიქრა.

ახლაც ჰფიქრობდა მხოლოდ იმ ჯგუფზე, რომელიც მისი ცნობების თანახმად დღეს ქალაქში იყო შემოსული და ეწეოდა კონტრაბანდით ვაჭრობას. ღელავდა და უაზროდ უცქერდა დაფანტულ ქალაქებს. უცბად გაისმა ტელეფონის წკრიალი.

— მესმის. ეს მე ვარ, ამხანაგი ლევი. რა ჰქენით? დააპატიმრეთ? ძალიან კარგი. რამდენია? ხუთი? მოიყვანეთ ეხლავე კანცელარიაში. საჩქაროდ, გიცდით. დაჭერილი საქონელი? დალუქეთ და თან წამოიღეთ.

ძლივს ამოისუნთქა დამშვიდებით. შემდეგ შეუდგა არეულ-და-
რეულ ქალღმრთის მოწესრიგებას და როცა დაასრულა მათი მოგვა-
რება, მოუკიდა პაპიროსს და დაიწყო ლოდინი.

ოთახში შემოვიდა წითელარმიელი, რომელმაც შეატყობინა,
რომ ყველა პატიმრები უკვე მოყვანილი არიან.

— ძალიან კარგი, შემოუშვით სათითაოდ.

შემოვიდა პირველი. ეს იყო მაღალ მაღალი, სლავიანური ტი-
პის ადამიანი. ჰქონდა პატარა, კატისფერი თვალები და შეშინებუ-
ლი აცეცებდა აქეთ-იქით.

— თქვენი სწორი სახელი და გვარი? — მიმართა ლევიმ.

— სერიოჟა სოკოლოვსკი.

— წლოვანება?

— ოცდათორმეტი წლისა.

— ეროვნება?

— რუსი.

— რომელი ქალაქიდან ხართ წამოსული?

— ნოვოროსიისკიდან.

— რამდენი ხანია ხართ ჩამოსული?

— დღეს ჩამოვედი.

ლევიმ ჩახედა საქმეში და შემდეგ მიმართა:

— გირჩევთ აღიაროთ სიმართლე. ჩვენ ყველაფერი ვიცით.

კონდაბანდისტი ჩუმად იყო.

— დიდი ხანია ეწევით კონდაბანდით ვაჭრობას?

— მე სულაც არ ვეწევი კონდაბანდით ვაჭრობას. მე შემთხვე-
ვით ვიყავი ჩამოსული ბათომში. გადავეკიდე ერთ თათარს და იმან
შემაცდინა.

— კიდევ გირჩევთ, საქმეს ნუ იფუჭებთ. ილაპარაკეთ მხოლოდ
სიმართლე, სიმართლე.

რა ჩამოგართვეს?

— სამოცი მეტრი კავერკოტი და ოცი კარობკა პუდრი კოტიე.

— რისთვის გჭირდებოდათ ამდენი საქონელი?

— მე დიდი ოჯახი მყავს. აგრეთვე ძმები და დები. მე ყველა-
ფერი ეს ვიყიდე არა გასაყიდად, არამედ საშინაოდ.

— საშინაოდ იყიდეთ? ოცი კარობკა პუდრი და სამოცი მეტ-
რი კავერკოტი. ხა, ხა, ხა! ძალიან დიდი მადა გქონიათ მოქალაქე
სოკოლოვსკი. ან იქნებ ჰფიქრობთ, რომ შესძლოთ აგვიხვიოთ თვა-
ლები და დაგვიმტკიცოთ, რომ თქვენ არასოდეს არ ეწეოდით კონ-
ტრაბანდით ვაჭრობას. მოიგონეთ სოჩა და ოდესა. თქვენ გაქვთ შვი-

დი რეგისტრაცია და უკვე შერვედ ჩავარდით. თქვენი გამოსწორება როგორც სჩანს არ შეიძლება საპატიმროთი. თქვენ. როგორც სოციალურად საშიში ელემენტი სახელმწიფოსათვის, უნდა იქნეთ გადასახლებული ძალიან შორს. ამჟამად კი თქვენ გადაგაგზავნით სახელმწიფო პოლიტსამმართველოს განკარგულებაში.

სოკოლოვსკი თითქოს ელოდა ასეთ განაჩენს, წარბშეუხრელად გაჰყვა იგი წითელარმიელს. ერთი წამის შემდეგ შემოვიდა მეორე კონტრაბანდისტი. იგი იყო საშუალო ტანადობისა, შავი სახის პატრონი, ჰქონდა გრძელი უღვაში და პატარა წვერი ნიკაპზე.

— თქვენი სახელი და გვარი?

— ტიგრან მანუკიანცი, ბატონო.

— რით ვერ გადაეჩვიეთ ამ ბატონოს, მოქალაქე მანუკიანც?

— ბატონი ბრძანდებით, აბა ბატონი რომ არ იყოთ, აქ ვინ დაგაჯენდათ. სადაური ჩემი ამხანაგი ხართ, მე კონტრაბანდისტი ვარ, თქვენ კი ჩვენი მთავრობა ხართ, ღმერთმა გაცოცხლოთ. გაჭივრებაში რომ ჩავვარდებით, უნდა დაგვიხსნათ ხოლმე.

— ზედმეტ ლაპარაკს თავი ანებეთ. დიდი ხანია ჰყიდით კონტრაბანდას?

— მე, ბატონო? როგორ გეკადრებათ... მე სულ სამი თვეა, რაც ერთმა ურიამ შემაცდინა.

ის ურია ჩვენთანაა ეხლა დაჭერილი.

— რა დაგიჭირეს?

— ცოტაოდენი ფართალი მქონდა საშინაოდ ნაყიდი.

— შენც საშინაოდ გქონდა ნაყიდი? საინტერესოა, როგორ ყველა ერთნაირად მღერით. კმარა გაიყვანეთ.

— სად ბატონო, სად უნდა გამიყვანონ?

— ჯერ სარდაფში და მერე ვნახოთ.

— ვა, როგორ გეკადრებათ ბატონო ასეთი საქმე. საქონელი ხომ წაიღეთ და მეტი რაღა გინდათ? მე ჩემი ზარალიც მეყოფა. მაშ რილასთვის მიჭერთ? არ შეიძლება სახლში წავიდე?

— რომ შეიძლებოდეს თქვენი სახლში წასვლა, განა თქვენი-სთანა მუქთახორებს პურს ვაჭმევთ? გაიყვანეთ.

მანუკიანცის გაყვანის შემდეგ, შემოუშვეს მესამე კონტრაბანდისტი. მას ჩაცმულობა მაჰმადიანური ჰქონდა, ხოლო შეხედულებით კი ქართველს ჰგავდა.

— სახელი და გვარი?

— ჰასან იუსუფ-ოღლი.

— ჰასან იუსუფ-ოღლი... ეს გვარი ჩემთვის კარგად ცნობილია. მაშ ასე... თქვენ კიდევ ჩავარდით ჩვენს ხელში. თქვენ გაქვთ ჩვიდმეტი რეგისტრაცია და ვერაფრით თქვენი გასწორება ვერ იქნა შესაძლებელი. თქვენი დარჩენა აჭარისტანში აღარ შეიძლება. გადაგაგზავნით სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოში და ვფიქრობ, ისინი მიიღებენ ყოველივე ზომებს, რათა თქვენ გამოგასწორონ.

იუსუფ-ოღლის გააქრჯოლა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა. უხალისოდ გაჰყვა წითელარმიელს. შემოუშვეს მეოთხე.

— თქვენი სახელი და გვარი?

— ევტიხი მოდებამე.

— წლოვანება?

— ოცდაცხრა წლისა.

— რომელი ქალაქიდან ხართ ჩამოსული?

— ქუთაისიდან.

— რამდენი ხანია ჩამოხვედით?

— მეხუთე დღეა.

— თქვენ ჩვენთან რეგისტრაციაში არ ხართ გატარებული. ნუ თუ ეხლა შეუდევით ამ ხელობას, თუ წინადაც დახელოვნებული იყავით ამ საქმეში?

— თუ დამიჯერებთ, მოგახსენებთ, რომ მე, როდესაც მოვდიოდი ბათუმისაკენ, თავბედს ვიწყევლიდი. ბოროტმა ძალამ მაიძულა წამოვსულიყავი. მე ჩემს სიცოცხლეში არასოდეს თანხა არა მქონია. ყოველთვის ვიყავი ნოქარი და ჩემი შრომით ვირჩენდი თავს. ოცსაათს მამუშავებდენ დღედაღამეში. არ ზოგავდენ ჩემს ჯანსა და ღონეს. როცა რევოლუცია მოხდა და გადაბრუნდა ყველაფერი, ჩემს „ხაზეინს“ უკულმა წაუვიდა საქმეები. სახლები ჩამოართვეს და ვაჭრობაც შეუმოკლეს. იმან ჭკუა იხმარა და ფულები გადაარჩინა. ამ ფულებით გამომაგზავნა აქ, რომ შემეყიდა საზღვარგარეთის საქონელი და ჩამეტანა მისთვის. როცა ყველაფერი შევიყიდე საქონელთან ერთად, დამიჭირეს. მე ყველაფერი მოგახსენეთ. ახლა, როგორც გენებოთ, ისე მოიქეცით. იმასაც მოგახსენებთ, რომ არ წამოვსულიყავი, მე ისე ვყავარ ხელში ჩაქერილი, „ხაზეინს“ რომ სიმშლით ამოგვხოცავდა მეც და ჩემს ცოლშვილსაც.

— თუ ნოქარი ხართ, პროფკავშირში რატომ არ ხართ ჩაწერილი?

— მოკვლით დამემუქრა.

— სირცხვილია, ახალგაზდა კაცი როგორ შეუშინდით თქვენს გამყვლეფელს. მიბოძეთ თქვენი საბუთი. ძალიან კარგი. ახლა მითხარით, ვინ არის თქვენი „ხაზეინი“?

— ვანოშვილი.

— ვანო?! ვანო?! ვანო?! ეს წურბელა, ეს ხალხის სისხლის მწოვი?..

მოდებაძეს არ ესმოდა რა ემართებოდა ლევის, ხოლო ლევის კი გაეხსნა ძველი კრილობი და ყველაფერი ძველი, რომელიც ეკუთვნოდა მისთვის შორეულ წარსულს, ნათლად წარმოუდგა თვალწინ. მაგრამ არ დაუმორჩილა თავი სავსებით გრძნობას და განაგრძო:

— ეს იყოს პირველი და უკანასკნელი შეცდომა. თქვენ ეხლა განთავისუფლებთ. მომავალში აღარ შესცდეთ. წადით და ეძიეთ ლუკმა პური პატიოსანი გზით, პატიოსანი შრომით. გადაეცით ვანოს, რომ მისი საქონელი, მისი სიმდიდრე ჩამორთმეულია ლევის მიერ. ეს საქონელი და ეს სიმდიდრე მან შეიძინა ლარიბლატაკი ხალხის ზურგზე, მევახშეობით და ცარცვაგლეჯით. დღეს დადგა განკითხვის დრო და ყველა მცარცველმა უნდა აგოს პასუხი.

მოდებაძე გავიდა ძლიერ დაფიქრებული. არა ნაკლებ მასზე, დაფიქრებული იყო ლევიც. მაგრამ მან ვერ მისცა ფიქრებს გარკვეული მიმართულება. მის წინ იდგა მეხუთე პატიმარი. ლევის ეგონა, რომ უკვე სძინავს და სიზმარში ხედავს ამ პატიმარს. ეს პატიმარი არც ისე უცნობი უნდა იყოს. ეს თვალები, ეს თავხედური და ხულიგნური გამომეტყველება—რაღაც ახლობელი უნდა იყოს ლევისათვის.

— თქვენი სახელი, მამის სახელი, გვარი...

— ისაკ რეუბენისძეშვილი.

ლევი გაშტერდა, თვალთ დაუბნელდა, ხელიდან კალამი გაუვარდა. არ სჯეროდა, მაგრამ სინამდვილე იყო. არა ნაკლებ აღელვებული იყო პატიმარი, როდესაც გაიგონა ნაცნობი ხმა, რომელიც არ ისმოდა მისთვის და მისი ოჯახისთვის უკვე შვიდი წლის განმავლობაში. ველარ მოითმინეს და ხმამაღლა შეჰკივლეს:

— ლევი!

— ისაკ!

იდგნენ ძმები ერთიერთმანეთის პირდაპირ. უდიდესი სურვილი ჰქონდათ ორივეს გადახვეოდნენ ერთი მეორეს, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ფეხს ვერ სძრავდა.

ოთახში გამეფდა სამარისებური სიჩუმე. ამ სიჩუმეში ელვარებდა ოთხი თვალი. ისმოდა გახშირებული სუნთქვა. გაუგებარი წუთები იყო და ორივენი დაიბნენ.

მაგრამ ეს იყო მხოლოდ პირველ მომენტში. სამსახურის მოვალეობის შეგნებამ წასძლია ლევის და გრძნობა გონებას დაუმორჩილა. ხელიც არ ჩამოართვა თავის ძმას და შეუდგა დაკითხვას.

აოცებდა ისაკს ეს ამბავი. ეგონა პირველად, რომ მას ეშველა, მაგრამ ახლა მიხვდა, რომ მწარედ შესცდა.

— ნუ თუ ისაკ, რევოლუციამ, გასაბჭოებამ, და შვიდმა წელიწადმა ვერაფერი გასწავლეს? მენშევიკების დრო სულ ციხეში გაატარე, ეხლა, ბოლშევიკების დროსაც—არ გინდა გამოეთხოვო ციხეს? ნუ თუ ამდენ ხანს ვერ მიხვდი, რომ წავიდა ძველი დრო, რომ დღეს იოლად და უსვინდისოდ აღარავის შეუძლია იცხოვროს, რომ დღეს ყოველი პატიოსანი მოქალაქე ვალდებულია იშრომოს, იშრომოს და მხოლოდ იშრომოს?

ისაკი თვალს არ აშორებდა. ლევი არ გამოცვლილა, ის ისეთივე დარჩა, როგორც იყო ძველად: ვაჭართა კლასის საშინელი მტერი. ოდესღაც ისაკი არ მოუთმენდა ლევის ასეთ ლაპარაკს, მაგრამ ეხლა ჩუმად იყო. ისაკზე მოქმედებდა არა მარტო ის, რომ ლევი ხელისუფლების წარმომადგენელი იყო, არამედ ისიც, რომ ლევის სიტყვები დღეს უკვე მოდიოდა, როგორც შეგნებული ადამიანის ძახილი, როგორც ავტორიტეტული თქმა და როგორც შეუდრეკელი ნებისყოფის ნაყოფი. ისაკი იდგა, როგორც დამნაშავე, თავდახრილი და ხმას ვერ იღებდა.

ლევის კი აკვირვებდა ისაკის ასეთი მორჩილება. ლევი იცნობდა ისაკის დაუდგრომელ ბუნებას და ამიტომ ვერ გაეკო, რატომ დაჩუმებულიყო.

— რა ჩამოგართვეს?

— ჩულქები, ინდიგო, საბლაშე და სხვა წვრილმანი.

— რისთვის ეწევი ამ სმარცხვინო ხელობას?

— აბა რა უნდა ვქნათ, ლევი. შენი წამოსვლის შემდეგ სულ უკუღმა წავიდა ჩვენი ოჯახის საქმე. ბოლშევიკებმა თუ რამე გვექონდა: სახლი და კარი, მალაზია და ფართალი, ფული და ნივთები—სულ ერთიანად ჩამოგვართვეს. აღარაფერი არ შეგვარჩინეს. დაგვიტოვეს მარტო სამი პატარა ოთახი. მამა ნერვიული გახდა. იგი მოხუცდა, წელში მოიხარა და დასნეულდა. ვაჭრობა და საქმიანობა იმას აღარ შეუძლია. არონი ხომ დიდი ხანია უკვე, ხელალებულია საქმეზე. გამოაჩნდა კლექი და ყოველ დღე ჩვენი თვალების წინ დნება ო დნება...

დედა სულ სტირის. სახლში პატრონი აღარავინ არის. ისევ მე დავრჩი ერთი. გადავსწყვიტე ოჯახისათვის ყური მეგდო და დავიწყე საქმიანობა.

— ოჯახისათვის ყურისგდება ძალიან კარგი საქმეა, მაგრამ განა უკეთესი საქმე ვერ იშოვო, როგორც კონტრაბანდით ვაჭრობა? რამდენი ხანია ეწევი ამ ხელობას?

— მაღე, უკვე წელიწადია,

— სამწუხაროა და სამარცხვინო. ნუ მიცქერი ტყუილა მაგ თვალებით. მე არ შემიძლია შენი გადარჩენა. რაც მომიყვები ოჯახის ამბები, სუყველაფერი მჯერა და მესმის. მე თავიდანვე ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა. მე გული მკვდარი მაქვს, გესმის ისაკ? მე აღარ ვცხოვრობ დღეს ოჯახისათვის, მე ვცხოვრობ დღეს მშრომელი ხალხისათვის. ბევრი რამ გადავიტანე ამ შვიდი წლის განმავლობაში. სულ ცოტა ხანია რაც ჩამოვედი რუსეთიდან. არ მეგონა, რომ საქართველოში ჩამოსვლისთანავე ჩემი საკუთარი ხელით დამჭირდებოდა ჩემი საკუთარი ძმის გასამართლება. მაგრამ რას იზამ? პროლეტარიატის დიქტატურის კანონები უღმობელია. იმან არ იცის არც ძმა და არც მამა, არც და და არც დედა, არც ერი და არც სამშობლო,

ესმოდა ყოველივე ეს ისაკს. მაგრამ მას ესმოდა არა მარტო ეს სიტყვები. მას ესმოდა ისიც, რომ უდიდესი უფსკრულია აღმართული მისსა და ლევის შორის. ესმოდა ისაკს, რომ მისი საქონელი გადაეცემოდა საბაჟოს. ესმოდა ისაკს, რომ ის უნდა იქნეს გადასახლებული შორეულ ციმბირში... ყველაფერი ესმოდა, მაგრამ უღონო იყო. მისი საკითხი გადაწყვეტილი იყო. ოჰ, როგორ მკაცრად მოექცა მისი ღვიძლი ძმა! ვინ იცის, სხვა რომ ყოფილიყო ლევის ადგილას, ასეთი მრისხანე განაჩენი შეიძლება არ გამოეტანა ისაკისათვის. ისაკს აღარ დაუწყია ხვეწნა, ბავშობიდანვე ახსოვდა ლევის ხასიათი: ლევის სიტყვა კანონი იყო.

განშორდენ ძმები, როგორც მტრები. ისაკი წყევლა-კრულვას უთვლიდა ლევის, ხოლო ლევამ კი ისაკის გასვლის შემდეგ, ველარ მოითმინა, ჩაჰკეტა ოთახი და მწარედ აქვითინდა. ეს ღამე ყველაზე უფრო საზარელი იყო მისთვის ამ უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში. ჯერ მოდებოდა და შემდეგ ძმასთან უეცარმა შეხვედრამ გააღებინა მისი ქვა გული და აიძულეს ცოტახნით მაინც დაბრუნებოდა წარსულს. გაახსენდა მოხუცა დედა, მოხუცი მამა, ავადმყოფი მორწმუნე ძმა, ნეთანელი, ლევანი...

დიდხანს იტირა. შემდეგ აიღო ქალაღი და დასწერა განცხადება, სადაც ითხოვდა რომ გადაეყვანათ სხვა უწყებაში სამუშაოდ.

მისი თხოვნა დააკმაყოფილეს და გაგზავნეს მეხანძრეთა რაზმის სამმართველოში...

(დასასრული იქნება)

გ ბ რ ა უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს ა ხ ს ნ ა :

1) გა ბ ა ე ბ ი — სალოცავის სტაროსტები; 2) შ ა მ ა შ ე ბ ი — სალოცავის დარაჯები; 3) ხ ა ს ი დ ე ბ ი — ყველაზე უფრო რელიგიური ფანატიკური სექტა

ებრაელთა შორის, რომლებსაც მიაჩნიათ წმინდანათ თავიანთი უფროსი ე. წ. ად-
 მორი, რომლის უფლებები გადადის შთამომავლობით. რუსეთში ასეთი „პრივილე-
 გიებით“ სარგებლობდა შნეერსონის შთამომავლობა. 4) მ ა შ ი ა ხ ი — მესსია მხს-
 ნელი. 5) თ ო რ ა — ებრ. რელიგიური წიგნი. საქართველოში შეცდომით თორას
 ეძახიან სალოცავს (სინაგოგა) 6) თ ი ხ ი ა თ ჰ ა მ ე თ ი მ — მკვდრების გაცოცხლე-
 ბა. 7) ჰ ა კ ა დ ო შ ბ ა რ უ ხ უ — სიტყვა-სიტყვით ეს ნიშნავს: „იყოს წმინდა მისი
 სახელი“. ამ სახელის ქვეშ იგულისხმება ღმ რთი. 8) გ ა ლ უ თ ი — ტყვეობა, დია-
 სპორა. 9) გ ე მ ა ტ ა რ ი ა — მისტიური, განყენებული სათვალავი ებრ. ანბანის
 ასოებიდან. 10) რ ო შ - ჰ ა შ ა ნ ა დ ა ქ ი ფ უ რ ი, — ებრაელთა მრისხანე დღესას-
 წაულები, წლის თავი (ახალი წელი) და შენდობის დღე (სამ-რთლის დღე). 11)
 ხ ე დ ე რ ი — პირველდაწყებითი რელიგიური სასწავლებელი. 12) ი ე შ ი ბ ა — შემ-
 დეგი საფეხურის რელიგიური სკოლა. 13) რ ა შ ა ყ — ა ვ ი, ურწმუნო კაცი. 14) გ ა -
 ხ ე რ ე მ ე ბ ა — დაწყევლა, შეჩვენება. 15) კ ა დ ი შ ი — გადაცვალებულისათვის სპე-
 ციალურად დაწესებული ღოცვა, რომელიც გადაცვალებულის ნათესავმა უნდა
 იკითხოს პირველი წლის განმავლობაში. 16) ყ ო ლ ა მ - ა ბ ა — საიქიო. 17) ს ი ტ -
 რ ა - ა ხ ა რ ა — ბოროტი სული. 18) შ ო ფ ა რ — რქა, გაკეთებული სპეციალურად ებ-
 რაელთა დღესასწაულებში სალოცავის ტრიბუნიდან დასაკრავად, რომელსაც
 ეძღევა სიმბოლური მნიშვნელობა.

—:—

წერილები

ბესარიონ ულენტი

მწ. რეზია სოციალისტური მუშაობის ფორმები

„ვიმუშაოთ ამხანაგებო! ჩვენს წინაშე ძნელი და ახალი, დიდი და კეთილშობილი ამოცანაა—მოვახდინოთ ფართო, მრავალმხრივი, მრავალფეროვანი ლიტერატურული საქმიანობის ორგანიზაცია, მისი მჭიდროთ და განუწყვეტლად დაკავშირებით მუშათა კლასის სოციალისტურ მოძრაობასთან“.

ლენინის ეს სიტყვები ქართული მწერლობის სადღესო ლოზუნგათ უნდა ვაქციოთ.

ოქტომბრის მე-12 წლის თავზე უკვე დაგვიანებულია წერა და ლ. პარაკი ჩვენი მწერლობის დამოკიდებულების შესახებ პროლეტარულ რევოლუციის ნიადაგზე შექმნილი სოციალ-პოლიტიკური სიტუაციის მიმართ. ქართული მწერლობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის, მისი საუკეთესო, სასიცოცხლო ნაწილისათვის უკვე ცხადია და უდავო, რომ თანამედროვე ლიტერატურის განვითარების, მისი არსებობის პირველსა და აუცილებელ პირობას—მიმდინარე რევოლუციის ამოცანათა შეგნება და მის პროცესთან ორგანიული დაკავშირება წარმოადგენს.

ამიტომ იქნებოდა ზედმეტი ეხლა არა ერთხელ თქმულის განმეორება იმ ღრმა საკაცობრიო მნიშვნელობის შესახებ, რომლითაც ხასიათდება კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი რევოლუციონური თარიღი—ოქტომბერი.

დეკლარაციებისა და დიფირამბების დრომ განვლო. არა წერა და ლაპარაკი რევოლუციაზე, არამედ მის ნიადაგზე ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ელემენტების შექმნა და განმტკიცება, ამ მიმართებით გარკვეული, მიზანშეწონილი და გეგმიანი მუშაობა—ასეთია დღევანდლობის დირექტივა, ასეთია იმ სადღესასწაულო

განწყობილებათა სოციალური აზრი და ღირებულება, რომელსაც მსოფლიოს მშრომელ მასსებთან ერთად განიცდის ქართული მწერლობაც—ოქტომბრის საიუბილეო დღეებში.

აქედან პრაქტიკული აუცილებლობა:—პროლეტარული რევოლუციის ეხლანდელ საფეხურზე წამოჭრილ უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს ამოცანათა მთელი სიღრმით შეგნება და ამ ამოცანებისადმი ჩვენი ლიტერატურული საქმიანობის მაქსიმალურად შეფარდება. უკანასკნელი თავისთავად გულისხმობს ლიტერატურული მშენებლობის რეორგანიზაციას, მხატვრული პრაქტიკის ახალ მეთოდებს, მუშაობის ახალ ტემპსა და მაშტაბს, მასალებისა და ობიექტების თავისებურებას, ლიტერატურულ-ორგანიზაციული მუშაობის ახალ ფორმებს.

საკითხის ასეთი დაყენება კიდევ ერთხელ შეაშფოთებს „თავისუფალ ესთეტებს“ „ზეშთაგონებულ შემოქმედების“ ორიენტატორებს. მათ ვულგარულად მოეჩვენებათ პოეტურ შემოქმედების ასეთი უკომპრომისო ჩამოყვანის ტენდენცია „ოლიმპიური პარნასის“ მწვერვალებიდან და მისი პრაქტიკულ-სოციალური მიზნებისადმი, მომენტის მტკიცეული საკითხებისადმი დაქვემდებარება.

მე-19 საუკუნის ესთეტურმა აზროვნებამ, ხელოვნებათმეტყველების ბურჟუაზიულმა თეორიებმა საკმაოდ განამტკიცეს აზრი პოეტური შემოქმედების გამოთიშვის ადაქიანთა მოღვაწეობის სხვა სფეროებისაგან, მხატვრული მწერლობის განყენებისა დროულ-სოციალური ამოცანებისაგან. ამ ბურჟუას საბოლოო გაფანტვა, ამ ტრადიციის გამანადგურებელი აღმოფხვრა—დაწყებითი პროცესია, აუცილებელი პირობაა. საბჭოთა ლიტერატურული მშენებლობისათვის, პროლეტარული ხელოვნების განმტკიცებისათვის.

ყოველი დროის ძოწინავე ხელოვნებას სოციალური გარესკნელი კარნახობდა არა მარტო მასალებს, არამედ მეთოდებსა და ხერხებსაც მისი მშენებლობისა. მაშინაც კი, როცა ხელოვნება, არ ატარებს „ქალაქის კედელზე აღმართულ დროშის ფერს“ იგი არ არის „თავისუფალი“ და დამოუკიდებელი სოციალური ინტერესებისაგან. ასეთ შემთხვევაში ხელოვნება „თავისუფალია“ მხოლოდ გაბატონებულ პოლიტიკურ სისტემისაგან, ან უკეთ მიმართულია მის წინააღმდეგ და მაშასადამე დაკავშირებულია ახალ პროგრესულ სოციალურ მოძრაობასთან, ამოძრავებულია უკანასკნელის იდეებით, შეფერილია მისი დროშის კოლორიტით.

ხელოვნებას არ აქვს აბსოლუტური და მარადული დანიშნულება. მისი ფუნქცია ცვალებადია, მისი ღირებულება და მნიშვნე-

ლობა მოძრაგია და ელასტიური, იგი ყოველთვის შეფარდებულია ეპოქი თავისებურებასთან, დროის მოთხოვნებთან, საზოგადოებრივ ცხოვრების საერთო ტენდენციებთან. დანიშნულების ცვალებადობა არის ხელოვნების ევოლუციის უმთავრესი ფაქტორი, იგია ძირითადი მიზეზი ხელოვნების იმანენტურ სამყაროში შემჩნეული დაუსრულებელი ძვრებისა და გარდატეხების. ამ აზრის საარგუმენტაციოდ არ დაგვჭირდება ხელოვნების ისტორიულ შორეულ წარსულს მივმართოდ, საკმარისია გავიხსენოთ უახლოესი წლების მსოფლიო ლიტერატურის ვითარება. ჩვენი დროის სოციალურმა კატალიზმებმა სავსებით ნათელყვეს პოეზიისა და საერთოდ ხელოვნების უშუალო ურთიერთობა დროის სოციალ-პოლიტიკურ ტენდენციებთან.

ჩვენ მოწამენი ვართ იმ გარემოების, რომ იმპერიალისტური ომის პროცესში ყველა ქვეყნის ლიტერატურა შეეხიზნა ყაზარმებსა და ბარიკადებს. ლექსებმა საპატიო ადგილი დაიჭირეს შრაპნელებსა და მხრჩოლავი გაზების გვერდით. ომის სტიქიით ბოხოქრობდა არა მარტო კონსერვატიული მწერლობა, არამედ ევროპიული ლიტერატურის იმ დრონდელი „პროგრესული“ ბანაკიც, საფრანგეთის ექსტრემისტები, იტალიის ფუტურისტები, რუსეთის მოდერნისტები და სხვა.

ომის საწინააღმდეგო მოძრაობამაც გამოიწვია ამ ტენდენციით ამოძრავებული ლიტერატურა, როგორც არა მარტო შედეგი, არამედ ერთი უძლიერესი ფაქტორთაგანიც მოწინავე კაცობრიობის, მშრომელი მოსახლეობის პროტესტისა „იმპერიალისტური სასაკლავო“ წინააღმდეგ.

მარსელ მარტინეს და კარლ ოტტენის პირველ ურთიერთ გამოხმაურებას მოჰყვა მთელი ლიტერატურული მოძრაობა გერმანელ ექსპრესიონისტების, ფრანგ უნანიმისტებისა და სხვათა სახით.

უკანასკნელად, რუსეთის სამოქალაქო ომის სტიქიაშიც, ლიტერატურა იქცა თავისი კლასის საუკეთესო ბრძოლის იარაღათ. მწერლობა დადგა ბარიკადებზე და გადააწყვეტ კლასიურ შეჯახებაში აქტუალურ მონაწილედ გახდა.

ჩვენ გვინდა პრინციპის ხარისხში ავიყვანოთ ამ მეტყველ ფაქტების ნიადაგზე მიღებული დასკვნა და მიმდინარე ლიტერატურული მშენებლობის პროცესი ამ პრინციპს დავუმორჩილოთ.

პროლეტარული რევოლუცია შევიდა მეტად რთულსა და გადამწყვეტ სტადიაში. ეს არის პერიოდი სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკისა. მუშათა კლასი გადადის ახალ იერიშებზე თავისი ეკონომიური ჩამორჩენილობის, უკულტურობის, წარსულის ცრუმორწმუნე-

ნოებათა წინააღმდეგ. მათი დაძლევა აუცილებელი პირობაა და ამავე დროს უეჭველი გარანტია სოციალისტური საზოგადოებრივობის განხორციელებისათვის, ამიტომაც ახალი ფრონტი არა ნაკლებ გადამწყვეტია, არა ნაკლებ საპასუხისმგებლო და არა ნაკლებ რთული და მძიმე, ვიდრე სამოქალაქო ომის, სამხედრო კომუნიზმის სისხლიანი ეპოპეია. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ახალ ფრონტზე მუშათა კლასი გამოდის უკვე მოპოებულ გამარჯვებათა რესურსებით, გარკვეული ორგანიზაციულობით, მტკიცე და მათემატიკური სისწორით აგებული გეგმით.

ეს არის სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზული გეგმა — რომლის წარმატებით განხორციელება და შესრულება ჩვენი დროის ძირითადი და უდიდესი ამოცანაა.

მუშათა კლასის მთელი შესაძლებლობანი, მისი მთელი სულიერი და ფიზიკური ენერგია მაქსიმალურად დარახმულია ამ მართლაც და უკანასკნელ და გადამწყვეტ ბრძოლაში გასამარჯვებლად.

საბჭოთა საზოგადოებრივობის ყოველი ფენა ჩაბმულია ამ მხრივ წარმართული მუშაობის არაჩვეულებრივად ცხოველსა და დინამიურ პროცესში. მათ შორის გაჩაღებულია შეჯიბრი იმაზე, თუ ვის უფრო ღრმად ესმის თავისი დროის უდიდესი ამოცანა, ვინ უფრო მეტ ენერგიას და ძალას შეაღწევს ამ ამოცანის განხორციელებას, ვინ უფრო მეტს შესძენს სოციალიზმის დაჩქარებით და წარმატებით შენების საქმეს.

სად უნდა იყოს ასეთ პირობებში საბჭოთა მწერლობა? რასაკვირველია ავანპოსტზე. რასაკვირველია ამ თავისებური ბრძოლის პირველ რიგებში, ავანგარდში, ხელმძღვანელისა და მოწინავეს მდგომარეობაში.

ეს იქნება ერთად-ერთი ლოლიკური პასუხი თუ გამოვალთ იმ დებულებიდან, რომ მწერლობა ყოველთვის სოციალური ვითარების პროგრესიული ფაქტორია, თავისი დროის ძირითად ამოცანათა გადაჭრისათვის ამოძრავებელი მოწინავე ძალაა.

რა წარმოსადგენია, რომ საბჭოთა მწერლობა, მთლიანად მდგარი მუშათა კლასის სოციალ-პოლიტიკურ ორიენტაციაზე, არ იზიარებდეს კლასის ამ უდიდესი ამოძრავების მთელს სირთულესა და სიძნელეს. მთელი თავისი ძალებით არ ირაზმებოდეს ამ ფრონტზე, სადაც მწერლობის მონაწილეობა საჭიროა უფრო მეტად ვიდრე ოდესმე და სადმე ისტორიაში.

თუ მწერლობის როლი და მნიშვნელობა დიდი იყო მუშათა კლასის ასამოძრავებლად, მასში კლასიურ შეგნების გასამტკიცებლად

და მებრძოლი განწყობილების გასაღვივებლად სამოქალაქო ომის დროს, როცა კლასიური მტერი აშკარად შესამჩნევი იყო, როცა იგი გარკვეულად მოსჩანდა მოწინააღმდეგე პოზიციებზე, რა თქმა უნდა მწერლობა, როგორც კლასის იდეოლოგიური იარაღი გაცილებით მეტი ინტენსივობით უნდა ამოძრავდეს ეხლა, როცა კლასიური მტერი უკულტურობისა და უმეცრების სახით, წარსულის ცრუმორწმუნოებათა სახით თვით მუშათა კლასის ბუნებაში, მის ფსიქიურ წყობაში, მის ცნობიერებაშია მოკალათებული.

თუ მწერლობის სააგიტაციო როლი ღრმა იყო მაშინ, როცა კლასი იბრძოდა მემამრლეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, რომელთა მიმართ ზოოლოგიური ზიზღი საუკუნოებით განმტკიცებული იყო მუშათა კლასის შეგნებაში, რასაკვირველია გაცილებით მეტი სააგიტაციო რესურსებია საჭირო ეხლა, როცა კლასი ებრძვის უკვე ბუნების ძალებს, დედამიწის სიღრმეში მოქცეულ სიმდიდრეებს, ნედლეულ მასალებს, რათა მათი დაძლევით შექმნას სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლები, მაშინ, როდესაც ამ ბრძოლის ყოველი ობიექტი მუშათა მასისათვის სავსებით ცნობილი და გაგებული არ არის. მეტი აგიტაცია და ზეგავლენაა საჭირო ეხლა, როცა მშრომელი მოსახლეობა იძულებულია ებრძოდეს როგორც ქალაქად ისე სოფლად სამეურნეო ურთიერთობის საუკუნოებით განმტკიცებულ ფორმებს და შესცვალოს ისინი ახალი ფორმებით, რომლებიც მთელი მშრომელი მოსახლეობისათვის აგრეთვე სავსებით გარკვეული და ნათელი არ არის.

რამდენათაც ნათელია მსჯელობაში ეს დებულება, იმდენათ გასაკვირია და გაუგებარი, რომ საბჭოთა მწერლობა ამ შემთხვევაში ჩამორჩენილია მომენტის მოთხოვნილებისაგან. ხუთწლიანი გეგმის ფრონტზე მწერლობა არ სჩანს და ფაქტია, რომ არც ერთი წრე ჩვენი ტექნიკური თუ ჰუმანიტარული ინტელიგენციისა ისე მოსხლეტილი არ არის ამ უმნიშვნელოვანეს პროცესს, როგორც მწერლობა.

სად უნდა ვეძიოთ ამ გარემოების მიზეზები?

სჩანს მწერლობა ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა სექტანტური კარჩაკეტილობისაგან. მას ვერ მოუხერხებია ერთხელ და საბოლოოდ გაარღვიოს ბურჟუაზიულ საზოგადოებრივობის პირობებში შექმნილი დემარკაციული მიჯნა მწერლობისა და სოციალური გარესკნულის შორის და ფართოდ, ორგანიულად შეუერთდეს საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარე პროცესებს.

სჩანს მწერლობა ჯერ კიდევ ვერ დაშორებია ქაოტიური, სტიქიური მუშაობის ტრადიციას. მას ვერ შეუთვისებია ჩვენი დროის

მშენებლობის ძირითადი პრინციპი—ორგანიზაციული, გეგმაშეზომილი, მიზანშეწონილი საქმიანობის, მთელი სიღრმით ვერ გაუზიარებია ლენინის აზრი, რომ „ГВОЗДЬ СТРОИТЕЛЬСТВА СОЦИАЛИЗМА—В ОРГАНИЗАЦИИ“.

ამ რიგათ ჩვენი დღევანდელი ლიტერატურული სინამდვილე ორგანულად ვერ ერთვის სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე პროცესს, ეს გარემოება არ უნდა დაგვამლოთ. სწორეთ აქ უნდა გამოვიყენოთ თვითკრიტიკის ცხოველი და პრაქტიკული ლოზუნგი. მწერლობის მემარცხენე ფენებმა, პროლეტარულმა ელემენტმა დაუგვიანებლივ უნდა ამხილოს ჩვენი ლიტერატურის ეს დიდი ნაკლი, რომლის დროზე გამოსწორების გარეშე მწერლობის წინაშე, სდგას რეალური საფრთხე:—სოციალური გარესკნელიდან მოსხლეტისა, მასსებ-ს ყურადღებიდან გამორიცხვისა, იდეური კრიზისისა და მაშასადამე ფორმალურ-იდეოლოგიური ჩამორჩენილობის.

მართლაც რას წარმოადგენს ჩვენი ლიტერატურული დღევანდელობა, თუ მას განვიხილავთ ხუთწლიანი გეგმის განხორციელებაში, სოციალიზმას მშენებლობაში რეალური მონაწილეობის თვალსაზრისით?

მსჯელობის აბსოლიუტური ფორმა საერთოდ მიუღებელია და რა თქმა უნდა აქაც მოვერიდებით აბსოლიუტურ დასკვნებს. მაგრამ ჩვენი ლიტერატურული პროდუქციის დიდი უმრავლესობა—სრულიად აცდენილია ამ მიზნობრივ ხაზს.

ჩვენი პროეტების დიდი უმრავლესობა განაგრძობს მუშაობას რომანტიული ლირიკის ხაზით. ყოვლად უსაგნოთ, უმიზნოთ და დროსა და სივრცის გარეშე, ყოველგვარ დანიშნულების გარეშე. საჭირო არ არის აქ ცალკე პროეტების ლექსების დასახელება. ავტორები თვითონ გამოიცნობენ ამ სტრიქონების მისამართს. ჩვენ ვეკითხებით ასეთ პროეტებს—რა აზრი აქვს ეხლა მათ ეკზოტიურ რითმების ქარგვას, კახური ღვინის, არღნის, ლოთობის, ლაჟვარდი ცის „ტურფა სამშობლოს“, საკუთარი რომანული თავგადასავალის და სხვა ამგვარ მასალებზე აშენებულ მელექსეობას?

ვის სჭირდება მათი ოცნების და თავდავიწყების, სევდისა და მელანქოლიის, ეროტიკისა და გრძნობათა ღელვის დემონსტრაცია? უპასუხებენ თუ არა ამ კითხვაზე ჩვენი პროეტების გარკვეული ნაწილი და თუ არ უპასუხებენ განა ეს არ ნიშნავს ყოვლად უმიზნო და ქაოტიურ მუშაობას?

უკეთეს შემთხვევაში იწერება ე. წ. „თანამგზავრული ლიტერატურა“, სადაც პროეტები ამჟღავნებენ თავის სიმპატიებს საბჭოთა

საზოგადოებრივობის, მიმდინარე რევოლუციის მიმართ, სადაც ისინი გვეუბნებიან, რომ მათ ახარებსთ რიონზე გემების აგება, ზაჰესი, ქარხნები და სხვ. განა ესეც ჩამორჩენილობა არ არის? მაშინ, როცა მშრომელი მასსები არაჩვეულებრივი ტემპით მიდის წინ—სოციალიზმის მშენებლობის გზით—პოეტებს წარმატებათ და მიღწევათ ეთვლებათ თუ მათ ინებეს და შეამჩნიეს ეს პროცესი, კიდევ მეტ მიღწევათ—თუ მათ მოეწონათ ეს და „გაუღიმეს“ ამ მშენებლობას, მას ორიოდე გართმული სტრიქონი უძღვნეს.

სოციალისტურ მშენებლობას სჭირდება არა სიმპატიები და დიფირამბები, არამედ აქტუალური მონაწილეობა, დახმარება მწერლობის მხრივ, იმ სპეციფიურ იარაღით, რომელიც მწერლობას გააჩნია.

რა მასალებზე მუშაობს ჩვენი ბელეტრისტიკა და რა მხრივ წარმართავს მასსების ცნობიერებას მისი ფორმალურ-ხერხობრივი კონსტრუქცია? ისევ შეყვარებულთა თავგადასავალი, ისევ განვლილი რევოლუციონური ბრძოლების იდეალიზაცია და ზღაპრული გადმოცემა (ეს უკეთეს შემთხვევაში — „თანამგზავრობის სადისერტაციოდ) გამოგონილი, „თითებიდან გამოწოვილი“ სიუჟეტები დამუშავებული გასართობათ „დღიურ სიცხადისაგან“, დასვენებისათვის, ძილის წინ, ან სხვა თავისუფალ დროის მოსაკლავად. ბევრი მათ შორის „კარგი ბელეტრისტული ნაწარმოებია“ ემჩნევა კულტურა, გემოვნებაც, წერის ტექნიკაც, მდიდარი ფანტაზიაც, ენის ცოდნა, სტილისტური თავისებურებანი და სხვადასხვა, რაც „კარგი მწერლის“ თვისებებს შეადგენს, მაგრამ მათ აკლიათ ძირითადი და არსებითი—ეს არის მომენტი დანიშნულებისა. ეს არის კითხვა „რისთვის“? რა მიზნით, რა სოციალური ფუნქციისათვის. ნაწარმოებს, რომელსაც არ გააჩნია ხასუხი ამ კითხვაზე, არა აქვს არავითარი საზოგადოებრივი ღირებულება და მისი ყველა თვისებები არარაობაა—მით უფრო ჩვენს დროში, სოციალისტური მშენებლობის პერიოდში.

ჩვენმა კრიტიკამ ამ მხრივ უნდა გაამახვილოს თავისი ყურადღება. მავნებელია არა მარტო ის ლიტერატურა, სადაც იდეოლოგიური რეაქციის დიდსა თუ მცირე ნიშნებს ვხედავთ, სადაც შეგნებულათ თუ შეუგნებლად მწერლობა მოწინააღმდეგე კლასის ინტერესებით ამოძრავდება, მავნებელია ის ლიტერატურაც, რომელსაც არ გააჩნია არავითარი სოციალურად სასარგებლო ფუნქცია, რომელიც უსაქმობისა და თავის გართობის კატეგორიაა. ეს წარსულის ესთეტური ტრადიციებია უკორექტივოთ გადმონერგილი ჩვენს ახალ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებაში, და ამიტომ მოწყვეტილი თავის სოციალურ ძირებს, გადმობარგული ახალ საზოგადოებრივ ყოფაში,

მოკლებული რაიმე გარკვეულ სასარგებლო დანიშნულებას. ეს „ფუქსავატი სამკაულებია“, რომელთა პროდუქციისათვის ეხლა ენერჯისა და დროს დახარჯვა გაუმართლებელი შრომაა.

ძნელია ამ მოკლე და სასწრაფოდ დაწერილ წერილში იმ კონკრეტულ ღონისძიებათა მითითება, რომლითაც მწერლობა შესძლებს არსებულ მდგომარეობიდან დაძვრას და სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე საპატიო ადგილის მოპოებას. აქ პირველ რიგში სდგას საკითხი მწერლობის მასსებთან დაახლოებისა. უნდა მოისპოს მომქმედი ლიტერატურის სალონური, კარჩაკეტილი მუშაობა. მწერლობამ ბეჭდვითი თუ ზეპირი სახით სისტემატიური და უშუალო კავშირი უნდა დაიჭიროს როგორც ჩვენი დედა-ქალაქის პროლეტარიატთან, ისე მთელი რესპუბლიკის მუშურ და გლეხურ მასსებთან. ამით ერთის მხრივ მწერლობა რეალურად დაეხმარება კულტურის მასსებში შეტანის, მშრომელ მოსახლეობის კულტურულ ამოძრავების საქმეს, ხოლო მეორეს მხრივ მწერლობას გაუადვილდება პროლეტარული საზოგადოებრივობის ინტერესების და მოთხოვნის გაგება, მუშური მასსების უშუალო შეხვედრა ლიტერატურის მუშაკებთან, მისი უშუალო კრიტიკა და ზეგავლენა ხელს შეუწყობს ჩვენი მწერლობის იდეურ გაჯანსაღებას და მის უმტკივნეულოდ განხრას თანამედროვეობის მიმართებით. ჩვენ ამის ზოგიერთი გაკვეთილები გვაქვს, ქართველ მწერალთა შეხვედრა ბაქოსა და სომხეთის მშრომელ მასსებთან, ჩვენი მწერლობის იშვიათი გამოსვლები ტფილისის მუშათა კლუბებში საუკეთესო მაჩვენებელია იმ ორმხრივი და მეტად ღრმა სარგებლიანობისა, რომელიც მოაქვს ამ ერთის შეხედვით „პატარა პრაქტიკულ“ ნაბიჯს.

ყოველმა მწერალმა, ყველა ლიტერატურულმა ორგანიზაციამ და მთლიანად საბჭოთა მწერლების ფედერაციამ ღრმად უნდა შეისწავლოს ის კულტურულ-ეკონომიური ღონისძიებანი, რომლებიც დასახულია პარტიისა და სახელმწიფოს მიერ და რომელთა ჯამიც შეადგენს სოციალიზმის მშენებლობის ხუთწლიან გეგმას. აქედან მწერლობისათვის ნათელი გახდება თუ რა ძირითადი ამოცანებია ამ ჟამად პროლეტარული საზოგადოებრივობის წინაშე და მაშასადამე რა მხრივ უნდა წარმართოს სიტყვის ოსტატმა თავისი ხელოვნების სპეციფიური შესაძლებლობანი.

ეს გზა ლოლიკურად მიიყვანს მწერლობას ჩვენი ქვეყნის ყოფაცხოვრებითი მასალებისა, მშენებლობითი პროცესებისა, ახალი სამეურნეო ურთიერთობის ფორმებისა და საერთოთ სოციალური გარესკნელის ფაქტიური შინაარსის შესწავლის აუცილებლობამდე.

თუ გვინდა დავეხმაროთ მუშათა კლასს ძველი ყოფა-ცხოვრების აღმოფხვრაში, ახალი, კულტურული ყოფის განმტკიცებაში, ამ მხრივ ჩვენ ფანტაზია, სამუშაო კაბინეტის ვიწრო არე ვერ დაგვაკმაყოფილებს, უნდა ღრმად ჩავწვდეთ მიმდინარე ყოფის რთულ პროცესებს; მათი სპეციფიკის ცოდნით, მათი სოციალური ახსნის შესაძლებლობით შეიარაღებული მწერალი უკვე შესძლებს პრობლემების საღათ დაყენებას, მათ სწორად გადაჭრას.

თუ გვინდა დავეხმაროთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პროცესს, უნდა დაუახლოვდეთ მიმდინარე მშენებლობის ფაქტებს. მშენებლობისა და მძიმე ინდუსტრიის აგიტაცია, ბუნების ყველა სიმდიდრეთა, მადნეულისა და ნედლეულის მაქსიმალურად გამოყენებისაკენ მასსების ცნობიერების წარმართვა—მასსების ისევე ამხედრება ამ მიმართულებით, როგორც ამხედრებდა ხელოვნება მასსებს სამოქალაქო ომის დროს—ეს შესაძლებელია მხოლოდ ფაქტებისა და მოვლენების, ჩვენი ქვეყნის უამრავ ბუნებრივ სიმდიდრეთა, წარმოებისა და მშენებლობის პროცესების უშუალო შესწავლისა და დამუშავების ნიადაგზე.

აქედან ეს აქტუალური, მოძრავი და ცოცხალი მასალა მქალაქრად შემოიჭრება ლიტერატურულ მშენებლობაში და ცხადია განდევნის რომანტიულ და ფანტასტიურ თემატიკას, გამოგონილ უსიცოცხლო ფაბულებსა და სიუჟეტებს. რასაკვირველია ამ მასალების ფოტოგრაფიული, ინერტიული ფიქსაცია არ იქნება ხელოვნება, მაგრამ მათი გაფანტასტიურება, მათი დამახინჯება ბელეტრისტული გაზღაპრებით შეუძლებელია. აქ მასალა შეებრძოლება ოსტატს და აიძულებს მას ყოფისა და მშენებლობის ცოცხალი ფაქტები მწერლის განკარგულებაში არსებული სტილისტური ხერხის საშუალებით დაალაგოს განსხვავებულად, თავისებურად, ისე, რომ ამ დალაგების შედეგათ მიღებულმა უკვე ხელოვნების ფაქტმა, უკვე ამრიგათ მიღწეულმა ფორმამ გარკვეული, მწერლის მიერ განზრახული მიმართება მისცეს მკითხველის ცნობიერებას.

ამ შემთხვევაში თვით მასალა და მწერლის მიერ დასახული სოციალური ამოცანა უკარნახებს მწერალს ახალ ჟანრებს, ახალ ხერხებს ფაქტების დამუშავებისა და ფორმაციისათვის. ცხადია ეს მასალები ვერ მოექცევიან იმ ხერხობრივ აპარატში, რომლითაც ოდესმე პროეტები ვარდებს და ბულბულებს უგალობდენ, თვითმკვლელობისა და სიგიჟის ფანტასტიკას ქმნიდენ. ამ ახალ მასალებს ვერ დაიტევს ბელეტრისტის ის ჟანრები, რომლითაც „შეყვარებულთა სამკუთხედი“ შენდებოდა, ფსიქოლოგიური ტიპიზაციისა და სხვა მზგავსიტენდენციის პროზა იქმნებოდა.

ამ რიგათ მწერლობაში შემოიჭრება ახალი ხერხები, ახალი ჟანრები და მათი ჯამი მოგვცემს „პროლეტარული სტილის“ რეალურ სახეს, რომელიც არის უმთავრესი ამოცანა პროლეტარიატის მხატვრული კულტურის მშენებლობაში.

დასახელებული ღონისძიებანი პრაქტიკული და ორგანიზაციული ხასიათისაა, მაგრამ როგორც ვხედავთ მათ მივყევართ ჩვენ ერთი მხრივ მწერლობის თემატიურ განახლებისაკენ, მისი ახალი სტილისტურ-ხერხობრივ აპარატის გამომუშავებისაკენ და მეორეს მხრივ მწერლობა სასარგებლო და ხელის შემწყობი ხდება პროლეტარული რევოლუციის საბოლოო მიზნების დაჩქარებით განხორციელების საქმეში.

მივიღებთ კარგ წიგნებს, საჭირო ლიტერატურას, ადამიანთა გონებრივი ჰორიზონტის გამათვართობელ და გამამდიდრებელ მწერლობას, ახალი საზოგადოებრივობის განმტკიცებაში აქტუალურად მონაწილე, თანამედროვეობის მოთხოვნებისადმი სავსებით შეთანხმებულ ხელოვნებას.

ეს არ არის ფანტაზია ეს რეალური ნუსხაა, რა თქმა უნდა არა ამომწურავ, მაგრამ მაინც აუცილებელ ღონისძიებათა—ჩვენი მწერლობის ჩამორჩენილობის დასაძლევათ, მისთვის სოციალისტურ მშენებლობის ფრონტზე ღირსეული ადგილის მისაჩენად.

საჭიროა მხოლოდ მწერლები გამოეთხოვონ „პორფირისა“ და „მუზების“ ლეგენდას, საჭიროა ლიტერატურული ორგანიზაციები მუშაობის ახალ ფორმებზე გადავიდნენ.

ს ი ს ჯ ვ რ ი ბ ი

დორჟელესის რომანი

გხვდება ხანდახან კაცი, ეტყობა, იწვის შინაგანი ცეცხლით. მხოლოდ „ეტყობა“: ცეცხლი გარეგან არ ჩანს. ხდება ხანდახან: ამ კაცს ცრემლი მოაწვება თვალზე, ცრემლი გაჩერდება როგორც ისრიმი.

მაშინ გრძნობთ მთელ სიმწვავეს ტანჯისას.

დორჟელესის წიგნში ეს ცეცხლია აღვივებული.

წიგნის ფურცლებზე ეს ისრიმია დანთხეული.

არე—ომია: ომი, უპიროვნო საშინელება, შემზარავი უემური, რომელსაც ათასი თვალი აქვს, ათასი ყური, ათასი ხელი, ათასი ფეხი. ომი: ჰიბრიდული სხეული მასსიურ მკვლელობის.

დორჟელესის წიგნი ანატომიური დახსნაა ამ სხეულის.

ესეც სიცოცხლე!

ფერონს გაუშლია საცვალი და ეძებს მკბენარს. გულდასმით აკვირდება საცვალს, როგორც მხატვარი სურათს. როცა ნახულობს, ორი დიდი თითით სრესს მკბენარს. მისი ამხანაგი კი (ბრუკ) იხილავს პერანგს ნაოჭიდან ნაოჭამდე. ცხვირი პერანგამდე დასულინახავს თუ არა დიდ მკბენარს, წამოიძახებს:

„აი კიდევ ერთი, ვერ წამივა“.

(აქ არ არის რეპორტაჟი მკბენართა დასევის.

აქ მხატვრული დაწვლილებით გამძაფრებაა წყეულ სიცოცხლის).

ერთი ჯარისკაცი ეკითხება მეორეს:

წარმოიდგინე გითხრეს: შეგიძლია თავი მიაწებო ომს, მაგრამ შემდეგი პირობით: უკან იხიო ფეხით, ზურგზე ნამორით და უწალო. წახვიდოდი თუ არა?

რასაკვირველია წავიდოდი—ეუბნება ამხანაგი.

ეხლა მეორე ეკითხება პირველს:

წარმოიდგინე: შენთვის ომი გათავდა, მხოლოდ ნება აღარ გე-
ქნება სვა არც ღვინო და არც არაყი.

ამხანაგი ყოყმანობს. შემდეგ:

გმ... სიღრს ხომ შევსვამ, არა? ხანდახან რომსაც გადავკრავ,
ხომ? დავთანხმდებოდი.

იწყება დაუსრულებელი ვაჭრობა.

ჯარისკაცები იქამდე მიდიან ამ ვაჭრობაში, რომ სხეულის ნა-
წილებსაც იმეტებენ: ზოგი ფეხს, ზოგი თვალს, ზოგი ხელს.

ერთი ამბობს:

მე მივცემდი მარცხენა ფეხს, მუშაობისთვის იგი მე არ მჭირ-
დება.

მეორე დასძენს:

მე გავიმეტებდი თვალს, ერთს. კარგად რომ გაზომო რამე, ცა-
ლი თვალი უნდა დახუჭო.

(ტანჯას აქ ირონია ამსუბუქებს ვითომ)

იშლება ომში ჯანსაღი აპერცეპცია.

(ამბობს რომანის მთავარი გმირი, მთხრობელი).

მე ველარ შევძლებ შევხედო ლამაზ ხეს, რომ არ ვიფიქრო, თუ
რა სიმძიმის მორი გამოიჭრება მასში, ველარ ვიხილავ ჩაქნეულ
ბორცვს, რომ არ მოვიგონო სანგრის ჩაღმართი, ველარ ვნახავ დაუ-
მუშავებელ ველს, რომ არ მოვძებნო იქ ცხედრები.

(იღვიძებს ფიზიოლოგიური ჟინი სიცოცხლის)

ირვლივ მკვლელობაა, მაგრამ არავის სჯერა სიკვდილი.

განა შეიძლება მოკვდე, ამბობს მთხრობელი, როცა კერძს შეე-
ქცევი სანთურთან, კერძს, რომელსაც ხახვის სუნი უდის?

(ომში კაცს ყველაფერი ბედნიერებად ეჩვენება, რაც გარეშეა
ომისა, სულ მცირე წვრილმანიც)

ბედნიერებაა ყველგან, ამბობს მთხრობელი.

ბედნიერებაა მიწური, საცა არ ჩამოდის წვიმა. კარგად გამთ-
ბარი წვენიც, კონა წვირიანი ჩაღის, რომელზედაც წევხარ, შემაქცე-
ვი ამბავი, მოყოლილი ამხანაგის მიერ. ყველაფერი ბედნიერებაა. ქვა,
უბრალო ქვა ტალახში, რომელზედაც შეგიძლია ფეხი მოიმარო,
ისიც ბედნიერებაა. მაგრამ ეს რომ გაიგო, საჭიროა ტალახი გაიარო.

შემოჰყავთ დაჭრილი.

იგი მკრთალია. დიდი თვალების ქვე დიდი რკალები. მარცხენა ხელი შეხვეული აქვს წვირიანი ტილოთი. ჩამოკიდებულია. ტილოზე იღვენთება წითელი ლაქი. დაჭრილი ფეხს ადგამს და სისხლი, რომელიც უძრავ მაჯამდე დავიდა, ეცემა მიწაზე, წვეთავს.

დაჭრილს ღვინო მიაწოდეს. ამხანაგები უხერხულობას გრძნობენ, გარს რომ ეხვევიან. ამხანაგები სდუმან. დაჭრილს ძალა წაერთო, დავარდა სკამზე, ისმის მხოლოდ ღვინოს ყლაპუნი გამშრალ ყელში.

ძალმა გამოიღვიძა, ადგა, იყნოსა სისხლი. ცვარცვარა ლოკავს ჯერ კიდევ თბილ სისხლს.

(ეს სცენა დაუვიწყარია)

(დორჯელესი აქ იაპონური ხერხით შლის ამბავს, რომელიც სხვა მწერალს ნოველლად ეყოფოდა)

(საშინელება მატულობს).

ხვდებიან დაჭრილს ომის ცეცხლიან ხაზზე. დაჭრილს უკვე აღარ ეშინია ტყვიის. იგი ჰკივის: ვერაფერს ვხედავ, ნუ მიმატოვებთ. საფეთქლიდან სისხლი სდის. მას ესმის, რომ გარბიან, ისიც მირბის, ჯერ დაღალული, თითქმის ოთხად გართხმული. მირბის. დგება ოდნავ. ფეხი უცდება. სიბნელეს სინჯავს უჯერო ხელებით. ჰკივის: ნუ მიმატოვებთ, ამხანაგებო! გეფიცებით, აღარ ვიყვირებ მეტს. მაგრამ ამხანაგები გარბიან. ბრმა ქვასავით გადავარდა ორმოში, მის საფლავეში. ამხანაგებს მოესმათ მაუზერის ხმელი ტკაცანი.

ვილაცამ ალბად მოჰკლა საწყალი.

მოჰკლა მისთვის, რომ შეებრაღა.

მდინარის პირას დაყრილი იყო ხის ჯვრები.

უცქერდენ ჯვრები, თუ როგორ მდინარებდა წყალი.

(მთხრობელს აზრი მოდის)

მდინარე აღიდდება და ჯვრებს თან წაიღებს. ვინ იცის, საით? შესაძლოა იქითკენ, საცა პატარა ბავში ჯვრისაგან ხის ხმაღს გააკეთებს.

(ბავშვის თამაში კიდევ უფრო გაამძაფრებს ჯვარს)

იქნება მოჩვენება: თითქო მკვდრები წამოდგენ დავიწყებულ საფლავეებიდან და გარბიან. კიდევ მეტი. იქნება მოჩვენება: თითქო დარჩენილი რიგები უთვალავ მკვდრებისა, რომელთა ჯვრები ასე ახლო დგანან ერთიმეორესთან, ხელს უწვდიან მათ, უცქერენ გარბენილებს.

(დორჯელესმა იცის ქეძაფის წვეთი).

დაჭრილი კვდება. კვნესის, კვნესის. ოხრავს.

ლამეა, მომაკვდავი მოხედავს ამხანაგებს. აღერებს ხმელ თავს.
ეჩურჩულება მათ:

ხომ არ გიშლით ძილს?

(რად ღირს აქ ეს ოთხი სიტყვა?)

მოკვდა დაჭრილი, დაასამარეს.

მოვიდა მის სახელზე ორი წერილი.

შეიძლებოდა უკან გაეგზავნათ ამ წარწერით: „ადრესატს ვერ ჩააბარეს“. მაგრამ ერთმა ამხანაგმა სხვა გადასწყვიტა. მან წაიღო წერილები. მივიდა ახლად დასამარებულის საფლავთან. ამოიღო ჩანთიდან წერილები. დახია ნაკუწ-ნაკუწად. მიმოაბნია საფლავზე... რომ?... რომ მკვდარმა იძინოს მაინც საუკუნო ძილით სიტყვების ქვე მშობლიურ ბაგეთა მიერ წარმოთქმულისა.

(ეს არაა სანტიმეტალობა)

რამდენიმე ამხანაგი გორაკზეა, სადარაჯოდ,

მოესმით კაკუნი. ალბად ძირს უთხრიან გორაკს—ფიქრი: რომ ააფეთქონ? შიში, ცხოველის.

ყურს უგდებენ, არაფერია. შრიალი, შმუშვნა: ცხვრები ბალახს სძოვენ ღამით.

(ეს დეტალი აქ ყველაფერია)

თითქო აღარ ისმის კაკუნი.

შიში კიდევ უფრო იზრდება. პირუტყვის. იგრუხება სხვა მხრით, ფიქრი: აღარ ისმის კაკუნი... რადგან?... ალბად უკვე შედგეს ნაღმი.

გაგუდული სუნთქვა.

ერთმა მათგანმა იწყო ქუსლის დაკვრა ფეხსაგებზე.

(უმძაფრესი წერილმანი)

„გაჩერდი!“ უყვირიან.

(რამ გამოიწვია ეს ფეხის დაკვრა?)

ამხანაგები ყურს უგდებენ მიწას. ეშინიათ არ შეცდენ. განაბულია ყველა, გათანგული.

არა, კიდევ სთხრიან.

ამოისუთქეს თავისუფლად. გაეხარდათ, რომ სთხრიან. როგორ? გაეხარდათ მიწის თხრა აფეთქებისათვის? არა: ეს თხრა აფეთქებას „აგვიანებს“ (როცა წყდება, ნაღმს შედებენ და... მაშინ გათავდა ყველაფერი).

საოცარი სიხარული, უცნაური.

ბარი თხრიდა (ისმოდა).

„ჰოო, რა შევიყვარეთ ჩვენ ერთი წუთით ეს საშინელი ბარი. იგი განაგრძობდა თხრას, ეს იყო შებრალება. ნაღმს ჯერ კიდევ არ დებენ, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიღუპებით“.

ამბობს მთხრობელი.

(რა სიმართლეა ამ სიტყვებში? უძირო, უძირო)

შიში მატულობს.

მაგრამ ეხლა ბარის ხმაურს კი აღარ ელიან, არამედ შენა-
ნაცვლებას.

(ხანი გავიდა, მათ ნაცვლად სხვები უნდა მოვიდნენ)

ელიან, ელიან, წუთებს ითვლიან.

გამოჩნდნენ შემნაცვლებლებიც.

(გახარება პირუტყვის, სიცოცხლე სასტიკია)

მოსცილდნენ „სიკვდილის გორაკს“.

იწყეს სმა ღვინის, ნადირული სმა.

ბნელი მდინარე ღამეს სარკავდა. განვლეს ხიდი, რომელიც ირ-
ყეოდა. განვლეს არხი. შევიდნენ ტყეში. სიხალასე, სიცოცხლე დაე-
შვა მათ მხარეზე, როგორც სველი ბურვილი. სადღაც გალობდა ჩი-
ტი. მან არ იცოდა, რომ ეხლა ომია.

(რამოდენიმე სიტყვაში მთელი არე, არა მხოლოდ ფიზიური)

უეცრად: ღამე შეირხა ყრუ ხმაურით, საშინელით.

რაზმი გაშეშდა. არავითარი ხმაური.

„რამდენი იყო იქ?“ იკითხა ვილამაც.

„ათი... მიუგო ვილაცას ხმამ... და ოთხი ტყვიისმფრქვეველი“.

(საშინელებას ამძაფრებს ჯერ ეს „ვილაც“, შემდეგ აღარც ეს
„ვილაცა“, არამედ „ხმა ვილაცასი“. ბოლოს თვითონ პასუხი: ჯერ
„ათი“ და შემდეგ: „და ოთხი ტყვიისმფრქვეველი“. ამ კავშირს „დას“
ნოველის ადგილი უჭირავს).

ომის გადმოცემაში ამ სცენას ვერ გაეტოლება ვერავითარი
სხვა სცენა, ომის ლიტერატურაში მოცემული.

დეტალის ხერხი საერთოდ დორჩეულესს უმძაფრესად აქვს გა-
მახვილებული.

ასე მაგალითად.

„შენ იცნობდი მას?“ ეკითხება ერთი ამხანაგს მოკლულზე (და-
ხვრიტეს საომო რომელიღაც წესის არ შესრულებისათვის).

„ვიცნობდი, კოტვილიდან იყო, მას ჰყავდა ორი პატარა ბავში“.

მთხრობელი უმატებს (დეტალს):

„ორი ბავში, არა უმაღლესი მისი პალოსი“.

(საფლავის პალოა ნაგულისხმევი)

კიდევ სხვა დეტალი.

სროლა გაშმაგებული, შიში.

ერთი ეუბნება მეორეს:

„შენ გაქვს ჩემი მისამართი“.

(ვინ იცის, ვინ მოკვდება პირველად? მაგრამ მაინც: სიკვდილს ელის შეშინებული).

ბრძოლის დანაშთი: ნივთების სასაფლაო.

ყველაფერი: არეული, დამსხვრეული, დაგლეჯილი, მიყრილი, მიგდებული. ნანგრევები, თხრილები, ცხედრები, ლეშები. ცხედრები ისეთივე ტრაგიულები როგორც ნამტვრევები და ქვები.

ნანგრევებს ქუჩა სჭრიდა.

უხილავი ტყვიისმფრქვეველი ესროდა მას.

„ყველა – თხრილში!“ ბრძანება უფროსის.

გადაეშვენ. თხრილი: სავსე ცხედრებით, მძორებით. შემზარავი სიდამპლე, სიმყრალე. მთელი გროვა მკვდრებისა და საშინელება:

თხრილის კედელს მიყრდნობილი—

კაცი უთავო, უძრავი, თითქო დარაჯი თავმოკვეთილი.

და ამ კოშმარში:

გადარჩენილი ნივთები.

იძახის ერთი: „ნახე, რა კარგი წყვილია!“

ხელში წაღები უჭირავს.

(მთხრობელი განაგრძობს)

ჩემს წინ ეგდო ფუჟარ. თავი სისხლის ფშანში იყო. ზურგი— კონვულსია: იგი თითქო ტიროდა. დასტიროდა თავის სისხლს.

სროლა მატულობდა,

(მთხრობელი განაგრძობს)

ყოველ სროლაზე გული წყდება და ხტის. თავი, შიგნეული— ყველაფერი ცახცახებს. უნდა ყველაფერს: იქცეს პატარად, სულ მცირე და მცირე. ყოველი ნაწილი სხეულისა გაშინებს. ასოები კანკალით იკუნთებია. თავი, საცა სიცალიერვა და ხმაური, ცდილობს სადღაც მიიმალოს. გრძნობ შიშს, საშინელ შიშს. იქცევი მოცახცახე ნაგლეჯად, რჩებიან მხოლოდ: ყურები და გული.

სროლა მატულობდა, სროლასა და სროლას შუა იყო ათი წამი. ათი წამი სიცოცხლის, ათი დაუბოლოვებელი წამი ბედნიერებისა, და მე ვუცქერდი ფუფარს, რომელიც უკვე აღარ ირხეოდა.

კიდევ უფრო სასტიკი სახე შიშისა.

დასჭრეს ჟილბერ. როცა გონს მოვიდა, ფეხები გაანძრია. ფიქრი: ფეხებს არა უშავს. შემდეგ სახეზე მოისვა ხელი: ჰაა—ეს კი დასისხლიანებულია, საფეთქელთან მოხვედრია.

მთხრობელი დასძენს:

მე დავეყუდე მას თავს და ვუთხარი: „არაფერია, უბრალო გაკაწვრაა“. მან არაფერი მომიგო, იყო უძრავად. მის პირისპირ იყო გამეღ, მუხლებზე დავარდნილი. სახე—მიწაში შეთხრილი. გამეღ არ იძროდა, არ სუნთქავდა, მაგრამ ჟილბერ ვერ ჰბედავდა მასთან გალაპარაკებას. ვერ ჰბედავდა შეხებასაც... რის გამო?.. ერთი წუთით მაინც შეენარჩუნებია ილლიუზია, რომ იგი არ მომკვდარა. შემდეგ იგი შეეკითხა ლემუანს: „უკვე?“ (საბედისწერო სიტყვა აიცილა). ლემუანმა პასუხის მაგიერ მიუთითა: კასკასა და მაზარას შუა გაწოლილიყო სისხლის ზოლი. „ძაბრის“ ძროზე ეყარა ათი ცხედარი, ორ მაზარას შუა ჩანდა მქრალი სახე გაფართოებული თვალებით. მკვდარია თუ ცოცხალი?

(დააკვირდით უკანასკნელ სამ სიტყვას).

ჟილბერმა შეიხვია შუბლი. სისხლიანი ლოყა მოიხოცა. გახურებული თავი მიადო თოფის ცივ ლულას.

კიდევ სროლა. ფიქრი: ისევ შემოტევა.

მაგრამ ჟილბერს დაეკარგა სიმამაცე, რომ თავი აეწია და ველის მიმართ გაეხედა.

კიდევ სროლა. ჟილბერის გული შეჩერდა. შემდეგ წამოხტა. შეახტა ძაბრის ნაპირს და გაიქცა. მას უნდოდა, სხვა ძაბრში დამალულიყო. რომელიმე სხვაში, ოღონდ აქ არ დარჩენილიყო, ამ თხრილში. მაგრამ უბედურება: ყველა თხრილი დაკავებული აღმოჩნდა.

(უეცრად ტრაგიული დიალოგი, ორი სიტყვით)

„შენთან არაა ადგილი?“

„არა... ჩემთან დაჭრილი ამხანაგია“.

ჟილბერ მოტრიალდა, მიწვა მიწაზე.

გული ფეთქდა, „როგორც ცხოველი, რომელსაც იგი გასრესდა თავის სხეულით“.

უსმენს სროლას.

უეცრად ფიქრი: „ხომ გავიქეცი“...

ჯერ ვერ გაიგო აზრი ამ სიტყვების.

მაგრამ ასწია თავი და დაინახა: ლემუან ნიშანს აძლევდა, მაშინ ჟილბერ გაიქცა ძაბრისაკენ.

(და კიდევ დეტალი)

ჟილბერ დაიღალა. თავი ცალიერია. ჰო, რომ არ შეირხეოდეს და იძინებდეს, იძინებდეს, დიდ ხანს!..

საცვალი ზურგს მიეკრა წვიმა? ოფლი?

(რამდენი ეკონომიაა ამ ორ სიტყვაში!)

კიდევ დაჭრილი.

იგი არ იძვრის. რომ არ შეაწუხოს დამსხვრეული ფეხები, ფრხილებით ქვას ფხეკს. წყურია, წყალი არაა. მაშინ იგი წევს თავს და ხარბად ლოკავს საფლავის ქვას, საცა წყალი ჟონავს.

(ეს წყურვილი ხშირად გვხვდება რომანში)

ჩვენ ვფიქრობთ, როგორმე მოვიკლათ წყურვილი, რომ კასრაში ჩავდოთ ცხოველივით თავი და ისე ვხვრიპოთ წყალი, ვხვრიპოთ პირით, ლოყებით, ნიკაპით.

(ამბობს მთხრობელი)

მომაკვდავი. წერილი მოუვიდა: ცოლს ცუდი ქცევა დაუწყია.

ჟილბერ ამშვიდებს.

არა,—ეუბნება მომაკვდავი. ჩემი საქმე გათავებულა, ნახე ჩემი ცოლი. უთხარ: ცუდათ მოიქცა—მემამულესთან. შენ მას ეტყვი: პატარა გოგონას გულისათვის მაინც მიატოვოს ეს. ეტყვი კიდევ: რომ მას სიკვდილის წამს ვაპატიე.

მომაკვდავმა ხელაღება მორთო ტირილი.

ჩვენ ვსდუმდით, თავს დავყურებდით მას როგორც სამარეს რომელიც ითხრება.

ბოლოს გაათავა მან ტირილი, და უეცრად დაიწყო კიდევ:

არა, არ მინდა, ისმინე ჟილბერ, მიდი ცოლთან და უთხარი, რომ იგი ძროხაა, რომ იგი კახპაა. შენ ეტყვი, რომ სიკვდილის წინ მივაფურთხე მას სახეში.

კიდევ სიჩუმე, მომაკვდავი უძრავია, ცრემლები სდიან დახუჭულ ქუთუთოებიდან.

ჟილბერის ყნოსვას მოხვდა სასიკვდილო ოფლი.

„ნუ ტირი, ნუ ტირი“: ამშვიდებს.

მაგრამ მომაკვდავი ისევ თავისას განაგრძობს:

არა, ნუ ეტყვი. გოგონას გულისათვის. უთხარ, რომ ვაპატიე, გოგონას გულისათვის.

(მთხრობელი ჩაურთავს)

მისი პირიდან სიტყვები გამოდიოდნენ ისევე ნელა, როგორც ისხმოდნენ ცრემლები მისი თვალებიდან.

და აი ასე: ბრძოლა თავის თავთან.

მომაკვდავი კიდევ თავისას უბრუნდება:

არა, არა, შენ ეტყვი, რომ იგი მეძავია, ეტყვი, რომ...

ტუჩებზე სკდებოდა სისხლიანი ქაფი.

ბოლოს კიდევ ერთხელ:

გოგონას გულისათვის... არაა საჭირო... შენ ეტყვი მას...

(მთხრობელი ათავებს)

უთქმელი თხოვნა დააკვდა მას ტუჩებზე.

(დორჟელესი დიდი პსიქოლოგია, რომ აქ გარკვეული თხოვნა არ დაანთხევინა მომაკვდავს)

კიდევ ერთი სცენა.

დემარშის წერილი მოდის: „სიყვარულის სიტყვები“. კითხულობს. წერილში მარსელ ბიზო არის ნახსენები, მისი ამხანაგი, რომელთანაც იგი, ვისგანაც წერილიცაა, დროს ატარებს ხანდახან, „ისე“, დემარში იღუშება. გამოხედვა—არეული, აბნეული, აზრი—ხეტიალობს. დემარში ყურს უგდებს წვიმის სიმღერას.

და რამოდენიმე სტრიქონში—მთელი ნოველა:

— უჰ, როგორც იქნა... ხომ მიიღე წერილი?

— მივიღე,—მიუგო დემარშიმ აბნევით.

— კარგი ამბებია?

წვიმა... წვიმის წვეთები თითქო მის მზერაშიცაა.

— დიახ, კარგი ამბები.

(სასტიკი ეკონომიაა გამოთქმის და დაწურვა წვეთამდე სულიერი ყოფის. დააკვირდით მეოთხე სტრიქონს: როგორი ხელოვნებით არის იგი შეჭრილი ამ დიალოგში, წვიმს და თან ცრემლებს ხედავთ, თუმცა ცრემლები არაა)

ხანდახან ხუმრობაცაა ამ კოშმარში.

„ეს არაფერია, საუცხოვო ჭრილობაა“,—ეუბნება აქიმი დაჭრილს. „მხოლოდ ორი თითი უნდა მოგაცილონ“.

„მერე რა?—უგებს წითური: მე ხომ პიანისტი არა ვარ“.

და ასე სულ: საშინელება ჰქმნის ატმოსფერას.

ჟილბერს ეშინოდა შეხებოდა თავის ჭრილობას. ხელს აცილებდა თითქმის მუცელს, რომ არ ეგრძნო, არ გაეგო. დაკრიჭა კბილები. ძლივ წამოდგა. მიეკეცა ხეს ზურგით, ტკივილმა გაიღვიძა, ამოიღო სანიტარული პაკეტი. ეხლა უნდა შეიხვიოს უკვე ჭრილობა, მაგრამ იგი ირყევა, არ იცის რა ქნას, შეეხოს მუცელს თუ არა. ბოლოს გადასწყვიტა, ეს იყო ბაყვის ქვეშ. გაიხსნა თასმა, ნელა, რომ არ ტკენოდა, გასწია მაზარა, გახსნა შარვალი. შეეცადა აეწია პერანგი, შიშიანი თითები შეეხენ რალაც სველს. მოეჩვენა, თითქო შიგნავდა შიგნეულს, შემდეგ შეჩერდა, ხელი დაადო ტიტველ სხეულს. იგრძნო: რალაც თბილი სდიოდა თითებზე. მაშინ შეშინდა: ბინტი დაადო ჭრილობას. შემდეგ მას „მარლა“ დაადო, მარლას ცხვირსახოცი. ბოლოს შეიკრა შარვალი, რომ დაეჭირა ჭრილობაზე დადებული. თვალებს მოაწვა სიბნელე. ცივ ტანზე: მხურვალე თავი, აცეცხლილი. ღამის სიო ვერ უგრძობდა შუბლს. რამოდენიმე წვეთი წვიმის დაეცა მის სახეს: მან იგრძნო დაუსრულებელი შემსუბუქება.

სიბნელეში ძახილი:

აქეთ, აქეთ, ფრანგო...

(ალბად გერმანელი იძახოდა)

შემდეგ: უეცარი სიცილი, სიგიჟის სიცილი.

კიდევ ძახილი (ეხლა სხვა დაჭრილის):

ჰეი, ამხანაგებო, მე უკვე აღარ ვიქნები ჯარისკაცი, მე უკვე აღარა მაქვს ფეხები...

(მთხრობელი დასძენს სიკვდილის სინელით)

„მკვდრები აღვიძებდენ ერთი-მეორეს, ეხმაურებოდენ ერთმანეთს. შემდეგ ჩამოწვა ცივი სიჩუმე“.

(საოცარი სცენა)

ჯილბერ გრძნობდა: თავი მძიმდება, სხეული ბრუყდება, ხელის გულები დაადო მიწას, ცივსა და რბილს, სახე შეუშვირა წვიმას. იგი გასცქერდა უნათლო ღამეს, და არ იყო არც ძრაობა და არც შრიალი. დიდხანს იქნება ნეტავ ასე?

შემდეგ იწყო სიმღერა, ოცნება.

ბოლოს:

„ცხედარი, მიწაზე მჯდომი, გასრიალდა მის შემმაგრებელ ხეზე, და მძიმედ დაეცა: ოცნება არ შეუწყვეტია, ჟილბერ უკვე აღარ მღეროდა“.

ასეთია ეს შემრხვევლი სცენები.

ხოლო სცენები არ სტოვებენ „ქრონიკის“ შთაბეჭდილებას. დორჟელესის დიდი ლიტერატურული ოსტატობა იმაშია, რომ მის ნაწარმოებში, მიუხედავად იმისა, რომ იქ არ სახიერდება ინდივიდუალ-მოთარგლული ფაბულა, არის გზნება „მთელის“, ამ შემთხვევაში—ომის, უპიროვნო უჟმურის: გზნება ცხარი და მძაფრი.

აქედან კიდევ ერთი სხვაობა.

როცა რემარკის წიგნს კითხულობთ, გგონიათ: გიყვებათ ვინმე ომის ამბავს.

როცა დორჟელესის წიგნს კითხულობთ, გგონიათ—თქვენ თვითონა ხართ ომში.

ავტორს შეჰყავხართ ომის ღურღირში.

ლიტერატურული ხერხი დორჟელესის რთულია. შესაძლოა ესეც იყოს მიზეზი იმისა, რომ მისი ნაწარმოების წაკითხვა არაა ადვილი, როგორც რემარკის წიგნის: განსაკუთრებით ფართო მასსებისათვის.

ცხადია: ასეთი დაპირისპირება თუობითია.

ხოლო დორჟელესის წიგნის მოისუსტებს: არ გრძნობთ აგრეწოდებულ „უკანასკნელ დაკვრას“.

სოციალური ძირები ომისა არც ამ ნაწარმოებშია შერხეული.

—:—

რევოლუციონური ლიტერატურის საერთაშორისო ბიუროს დელეგაციის ჩამოსვლა საკმაოდ თვალსაჩინო მოვლენას წარმოადგენს საქართველოს დღევანდელ ლიტერატურულ ცხოვრებაში.

ეს გარემოება ცხადი გახდება ჩვენთვის, თუ გავითვალისწინებთ იმ პერსპექტივებსა და საერთო პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომელიც გამომუშავებული იქნა დელეგაციის წევრებისა და საქართველოს პროლეტარულ და საბჭოთა მწერლების შეხვედრისა და ურთიერთ დაახლოვების დროს.

ჩვენ არაოდეს არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ საზოგადოთ ყველა ხალხის ნაციონალური კულტურისა და ხელოვნების განვითარების საქმეში მუდამ არსებითსა და მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენდა მეზობელ და უცხოეთის ერებთან კულტურულ ღირებულებათა და მიღწევების საფუძვლიან ნიადაგზე აშენებული, ინტენსიური გაცვლა-გამოცვლის ორგანიზაცია.

დღევანდელი ქართული ლიტერატურის გაძლიერებისა და ხარისხობრივი განვითარების თვალსაზრისით, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს როგორც მოკავშირე ხალხების, ისე განსაკუთრებით თანამედროვე დასავლეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის თეორეტიკულ-პრაქტიკულ მიღწევათა შეუჩერებელი იმპორტი. თანაბარივე ზომით უნდა მოეწყოს ჩვენი ხელოვნებისა და ლიტერატურული პროდუქციის ფართე რეალიზაცია და ინტენსიური ექსპორტი საზღვარგარეთ და მეზობელ ხალხებში.

აქ ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა განუზომელი მნიშვნელობა აქვს ამ გარემოებას ჩვენი დაახლოვებისა და კულტურული ურთიერთობის განმტკიცებისათვის სხვა ხალხებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ამ მიმართულებით გადაიდგა მთელი რიგი ნაბიჯებისა, რომლებიც მოწმობენ, რომ იმ პოლიტიკურ სოლიდარობას, რომელიც დღეს არსებობს საბჭოთა

კავშირში შემავალ ხალხებს შორის, ეძლევა უფრო ღრმა და მტკიცე კულტურული შინაარსი.

ახლო წარსულში საკავშირო სამხატვრო აკადემიასთან ქართული ხელოვნების კაბინეტის ჩამოყალიბება; საქართველოს, სომხეთისა და აზერბეიჯანის მწერალთა დელეგაციების მოგზაურობა და ურთიერთი გაცნობა; ყაზანელ თათართა მწერლების სტუმრობა; ქართული მთავარი სათეატრო ორგანიზაციების (მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრების) განზრახული გასტროლები მოსკოვში; მემარცხენე მწერალთა განზრახული კონგრესი, რომელიც მოწვეული იქნება ახლო მომავალში უკრაინაში და რომელზედაც სხვებთან ერთად საქართველოს მემარცხენე მწერლობაც არის მიწვეული; დრამატურგთა საკავშირო კონფერენცია, რომელიც უახლოეს მომავალში უნდა შესდგეს უკრაინაშივე და სადაც აგრეთვე მიწვეულია საქართველოს დრამატურგთა ორგანიზაცია; დაბოლოს საქართველოს პროლეტარულ მწერალთა დელეგაციის განზრახული გამგზავრება საზღვარ-გარეთ და სხვა, ყველა ჩამოთვლილი და მრავალი სხვა ფაქტები, საბუთს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ ჩვენი კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების მეზობელ ხალხებთან და უცხოეთთან დაახლოვებისა და გაცნობის საქმეს მტკიცე ნიადაგი ეყრება.

ამ ორი კვირის წინათ რევოლუციონურ მწერალთა საერთაშორისო ბიუროს დელეგაციის ჩამოსვლის მნიშვნელობა ჩვენ უნდა შევაფასოთ უწინარეს ყოვლისა ამ თვალსაზრისით.

ტფილისში ჩამოსულ დელეგაციაში შედიოდნენ საკმაოდ ცნობილი ლიტერატურული ძალები, როგორც მაგალითად იოჰანეს ბეხერი, პოეტი, გერმანიის პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციის ერთერთი ხელმძღვანელი, ავტორი რევოლუციონური პოემებისა და ლექსების. მასვე ეკუთვნის პროზაული ნაწარმოებნი: 1926 წ. დაწერილი „ბანკირი ბრძოლის ველზე“ და რომანი „ერთადერთი სამართლიანი ომი“; ბელა ილეში (დელეგაციის თავმჯდომარე), ჰუნგრელი მწერალი. მას ეკუთვნის მთელი რიგი რევოლუციონური მოთხრობებისა, მათ შორის „ნიკოლოზ შუგა“, აგრეთვე რომანი — „ტისა იწვის“; ბრუნო იასენსკი, ავტორი წიგნის: „მე ვწვავ პარიზს“; მათე ზალკა, ჰუნგრელი მწერალი, პროზაიკოსი; ფრანც ვაისკოფი, ახალგაზრდა ჩეხო-სლოვაკელი მწერალი-ჟურნალისტი; ჰაინც კაგანი და ანდორ გაბორი, ლიტერატორები.

დელეგაციის წევრების მიზანს შეადგენდა ზოგადათ გასცნობოდნენ საქართველოს დღევანდელ აღმშენებლობასა და კულტურულ

ვითარებას, გარდა ამისა მათ განზრახული ჰქონდათ საერთოდ ქართულ ლიტერატურასთან, კერძოდ და უმთავრესად კი პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტის დაჭერა.

რევ. მწერალთა საერთაშორისო ბიუროს დელეგაცია ტფილისში ეწვია მთელ რიგ კულტურულ დაწესებულებას და მუშათა საწარმოებს. საბჭოთა მწერლების ფედერაციამ მოაწყო საჯარო შეხვედრა დელეგატებთან, გარდა ამისა, მოწყობილ იქნა დელეგაციისა და ადგილობრივ პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეერთებული საზეიმო ღია სხდომა.

მკითხველისთვის ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ აქ მოკლედ და ზოგადად შევეხებით საერთაშორისო ბიუროს დაარსების ისტორიას და მის მიზნებს.

პროლეტარულ და რევოლუციონურ მწერალთა საერთაშორისო ბიუროს დიდი ხანი არ არის, რაც არსებობს. იგი დაფუძნდა 1927 წელს, მოსკოვში. ამაზე რამდენიმე ხნით ადრე, ჯერ კიდევ 1924 წელს, როდესაც უკვე მომწიფებული იყო საკითხი მთელი ქვეყნის რევოლუციონურ და პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციული გაერთიანების შესახებ, რუსეთის პროლეტ-მწერალთა ასოციაციამ სცადა კიდევ შეექმნა ასეთი გამაერთიანებელი ორგანიზაცია, მაგრამ მაშინ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ამას ჰქონდა თავის საპატიო მიზეზები.

საერთაშორისო ხელმძღვანელი და დირექტიული ორგანოს დასაარსებლათ, უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო სათანადო ორგანიზაციული ქვესაყრდენი უცხოეთის ცალკე ქვეყნებში; ასეთი ქვესაყრდენის როლს შეასრულებდენ ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული რევოლუციონურ მწერალთა დაჯგუფებები სხვადასხვა სახელმწიფოებში. ასეთი რამ კი იქ არ არსებობდა. მოიპოვებოდენ მხოლოდ რევოლუციონური მწერლები, რომლებიც დამოუკიდებლათ ეწეოდენ თავის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მუშაობას, მხოლოდ საბჭოთა კავშირში არსებობდენ ორგანიზაციულად ძლიერი, ყოველნაირად ხელშეწყობილი და საუკეთესო მდგომარეობაში მყოფი პროლეტარულ მწერალთა ასოციაციები.

ამ მიზეზების გამო საჭირო შეიქმნა შეცვლილიყო რევოლუციონურ და პროლეტარულ მწერალთა საერთაშორისო გაერთიანების ორგანიზაციული ფორმებიც.

1927 წლის ნოემბერში, მოსკოვში, მოწვეული იქნა საერთაშორისო რევოლუციონურ მწერალთა პირველი კონფერენცია, რომელსაც დაესწრენ მწერლები თვრამეტი სხვადასხვა ქვეყნიდან. კონ-

ფერენციასზე მოხსენებები წაიკითხეს ლუნაჩარსკიმ, ბელა ილეშმა და ავერბახმა. მათი მოხსენებათა თეზისების საფუძველზე კონფერენციამ გამოიტანა სათანადო დადგენილებები. ამავე კონფერენციაზე არჩეული იქნა „პროლეტარულ და რევოლუციონური ლიტერატურის საერთაშორისო ბიურო“. ამ ბიუროს ფუნქციები ჯერჯერობით შემოიფარგლება ინფორმაციითა და კავშირის გაბმით მთელ მსოფლიოს რევოლუციონურ მწერლების შორის. ბიუროს სექრეტარიატში კონფერენციის მიერ არჩეული იქნენ შემდეგი მწერლები: ლუნაჩარსკი, ავერბახი, ი. ბეხერი, ანრი ბარბიუსი და ბელა ილეში; კანდიდატებათ—ბრუნო იასენსკი და ჰაინც კაგანი.

რა მიზნები აქვს დასახული ამ ბიუროს? როგორ აქვს გათვალისწინებული მას თავისი მომავალი მუშაობა და რა საფუძველი და გამართლება ეძლევა მის არსებობას?

საერთაშორისო ბიუროს მიზნებისა და დანიშნულების შესახებ საკმაოდ ნათელ წარმოდგენას იძლევა დეკლარაციის ის მუხლები, რომელიც ერთი წლის შემდეგ ბერლინში მოწვეულმა სრულიად გერმანიის პროლეტარულ მწერალთა პირველმა კონფერენციამ მიიღო. ეს პროგრამა მთლიანად შეიძლება მიღებულ იქნას, როგორც პროგრამა ღსაერთო გეზი ბიუროს მუშაობისა. ამ დეკლარაციის თანახმად, გერმანიის პროლეტ. მწერალთა ორგანიზაცია ისახავდა შემდეგ მიზნებს:

1) გაერთიანება იმ მწერლებისა, რომელთა შემოქმედება ატარებს რევოლუციონურ-პროლეტარულ ხასიათს; მათთვის დახმარების გაწევა, მათი შემოქმედების ზრდა-განვითარებისათვის ხელისშეწყობა.

2) რევოლუციონურ-პროლეტარული ლიტერატურის სფეროს გაფართოება ყველა არსებულ და მომავალში შესაძლებელი საშუალებებით; ლიტერატურის თეორეტიული პრობლემების ისტორიულ-მატერიალისტური მეთოდით დამუშავება.

3) თეორიასა და პრაქტიკაში ბურჟუაზიული ხელოვნების წინააღმდეგ ბრძოლის განგრძობა და გაძლიერება.

4) მოზიდვა იმ მუშებისა, რომელთა მუშაობაც რევოლუციონურ-პროლეტარული ლიტერატურის სფეროში მოსალოდნელია, რომ ნაყოფიერი იქნება; მოზიდვა პირველ რიგში მუშა-ახალგაზრდობისა და მუშაკორების, მათთვის ხელმძღვანელობის გაწევა და ხელის შეწყობა.

5) აქტიური მონაწილეობის მიღება საბჭოთა კავშირის დაცვაში, როგორც ისეთი სახელმწიფოსი, სადაც პროლეტარიატმა ხელთ იგდო ძალა-უფლება; საბჭოთა რევოლუციონურ-პროლეტარული ლიტერატურის პრაქტიკისა და თეორიის გამოყენება და სხვ.

ამ საფუძველზე დღეს-დღეობით ბიურო ეწევა აქტიურსა და ფართე მუშაობას. გარდა პროლეტარული ლიტერატურის განმტკიცებისა და განვითარებისა მთელი მსოფლიოს მაშტაბით, ბიურო ეწევა მუშაობას ეწევა, რათა მიიმხროს და მიიზიდოს ის მემარცხენე—ბურჟუაზიული მწერლები, რომლებიც ოპოზიციაში უდგიან კაპიტალისტურ წყობილებას და თანაუგრძნობენ მუშათა მოძრაობის მიზნებსა და ამოცანებს. ასეთი მუშაობას ნაყოფს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საერთაშორისო ბიუროში შედიან ევროპისა და ამერიკის ბევრი ცნობილი მწერალი, მაგალითად არტურ გოლიჩერი, ეგონ ერვინ კიში, ჯონ დოს პასოსი, დიეგო დე-რივერა.

გარდა დასავლეთის ქვეყნებისა, ბიურო ცდილობს კავშირი გააბას აგრეთვე აღმოსავლეთის ქვეყნების რევოლუციონურ მწერალთა ორგანიზაციებთან და ცალკეულ მწერლებთან. ამჟამათ ბიუროში შედიან წარმომადგენლები იაპონიიდან, ჩინეთიდან, ინდოეთიდან და სხვ.

საბჭოთა კავშირიდან ბიუროში აქნამდის შედიოდნენ წარმომადგენლები მხოლოდ რსფსრ-იდან და უკრაინიდან. ამერიკიდან ბიუროში ადგილი ექნება აგრეთვე საქართველოს პროლეტმწერალთა წარმომადგენელს.

ბიუროს აქვს საკუთარი ორგანო, რომელიც გამოდის მოსკოვში, რუსულ ენაზე, სახელწოდებით „უცხოეთის ლიტერატურის მოამბე.“

ამ ჟურნალში, გარდა პროლეტარული მწერლებისა, იბეჭდებიან რადიკალური და კაპიტალიზმისადმი ოპოზიციონურად განწყობილი ბურჟუაზიული მწერლებიც. წლინახევრის განმავლობაში, ამ ჟურნალის ფურცლებზე დაიბეჭდა ასამდე ისეთი ავტორის ნაწარმოები, რომლებიც ბიუროში არ ირიცხებიან წევრებათ. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ: ჰერბერტ უელსი, რომენ როლანი, ჰელსუორსი, დრაიზერი, ებტონ სინკლერი, სინკლერ ლუისი, ლეონარდ ფრანკი, ჟორჟ დუამელი, ბერნარ შოუ, ჟიულ რომენი, ჰენრიხ მანი, ბერნჰარდ კელლერმანი, შერვუდ ანდერსენი, ფრ. ვერფელი, ბლასკო იბანიესი, ერიხ მარია რემარკი და მრ. სხვა.

საერთაშორისო ბიუროს აქტიური მუშაობა მიმართულია ცალკე კაპიტალისტურ ქვეყნებში პროლეტარულ და რევოლუციონურ მწერალთა ორგანიზაციების ჩამოყალიბებისა და მათი ორგანიზაციული დეურ განმტკიცებისაკენ.

რევოლუციონურ მწერალთა საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მოსკოვში იქნა მოწვეული 1927 წელს, როგორც შემოთავაზდნით, თვრამეტი სხვადასხვა ეროვნების მწერალი დაესწრო. მაგრამ ყველა მათგანი არ იყო წარმომადგენელი თავისი ქვეყნის პრო-

ლექტარულ რევოლუციონურ მწერალთა ორგანიზაციებისა, რადგან ასეთი რამ ყველა ქვეყანაში არ არსებობს. ფაქტიურად ასეთი ორგანიზაციები და რამდენადმე ჩამოყალიბებული დაჯგუფებები არსებობენ მხოლოდ გერმანიაში, ჰუნგრეთში, პოლონეთში, სკანდინავიაში და ჩეხოსლოვაკიაში,—მარტო ამ ხუთ ქვეყანაში.

სხვა დანარჩენებთან შედარებით ძლიერი ორგანიზაცია არსებობს გერმანიაში. მისი ხელმძღვანელია იოჰანეს ბეხერი. გერმანიის პროლეტ. მწერალთა ორგანიზაცია დაარსდა 1928 წლის ოქტომბერში, როდესაც ბეხერის ინიციატივით მოწვეული იქნა გერმანიის რევოლუციონურ და პროლეტ. მწერალთა პირველი კონფერენცია. ამ ორგანიზაციას ეხლა მოეპოვება საკუთარი ორგანო, რომლის ტირაჟი უდრის 17 ათას ცალს. ორგანიზაცია აერთიანებს 300-მდე წევრს.

ჰუნგრეთის პროლეტარულ-მწერალთა დაჯგუფებაში შედის 60-მდე მწერალი, როგორც კომუნისტები, ისე უპარტიონი. მათ აქვთ საკუთარი ორგანო „ნამგალი და ჩაქუჩის“ სახელწოდებით.

საფრანგეთში პროლეტარულ-რევოლუციონურ მწერალთა კადრები, მიუხედავად მუშაობის უკეთესი პირობებისა, მხოლოდ ეხლაცაა დასაბუთებული.

რევოლუციონური ლიტერატურის საერთაშორისო ბიუროს დელეგაციის ჩამოსვლას ტფილისში, თავისი პრაქტიკული შედეგები მოჰყვა. იგი გამოიხატა, უპირველეს ყოვლისა იმაში, რომ ბიუროს წევრებმა უშუალო კავშირი დაიკავეს ჩვენს პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციებთან და აგრეთვე გაიცნეს საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაცია; გარდა ამისა მათ ზოგადად მიმოიხილეს ჩვენა კულტურული და ტექნიკური აღმშენებლობის დღევანდელი სურათი. დასავლეთის რევოლუციონურ მწერლობისა და საქართველოს პროლეტარულ და საბჭოთა მწერლების შეხვედრის დროს დასახული იქნა მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომლებმაც მომავალში ხელი უნდა შეუწყონ თანამედროვე ქართულ ლიტერატურის ნიმუშების უცხოეთის ფართე მასიურ მკითხველისათვის გაცნობისა და დაახლოვების საქმეს.

ამ განზრახულ პრაქტიკულ ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია შემდეგი:

რევოლუციონური ლიტერატურის საერთაშორისო ბიუროში, როგორც ვთქვით, ადგილი ეთმობა საქართველოს პროლეტარულ მწერლებს; ბიუროს ორგანოში— „უცხოეთის ლიტერატურის მოამბეში“ (როგორც ეს ბიუროს სახელით განაცხადა ბელა ილეშმა),

გაიხსნება სპეციალური ქართული ლიტერატურის განყოფილება, სადაც სისტემატიურად დაიბეჭდება ქართული ლიტერატურის ნიმუშები;

ამავე „მოამბეში“ აგრეთვე გერმანიის პროლეტმწერალთა ჟურნალ „მარცხენა მოსახვევში“ და ჰუნგრეთის ჟურნალ „ნამგალი და ჩაქუჩში“ გაიხსნება დისპუტი შემდეგ თემაზე: „რა ღონისძიებები უნდა იქნეს მიღებული ნაციონალურ ლიტერატურათა და კერძოდ ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის“;

გერმანულ გაზეთ „ველტ ამ მორგენში“ სისტემატიური სტატიების სახით გაშუქებულ იქნება ქართული პროლეტარული ლიტერატურის ვითარება. ასეთივე ხასიათის წერილები მოთავსდება გერმანიის პროლეტარულ მწერალთა ორგანოში „მარცხენა მოსახვევში“;

სხვადასხვა ეროვნებათა პროლეტარულ მწერლობის კრებულში, რომელიც ახლო მომავალში გამოვა გერმანულ ენაზე, ადგილი დაეთმობა ქართულ პროლეტარულ მწერალთა ნაწარმოებებს.

მეორე მხრივ დელეგაციის მწერლებსა და საქართველოს სახელგამს შორის მოხდა შეთანხმება მათი ნაწარმოებების ქართულ ენაზე გამოცემის შესახებ. ამ შეთანხმების ძალით ქართულად გადმოითარგმნება და გამოიცემა უცხოეთის პროლეტარული და რევოლუციონური მწერლების ნაწარმოებთა მთელი სერია „მსოფლიო პროლეტარული ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ საერთო სახელწოდებით. ამ ბიბლიოთეკაში პირველ რიგში შევლენ შემდეგი ნაწარმოებნი: იოჰანეს ბეხერის „ერთად-ერთი სამართლიანი ომი“, ბელა ილეშის „ტისსა იწვის“, მათე ზალკას „ამბავი მუდმივი ზავისა“, ლუდვიგ რენის „ომი“, ფრანც ვაისკოფის „მოთხოვრებათა კრებული“, ბრუნო იასენსკის „მე ვწვავ პარიზს“ და სხვ.

ყველა ჩამოთვლილი ღონისძიებები, რომელთა განხორციელება უახლოესი მომავლის საქმეა, წარმოადგენენ გარანტიას იმისათვის, რომ ჯერ ერთი, ქართული პროლეტარული და საერთოდ მხატვრული ლიტერატურის უცხო ენებზე თარგმნისა და გავრცელების საქმეს ამიერიდან ჩაეყრება მკვიდრი საფუძველი; მეორე მხრივ ქართული ლიტერატურაც ჩინებული თარგმანების სახით, გამდიდრდება უცხოეთის რევოლუციონური ლიტერატურის თვალსაჩინო ნიმუშებით და ბოლოს, რაც ფრიად საგულისხმოა, საქართველოს პროლეტარული მწერლობა აქტიური მონაწილე შეიქნება რევოლუციონური ლიტერატურული ინტერნაციონალისა.

იაპონიის საბავშვო ლიტერატურის გამოფენა

იაპონიის საბავშვო ლიტერატურის კულტურას მოკლე ისტორია აქვს. იგი მე-19-ტე საუკუნის 70 წლებში ჩასახულა. ამ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა ნამდვილი საბავშვო ლიტერატურა—არ ყოფილა იგი გამოყოფილი საერთო ლიტერატურიდან.

მიუხედავად ასეთი მოკლე დროისა იაპონელებმა ბევრის გაკეთება შესძლეს. იაპონიის ხალხს ბრძნული შეგნებით უთქვამს: ხალხი, რომელსაც ბავშვები არ უყვარს უნდა დაიღუპოსო. იაპონელებს უყვართ ბავშვები ისინი დიდი სიყვარულით ქმნიან საბავშვო კულტურას: საბავშვო დრამატული თეატრი, ოპერა საბავშვო რეპერტუარით და საბავშვო თხრობის კლუბი, რომელნიც ამშვენებენ იაპონიის ქალაქებს, მხოლოდ ბავშვისადმი დიდი სიყვარულის ნაყოფი შეიძლება იყოს.

საერთოდ იაპონელები ყოველ მხრივ უწყობენ ხელს ბავშვის გონებრივ განვითარებას. ისინი ალამაზებენ და ახალისებენ ბავშვის ცხოვრებას.

ამის თვალსაჩინო საბუთია იაპონიის საბავშვო ლიტერატურის გამოფენა, რომელიც უცხოეთთან კულტურული კავშირის საკავშირო საზოგადოების მიერ იმართება საბჭოთა რესპუბლიკებში და კერძოთ ტფილისში ხელოვნების სასახლეში იყო გამართული.

იაპონიის საბავშვო ლიტერატურა საკმაოდ მაღალ დონეზე დგას. ევროპის ხალხთა კულტურის გავლენით აღორძინებული, იგი დღეს ამავე ხალხთა საბავშვო ლიტერატურის კულტურას შეგვიძლია შევადაროთ, არა მარტო ტექნიკური გაფორმებით, არამედ შინაარსის დამუშავების და გამოცემათა სიმრავლის მხრივაც.

ევროპიულ კულტურის, მაგალითად, ინგლისის, გერმანიის და რუსეთის გავლენა, დღესაც ეტკობა იაპონიის საბავშვო წიგნის კულტურას, მაგრამ უფრო ხშირად ეს გავლენა იაპონურ ეროვნულ გაფორმებით იცვლება და ვერ ასუსტებს საკუთარ შემოქმედების ძალას.

გამოფენა მეტად მდიდარი იყო. წარმოდგენილი იყო ყოველნაირი საბავშვო წიგნები, ჟურნალები და გაზეთები. გამოფენამ დაამ-

ტკიცა, რომ იაპონიაში დიდ ყურადღებას აქცევენ საბავშო ლიტერატურის ყოველი საფეხურის წიგნების მასიურ გავრცელებას. წარმოდგენილი ექსპონატების ილუსტრაცია ფერადებით არის შესრულებული. ტექნიკის, ინჟინერიის და ტრანსპორტის ნიმუშებიც კი ფერადებითაა გაფორმებული.

უნდა აღინიშნოს საბავშო ჟურნალების და გაზეთების სიმრავლე. იაპონიაში ამჟამად 50 სხვა და სხვა საბავშო ჟურნალი გამოდის. ყოველ ჟურნალს აქვს მკითხველთა — განყოფილება, სადაც მცირეწლოვანთა ნაწერები იბეჭდება.

გამოფენას მდიდრულ სახეს აძლევდა შესანიშნავად გამოცემული იაპონიის, ჩინეთის, ევროპის და რუსეთის კლასიკოსები: დანტე შექსპირი, ანდერსენი, ტოლსტოი, კრილოვი და სხვ. მდიდარი ილუსტრაცია აქვს ზღაპრებს, ლეგენდებს, ხალხურ სიმღერებს და საბავშო ჰაუმორს. იაპონიის მილიტარიზმი და პატრიოტიკა თავის ელფერს აძლევს საბავშო ლიტერატურასაც. მრავლად იყო წარმოდგენილი ომის სურათები და ზღაპრები მეფეებზე. სხვათა შორის თამარ მეფის შესახებაც ჰქონიათ ზღაპრები. მცირეწლოვანთათვის დაწერილ სამეცნიერო წიგნებში დიპლომატიის ისტორიაც შედის.

ტექნიკურად და მხატვრულად არის შესრულებული ყველა გამოცემები, სახელმძღვანელოებიც კი. თითქმის ყოველი ექსპონატი შეიძლება სანიმუშოდ ჩაითვალოს არა მარტო საბავშო ლიტერატურაში, არამედ ლიტერატურაში საერთოდ. წიგნები შესანიშნავად არის დაკანული. ყოველი წიგნი მუყაოს (კარტონის) ბუდეშია ჩასმული. მუყაოც ილუსტრაციით არის გალამაზებული.

ერთი სიტყვით გამოფენაზე წარმოდგენილი ნიმუშები მოწმობენ, რომ იაპონიაში მეტად ფაქიზათ ეპყრობიან საბავშო წიგნების გამოცემას: რომ აქ საუკეთესო მხატვრები და პოეტებია ჩაბმული საბავშო წიგნის საქმეში და საუკეთესო პოლიგრაფიული ტექნიკითაა შესრულებული ყოველი ნიმუში.

რომ საბავშო წიგნი მიმზიდველი იყოს, იაპონიაში არ უფრობიან არც ფერების სიმრავლეს, არც სურათების სადიდეს და არც დეტალურად ფერებით ამოქარგულ სურათებს, პატარა წიგნის გვერდზე თითქმის ყველა ფერებით შემკულ სურათებს შეხვდებით. გასაკვირია, რომ ასე მრავალი ფერებით შესრულებული სურათები ზედმიწევნით ფაქიზათ არის დაბეჭდილი.

კინო-წიგნი, წიგნი გასაშალ გვერდებით, რომელიც მხოლოდ მცირეწლოვანთათვის იცემა, პოლიგრაფიულ ტექნიკის კარგი და სრული გამოყენებით არის გაკეთებული. ამ წიგნის შესრულებაში

ყოველგვარ კომბინაციას შეხედებით. დიდ ჰორიზონტიანი სურათები ყოველთვის ორ მოპირდაპირე გვერდებზეა დაბეჭდილი. ხშირად ეს გვერდები კიდევ გადასაშალია და იტევს წიგნის ფორმატზე ოთხჯერ დიდ სურათს. აკინძვის დროს სხვადასხვა ფურცელზე დაბეჭდილი სურათის ნაწილები ისეთი ზედმიწევნით ხვდებოდნენ ერთმანეთს, რომ შეერთების ხაზიც არ ეტყობა. ხშირია რთული გვერდები, რომლებიც მოულოდნელ დიდ სურათებათ იშლებიან: ასეთი ტექნიკა წიგნის ფორმატის ეკონომიის გარდა დიდ სურათებს ინახავს და მხატვრულ ეფექტსაც იძლევა.

ასეთი გამოფენების გამართვა უთუოდ დიდ სარგებლობას მოიტანს. ქართული საბავშო ლიტერატურის მუშაკები ყველა კულტურული ერების საბავშო წიგნის კულტურას უნდა გაეცნონ. თუ დიდი კულტურის მქონე გერმანელები ცდილობენ იაპონიის საბავშო ლიტერატურის გამოფენას გერმანიაში, ჩვენ მით უფრო უნდა ვიყოთ დაინტერესებული ამ კულტურით და გამოვიყენოთ მისი ტექნიკური მიღწევები. ჩვენი საბავშო გამომცემლობისათვის უთუოდ ბევრი რამ იყო მისაბაძი ამ გამოფენაზე, განსაკუთრებით მხატვრულ და ტექნიკურ გაფორმების მხრივ.

ჩვენ ჯერ დიდი მუშაობა და სწავლა გვჭირდება საბავშო ლიტერატურის კულტურის შექმნისათვის. უწინარეს უნდა შექმნას საბავშო მწერალთა სექცია და მიღებულ იქნას ზომები პოლიგრაფიულ კულტურის გასაუმჯობესებლად.

საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც იმ თავითვე დიდ ყურადღებას აქცევდა მოზარდ თაობას, რომელმაც იცის რომ სოციალურ ყოფის, მეურნეობის და აღმშენებლობის სრული რეკონსტრუქციისათვის საჭიროა ახალი ესტეტიკის და გემოვნების ახალი ადამიანი სათანადოთ გამოიყენებს იაპონიის საბავშო ლიტერატურას ტექნიკურ მიღწევებს.

—:—

ლიტერატურული დოკუმენტები

არ. ხუნდაძე

დანიელ ჭონქაძე

(მასალები მისი ბიოგრაფიისათვის)

1830—1860—1930

1930 წელს სრულდება დანიელ გიორგის ძე ჭონქაძის დაბადების ასი წლის თავი,—ხოლო მისი გარდაცვალებიდან—70 წელი. დანიელ ჭონქაძეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მართალია, მან ერთი პატარა მოთხრობის დაწერა მოასწრო ნხოლოდ, მაგრამ ამ პატარა მოთხრობაშიაც კი დიდი ამაგი დასდო ქართული ლიტერატურის წინმსვლელობას. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ მან პირველმა მიიტანა ქართულს ლიტერატურაში იერიში ბატონ-ყმური ურთიერთობის წინააღმდეგ და პირველმა ჩაუყარა ჩვენს მწერლობაში დემოკრატიულ მიმდინარეობას საფუძვლები. აი როგორ აგვიწერდა ან. ფურცელაძე 1863 წელს. „სურამის ციხის“ გავლენას: „სურამის ციხეში“ დასცა ზარი, და აუშალა ტანში ჟრუანტელი სიძველისა და სიცრუის მქადაგებლებსა, აუმღვრია სისხლი, დაასია ესენი დაწინაურებულ აზრების პატრონებზე. პატარა ხანს შეშინებული კონსერვატორები გამოვიდნენ ისევ ასპარეზზე და დასცეს საყვირი. (იხ. „ციხკარი“ № 1. გვ. 115-16, 1863 წ. ქ. ბექას წერილი).

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ პირველი პროტესტანტისა და დემოკრატის დაბადების ასი წლის თავს საბჭოთა საქართველო ღირსშესანიშნავად გადაიხდის. ამჟამად ჩვენ გვინდა ამ პატარა წერილში გამოვაქვეყნოთ დამატებითი ცნობები და დოკუმენტები დანიელ ჭონქაძის ცხოვრებიდან და ლიტერატურული მოღვაწეობიდან.

დანიელის საბიოგრაფიო მასალების შეგროვება ცოტა საძნელო საქმეს წარმოადგენს. წინასწარ ვიცოდით, რომ დანიელის შესახებ ცნობები საკმაოდ არ მოიძებნებოდა. ამის შესახებ ფ. მახარაძე ამბობს:—„სამწუხაროდ ჩვენ ვერ ჩავიგდეთ ხელში ვერც ერთი ხელნაწერი, რომელიც დანიელის ხელით ყოფილიყო დაწერილი.

თქმა არ უნდა, რომ ეს დიდი დანაკლისია მისი ბიოგრაფიის საესე-
ბით შესადგენათ. დანიელის ერთ-ერთმა შვილმა გიორგიმ, რომელ-
საც ჩვენ ამის შესახებ მივმართეთ, შეგვატყობინა, რომ მამისაგან
არავითარი ხელნაწერი არ დარჩენილა, გარდა თვით დანიელის სუ-
რათისა, რომელიც დაუხატავს დანიელის სიცოცხლეშივე სემინარიის
ხატვის მასწავლებელს, ფორტუნატოს. ეს სურათი მან მაშინვე გა-
მოუგზავნა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასაღე-
ბათ“. (ფ. მახარაძე—„დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“ გვ. 10).

პირველად მასალების მოკროვება დაიწყო საქართველოს ცენ-
ტრალურ არქივში, სადაც ინახება ტფილისის სასულიერო სემინა-
რიის ძველი საქმეები. დანიელის ცხოვრება მჭიდროთ დაკავშირე-
ბული იყო სემინარიასთან: ჯერ იყო და იქ სწავლობდა 1845 წლი-
დან 1851 წლამდე, შემდეგ ამავე სემინარიაში მასწავლებლობდა
1855 წლიდან 1860 წლამდე. ე. ი. სიცოცხლის უკანასკნელ წუ-
თამდე.

სამწუხაროთ, ცენტრარქივში დანიელის შესახებ ძლიერ ცოტა
ცნობები აღმოჩნდა. მაგრამ ის, რაც აქ აღმოჩნდა მაინც საინტერე-
სო მასალას იძლევა დანიელის ბიოგრაფიისათვის. მისი ხელით და-
წერილი რამოდენიმე თხოვნა ეხება დანიელის მატერიალურ კრიზისს
და ერთი მათგანი კი—დანიელის გამორიცხვას სასულიერო წოდე-
ბიდან.

გარდა ცენტრარქივისა მასალების ძებნა საჭირო იყო დანიე-
ლის მემკვიდრეებთანაც: ყოფილ დუშეთის მაზრაში დანიელის სო-
ფელში, ყვავილში ცხოვრობს დანიელის შვილის გიორგის ქვრივი
(გიორგი გარდაცვლილა ახალციხეში მომრიგებელ-მოსამართლეთ. ყო-
ფნის დროს 1915 წელს). მე წავედი ადგილობრივ, რომ ჩემი თვა-
ლით შენახა და დამეთვალალოებია ის კარმიდამო, სადაც ცხოვრობ-
და დანიელი და შემეძინა საბიოგრაფიო მასალები. სახლში დამხვდა
მარტო გიორგის ქვრივი, მოხუცი უშვილო, დაახლოვებით 65 წლის
მარიაში. მარიაშს გავაცანი ჩემი მისვლის მიზანი და უამბე ვრცლად
ამბავი დანიელის და გიორგის შესახებ. ის არაჩვეულებრივი ყურად-
ღებით მისმენდა და ბოლოს მითხრა, რომ მასაც აქვს ცნობები და
რალაც ხელთნაწერები დანიელის შესახებ. მარიაშმა უფრო გაბედუ-
ლად გადასწყვიტა ძველი ხელთნაწერების მოტანა მას შემდეგ, რო-
ცა მე მას უჩვენე ჩემ მიერ არქივში შეკრებილი მასალები.

აქ აღმოჩენილ საბუთებში განსაკუთრებულ ყურადღების ღირ-
სია ორი ხელნაწერი დანიელისა. ერთია დანიელის ანდერძი და მეო-
რე პირადი წერილი დანიელის მიერ მიწერილი ცოლის ძმის ივანე

თეოდოროვის სახელზე. ანდერძი არის დაწერილი 1859 წლის აპრილის 6; მოგვყავს ზოგიერთი ადგილები: „3) Меня похоронить не затейливо и скромно, если случится умереть в Тифлисе рядом с женою, а если в селении, то рядом с матерью... 5) Не продавать только мои старые рукописи, а хранить для сына... 9) Прошу Иосифа Ивановича Индуева снести с Тюриным и если захочет иметь, отослать: мои труды по словарю как тетрадки, так и карточки, перевод литургии Василя Великаго, пословицы и поговорки, а также сказки на осетинском языке и мои записки о куртатинских осетинах. Последнее прошу собрать, переписать и так отослать. Бумаг этих можно найти или в моем письменном столе, или в моем комодѣ“.

ამ ანდერძს აქვს მიწერილი 1860 წელში 5 მარტს შემდეგი:

„Девятый пункт этого завещания я отменяю по некоторым обстоятельствам. Вместо этого записки о куртатинцах сдать Берзенову, который если заблагорассудит, пусть изложит по своему и издаст в какомнибудь журнале, хотя изложения нет в них, но фактов много. Остальные пусть пропадают, на разбор их ни у кого не достанет духу.

1860 года, марта 5-го дня. Даниил Чонкадзе“.

მეორე წერილი, რომელიც დაუწერია დანიელს თავის ცოლის ძმის რვაზე თეოდოროვისათვის გასაგზავნათ აქვე მოგვყავს სრულად:

Любезный братец Ваню!

Твое письмо передал мне на днях г. Какалов. Как самое письмо, так и то обстоятельство, что ты в Ставрополе при хорошем месте и пользуешься вниманием начальства весьма, весьма обрадовало. Был рад и тому, что наша Дашенка вышла замуж. Дай Господи ей счастье и здоровье. В особенности рад был тому, что она вышла за купца. Мне кажется, что купеческой дочке лучше выходить за купца же, имеющего кусок хлеба, чем за голодного благородного и уверен, что она нисколько не раскается в своем выборе. Дай только Господи, чтобы по нравственности был хорош.

Я, брат, вот уж целых два месяца болен и болен не в шутку. Мне Какалов передал, между прочим, что будто маменька сердится на меня, что я не пишу письма. Да, я много виноват перед нею, но я в оправдание себе одно только могу ска-

зять и именно то, что до болезни моей я приготовил письмо, но болезнь моя не допустила меня и прихлопнула до почтового дня. В доказательство того, что я не вру, посылаю к тебе лоскуток того письма, потому что целое письмо уже не представляет после твоего письма никакого интереса. Письмо твое настолько удовлетворило моему любопытству, что я не нахожу более о чем писать, особенно при настоящем моем болезненном положении, когда у меня и к тому же трясутся руки от слабости. Ох, и слаб же я, если бы ты знал.

Я болен чем бы ты думал? Лихорадкою? Тифом пожалуй? Ох нет. Я болен брат, кровохарканием. Известно тебе, что я еще там часто жаловался на грудную боль. После того эта боль еще больше увеличилась после смерти покойницы. Наконец, в позапрошлом году Императорская Академия наук поручила мне составить осетинский словарь и я принялся за этот труд со всей энергией, свойственной молодому человеку, желающему составить себе карьеру, но не успел составить на три буквы словарь, как со мною случилось кровохаркание — это было в прошлом году, в это же время, но кровь шла немного и не опасно и меня в полтора месяца вылечили, приписав эту болезнь геморою. Тем не менее, я отказался от предложенной мне Академией чести. Но как у меня какой-то проклятый характер, и мне кроме служебных дел непременно хочется что нибудь делать, то я взялся за грузинскую литературу (у нас здесь издается на грузинском языке журнал и молодежь всеми силами поддерживает его. Национальное чувство пробуждается) и написал одну повесть под заглавием «Сурамский замок». Повесть была очень благосклонно принята публикой, кроме некоторых невежд помещиков, которых я задел крестьянским вопросом. Поощренный таким успехом, я принялся за новый труд, но Бог не дал мне докончить его. Уже месяц я чувствовал себя дурно, но не обращал на себе внимания; думал, что пройдет само собою. Но надежда моя не исполнилась. Однажды — это было в субботу вечером, я был у одного своего приятеля и просидел у него до 9 часов, оттуда пошел к сестре уже к половине 11 я пришел домой. Чувствовал себя как и всегда ни дурно ни хорошо. Закусив чем Бог послал и лег спать. Но только лег, как у меня зачесалось тело.

Я почувствовал, что это волнение крови, но что я мог сделать? Я предоставил себя судьбе. Через несколько времени я почувствовал в горле что-то теплое. Харкнул, смотрю что-то харкание слишком большое и за неимением при себе платка выхаркнул в подол рубашки, встал, зажег свечу, посмотрел действительно кровь. Но в то же время закашлялся и выхаркнул кровь с чайный стакан, за тем еще, еще, вижу что плохо, выбежал и позвал человека. Человек так растерялся, что не знал что делать. Я приказал ему достать цирюльника. Пока он привел цирюльника, кровохаркание продолжавшееся $1/4$ часа остановилось. Цирюльник пришедши открыл кровь фунт целый. Потеряв столь значительной крови (выхаркнул $1\frac{1}{2}$ фунта и бросил фунт) конечно, ослабило меня так, что со мною сделалось дурно; целых четверть часа я лежал не подавая никаких признаков жизни, наконец, меня привели в чувство, но в то же время кровь хлынула к горлу с новою силою; но Господь спас меня и я не умер“.

მართალია ზემოთ აღნიშნულ წერილს არ აზის თარიღი და არც ხელი აქვს დანიელს ზედ მოწერილი, მაგრამ როგორც შინაარსით ისე თვით ნაწერით, თუ შევადარებთ ამ წერილს, დანიელის სხვა წერილებს, რომლებზედაც დანიელს აქვს ხელა მოწერილი დავრწმუნდებით, რომ ეს წერილიც დანიელს ეკუთვნის.

როგორც ცნობებიდან სჩანს დ. ჭონქაძის გარდაცვალებამ დიდი მწუხარება გამოიწვია ქართველ მწერლებში. თითქმის ყველამ ძლიერად იგრძნო ეს ნაკლი, მაგრამ ყველაზე უფრო დიდი მწუხარებით აღიჭურვა ჟურნალ „ცისკარის“ რედაქტორი ივანე კერესელიძე, რომელმაც ლექსიც კი უძღვა დანიელის ხსოვნას. აქვე მოგვყავს რამდენიმე ადგილი ამ ლექსიდან:

დანიელ ჭონქაძის გარდაცვალებაზე.

ყმაწვილო კაცო, მშვიდობით! მაგრამ გვითხარი რა არის,
რომ აგრე ადრე დაგვტოვე, შენს მშობელს მამულს ესალმი?
ვინ რა შეგცოდა ისეთი, ან ვინ გაკადრა შენ წყენა,
რომ პირი გამომეტყველი არღა გიქმნიეს ჩვენკენა!..
ზარის კვნესის ხმა მომესმის, გულსა მიმჭვალავს ვით სენი,
გვაწუხებს ის, რომ გვშორდები, საგულელებელი ძმად ჩვენი.
რათა და რისთვის შამოგვწყერ, რა დაგიშავეთ ისეთი,
რომ ხმას არა გვცემ, მოვსულვართ ერთობრივ შენნი მოქმენი.
სიმართლეზედან გიყვარდა ხშირად სჯა ძმად მხურვალედ,

ახლა გჭვრეტ სწევხარ დუმილით, თითქოს შექმნილხარ მწუხარედ,
ყურს დაგვიგდებდი როდესაც გეტყოდით რასმეს მართალსა,
აწ ხმას გცემ, მიხვალ, არ მისმენ, თითქოს რომ შორით სავალსა,
გუშინ გლევ-კაცსა ჰფარვიდი, ვლიდი მათ საქმეს ახალსა,
დღეს ყურს არა თუ ათხოვებ,—აღარც კი აძლევ სალამსა. 1)

ივანე კერესელიძემ რომ ასე გულამოსკვნით დაიტირა დანიელ
ჭონქაძე—ეს გასაგებია. „სურამის ციხის“ მიზეზით იყო, რომ
ჟურნალი „ცისკარი“ ამ მოთხრობის გამოქვეყნების შემდეგ ხელი-
დან ხელში გადადიოდა და ნომრებს ხალხში ეძებდნენ წასაკითხათ.
მკითხველი საზოგადოება შემატა დანიელმა ჟურნალს და დაკარგვა
ასეთი თანამშრომლის, რომელიც იყო ხალხის საყვარელი მწერალი
ჟურნალ „ცისკრის“-თვის დიდ დანაკლისს წარმოადგენდა.

—:—

1) იხ. ივ. კერესელიძე: ლ ე ქ ს ე ბ ი.

ბიბლიოგრაფია

მ — ლი.

გ. წერეთელი — „გულქანი“.

რომანი. 1929 წ., სახელგამი. ვ. ხუროძის წინასიტყვაობით,
411+I-IV გვ. ფასი 2 მ. 50 კ.

გიორგი წერეთელი მებრძოლი მწერალი იყო, იგი ყოველთვის პროგრესიულ რაზმებში იდგა და მუდამ ახალ მოვლენებისკენ ეჭირა თვალი. სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მოწინავე და შედარებით მემარცხენე ინტელიგენციის რიგებში ჩადგა და ალტაცებით ეგებებოდა ბატონყმობის ნანგრევებზე ბურჟუაზიის გაბატონებას. კაპიტალიზმი, მართალია, მან მიიღო მაგრამ ეს მიღება არ ყოფილა ყოველმხრივი: გ. წერეთელი ღებულბოდა ამ ურთიერთობის პროგრესიულ მხარეს, ხოლო უარყოფითს თავგამოდებით ებრძოდა. და როდესაც 90 წლებში გამოირკვა, რომ ჩვენს სინამდვილეში კაპიტალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ძალა წარმოიშვა პროლეტარიატის შედარებით მცირე რაზმების სახით, გ. წერეთელი მაშინვე ამ ძალის მხარეზე დადგა და ყურნალ „კვალის“ გარშემო თავი მოუყარა ე. წ. მესამე დასს.

ქართული აზროვნების მემარჯვენე ფრთას, თავიდანვე ნიშნის ქვეშ ყავდა გ. წერეთელი დაყენებული და დაუნდობლად ებრძოდნენ მას. ამ ბრძოლის ერთ-ერთ ტიპიურ მომენტად „ივერიის“ შემდეგ კიტა აბაშიძის კრიტიკული ეტიუდი უნდა ჩაითვალოს. განსვენებულმა კრიტიკოსმა გ. წერეთელის მხატვრული შემოქმედებაც იმავე კითხვის ქვეშ მოაქცია.

როდესაც გ. წერეთლის ახლად გამოქვეყნებული რომანის „გულქანის“ ისტორიას ეცნობით, ძალაუნებურად მიხვალთ იმ დასკვნამდე, რომ ამ საყურადღებო ნაწარმოების ასე დაგვიანებით დაბეჭდვა, უსათუოდ ამ ბრძოლის შედეგი უნდა იყოს. როგორც წინასიტყვაობაში ვკითხულობთ, რომლის საერთო მოხაზულობა ჯერ კიდევ 60-იან წლებში ჰქონია ავტორს და 1868 წლის „დროებაში“ მისი ნაწილიც კი დაუბეჭდავს. 1896 წელში ხელახლა სცადა ავტორმა მისი დაბეჭდვა, მაგრამ, როგორც ზეპ რი გადმოცემა ამბობს „ვიღაცეებმა შიგ თავიანთი თავებიც იცვენეს“ (წინასიტყვაობის ფრაზაა) და რომანი დაჭერილ იქმნა. თებერვლის რევოლუციამდე „გულქან“ ბიუროკრატიის ტყვე იყო, სრულიად დაბეჭდვა კი მხოლოდ დღეს ელიჩსა ჩვენი „სახელგამის“ წყალობით.

გ. წერეთლის მოწინააღმდეგეებს კაპიტალიზმი საქართველოს დამქცეველ ძალად მიაჩნდათ და „ხმლისა და გუთნის“ თეორიას უწინააღმდეგებდნენ მას, ქალაქური ურთიერთობა დამლუპველად მიაჩნდათ და სოფლის ქება-დიდებაში იყვნენ. ვინ იცის რამდენი ქალაქი და მელანი დაუხარჯავს ამ საქმეზე „ივერიას“. გ. წერეთელი კი მოწინააღმდეგე თვალსაზრისზე იდგა და მისი ათვალისწინების ძირითადი მიზეზიც ეს იყო. ამას ერთვოდა ისიც, რომ გ. წერეთელი შეუბრალვლად

ამხილებდა ბიუროკრატიის ბნელ საქმეებს, განსაკუთრებით ეს გამოჩნდა რომან „გულქანში“ და ეს მშვენიერი რომანიც დღემდის სინათლეს ვერ ეღირსა.

რომანის თემა თავის დროისთვის მეტროპოლით თემა იყო—ესაა კაპიტალიზმის არსებობა და განვითარების გზები ჩვენს პირობებში. მის ჩანასახს ავტორი ჯერ კიდევ ბატონყმურ პირობებში ნახულობს თავად ბაკურიძის ყმის—პეტრიელა გაწირილიას სახით. პეტრიელა იმერეთიდან ტფილისში ყავდათ უბრალო ბიჭად, თანდათან გამდიდრდა და ბოლოს თავისი ბატონის—ბაკურიძის სახლკარიც კი ჩაიგდო ხელში. ამ პროცესის გვერდით რომანში ნაჩვენებია დიდებული ბაკურიძის თანდათან დაცემა-გაღარიბება და ჩვენი ქვეყნის მაშინდელ მმართველთა საქმენი საგმირონი. მოცემულია აგრეთვე ინტელიგენციის პროფილები. რომანი დიდის ხალისით იკითხება და მისი ორი ნაწილი ნამდვილ მხატვრულ შთაბეჭდილებას სტოვებს. უნდა ითქვას, რომ ამ რომანის თავის დროზე გამოუქვეყნებლობამ უსათუოდ დადი ზიანი მიაყენა გ. წერეთლის ლიტერატურულ სახელს: რომანის მესამე ნაწილი ავტორს დუსრულელებელი დარჩა და აქ მხოლოდ ესკიზის სახითაა მოცემული.

გამოცემა კარგია, თუმცა შიგადაშიგ კორექტურულ შეცდომებს შეხვდებით. ფასი არ შეიძლება იაფად იქნეს მიჩნეული.

— : —

ლევან ასათიანი

ელიზბარ პოლუმორდვინოვი „შაშვილარ“.

სახელგამი, 1929 წ. გვ. 154. ფასი 90 კ.

ეს წიგნი წარმოადგენს პოლუმორდვინოვის მოთხრობების მეორე კრებულს. აქ შედის ოთხი მოთხრობა: „შაშვილარ“, „წარმოდგენა“, „ხანძარი“ და „რკინის ძმები“.

მოკლე რეცენზიის ფარგლებში არ შეიძლება ამომწურავათ იქნეს დაფასებული ამა თუ იმ წიგნის ღირსება-ნაკლულევანებები.

ამას წინათ გორკი ერთ ერთ თავის წერილში „პროლეტარიატმა უნდა აღზარდოს თავისი კულტურის ოსტატები“, — ამბობდა, რომ ქვეყანაზე შეფასებათა რიცხვი სჭარბობს ჭეშმარიტ, ნამდვილ ღირებულებებს. სრული სიმართლეა. მაგრამ ისიც მართალია, რომ შეფასებათა შორის ნამდვილი, ობიექტური, უტენდენციო შეფასებაც იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. ჩვენც ვეცდებით ვიყოთ გულწრფელი, ობიექტური და ფრთხილათ მივუთითოთ ავტორს ზოგიერთ დეფექტებზე, შეცდომებზე, რომელსაც მწერალი, თუ მოინდომებს, ძალიან იოლათ აიცილებს თავიდან მომავალი მუშაობის დროს.

პოლუმორდვინოვის ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ იგი ეტანება უმთავრესად ახალ, თანამედროვე თემებს.

თანამედროვე ცხოვრებაში მოიპოვება უამრავი მადლიერი მასალა, ლიტერატურისთვის ჯერ გამოუყენებელი. „სამკალი უცდის მომკალს“. ახალგაზრდა მწერალმა უნდა იმუშავოს ამ ახალ მასალაზე. მწერალს ბევრი რამ უშლის ხელს მუშაობაში. ყველაფრის ჩამოთვლა არ შეიძლება. მწერალი ხშირად ვერ არის გულწრფელი. მაგრამ ყველაზედ მეტად ახალგაზრდა მწერალს საქმეს უფუჭებს ტრა-

დრაციული ფორმების ზედმეტი პატივისცემა. იგი თავის მუშაობაში, განსაკუთრებით დასაწყის პერიოდში, მიდის ნაკლები დაბრკოლების, უმცირესი წინააღმდეგობის ზაზით. იგი იყენებს ნაცნობსა და უკვე გამოყენებულ ხერხებს, მოქმედობს ნაცნობ ფორმალურ შესაძლებლობათა ფარგლებში.

ასე ბავშვი იკეთებს ჩამის სათვალეს, ამ სათვალეებით იგი კარგათ ვერ ხედავს საგნებს.

მწერალი არ იბადება დამოუკიდებელ, თავისებურ ოსტატად; მან უნდა გაიაროს ჯერ შეგირდობის გრძელი პერიოდი. ასე სწავლობდნენ წერას: მოპასანი — ფლობერთან, ტოლსტოი — სტენდალთან, პუშკინი — ბატუშკოვთან, შემდეგ ყველა ეს მწერლები შეიქნენ დამოუკიდებელ ოსტატებათ.

„შაშვილარში“ ავტორი ეხება საინტერესო თემას, ეს არის ახალი კულტურის შექრა სოფელში. ავტორს უნდა დაგვანახვოს სვანეთის სოფელი და მოწინავე სვანი, ბათირი, რომელსაც შეაქვს ამ ყრუ კუნჭულში თანამედროვე მატერიალური კულტურის ერთი სახე — რადიო. ამ მოწინავე ადამიანის პირველ ცდას, როგორც კედელი, წინ ელობება ხალხის ჯიუტი უფიცობა და ცრუმორწმუნეობა. ეს პირველი ცდა მარცხდება. როგორც ვხედავთ, თემა მეტად საგულისხმოა და აქტუალური. ამ ფაბულაზე მწერალს შეუძლია ააშენოს და გვიჩვენოს ძველი და ახალი ყოფის დაჯახება, სურათი, რომელსაც დღეს ყველა ქართულ სოფელში შეამჩნევთ.

მაგრამ ავტორი აქ უშვებს შეცდომას შეცდომაზე. პირველი შეცდომა, ჩვენის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ ავტორი ცდილობს მოგვცეს სვანეთი ეგზოტიურ ხაზებში. ეგზოტიკა მეტად სახიფათო რამ არის მწერლისთვის. აქ შეიძლება ფეხის წაღება. ეგზოტიური თემების შემოტანა ლიტერატურაში ხდება გარკვეული მიზეზებისა გამო. ეს მიზეზები უნდა ვეძიოთ ჯერ თვით ლიტერატურის და მერე უმთავრესად საზოგადოებრივი განწყობილებების შიგნით. ეგზოტიკის მოთხოვნილება გამოწვეულია ხშირად აგრეთვე თემატიური კრიზისის გამო; მაგალითად პუშკინისა და ლერმონტოვის კავკასიურმა თემებმა, როგორც ეგზოტიურმა მასალამ, გააცხოველეს რუსული პოეზია, ვაჟაფშაველას და ყაზბეგის მთის ამბებმა და გმირულმა ლეგენდებმა მხნე და ფხიზელი ნაკადი შეიტანეს ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივობის მინორულ განწყობილებებში.

ასლა მკითხველს ვერ დააინტერესებ სვანეთის მარტო რომანტიული ეგზოტიკით. დრო, და ლიტერატურის საკუთარი ინტერესებიც, მოითხოვენ ფხიზელ, საკმთან რეალიზმს. საჭიროა რეალურად გაშუქებული იქნეს არა მარტო სვანეთის, არამედ ჩვენი სოფლის დღევანდელი ჭირვარამი და ის სოციალური მოტივები, რომელნიც ამოძრავებენ ხალხს.

პოლუმორდვინოვი იძლევა სვანების ტიპებს. ეს ტიპაჟი აღებულა იმ ცრუ წარმოდგენიდან, რომ მთიული უსათუოდ უნდა იყოს არწივის თვალებიანი, მისი მხერა საითკენაც არ იქნება მიმართული, იქითკენ გასერავს ჰაერს, მხარ-ბეჭი უსათუოდ ფართე, მკლავები-უზარმაზარი. ჩვენ კი ვიცით, რომ დღეს სვანეთში ასეთი ამირანების გარდა არიან ჩია ტანის ადამიანები, იმიტომ, რომ სვანეთის სოფლებს, ისე, როგორც უმრავლესობა ქართულ სოფლებს, შეჩენილი აქვს უამრავი მიზეზი ფიზიკური დაქვეითებისათვის. პოლუმორდვინოვი აქ არ არის დამნაშავე, ბრალი მიუძღვის იმ ყბად-აღებულ ბელეტრისტულ ფორმას, სადაც პერსონაჟში უსათუოდ უნდა იქნეს მოცემული განზოგადოებული სახე, ტიპი.

ავტორს ეროტიული მოტივი შეაქვს თითქმის ყველა თავის მოთხრობაში. საჭიროა, თუ არ არის საჭირო, რადგან მოთხრობაში გარეულია ქალი, მას უსათუოდ უნდა უყვარდეს ერთ-ერთი მამაკაცი მოთხრობის პერსონაჟიდან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყოველი მოტივი მტკიცე სიუჟეტურ კავშირში უნდა იყოს მოთხრობის სხვა მოტივებთან; თუ ასეთი ფუნქციონალური ხასიათი არა აქვს, მოტივი „ვარდება“ მოთხრობიდან. ასე შეიძლება ამოვიღოთ ეს ეროტიული მოტივი პოლუმორფიზმის თითქმის უმეტეს მოთხრობებიდან ისე, რომ მათი სიუჟეტის საერთო წყობა არ დაინგრევა. ეს კი ენერჯის ამაღ ხარჯვას, როგორც მწერლის, ისე მკითხველისათვის.

შემდეგ დამახასიათებელი ხერხი, რომელსაც განსაკუთრებით ხშირად, თითქმის ყოველ ნაბიჯზე ხმარობს ავტორი,—ეს არის პარალელიზმი ბუნების მოვლენათა და ადამიანის განწყობილების შორის. უმეტესობა თავებისა მოთხრობებში იწყება ბუნების აღწერით. ბუნება ან პირქუშია, ან მომცინარე, იმისდამიხედვით თუ რა განწყობილებაშია მოთხრობის ესა თუ ის გმირი. ამგვარად მკითხველს წინდაწინვე შეუძლია დაახლოვებით მიხვდეს მოთხრობის დასაწყისის მიხედვით, თუ რა გუნებაზე იქნება, ან რას მოიმოქმედებს პერსონაჟი. ამ ხერხს უნდა ერიდოს ავტორი. ეს ხერხი საკმაოდ ძველია. იგი თავის დროზე კარგათ გამოიყენა და გადაჭარბებითაც—ყაზბეგმა, აგრეთვე ნინოშვილმა, და მრავალმა სხვა მწერალმა. ამაზე ამბობდა ლევ ტოლსტოი, როდესაც იგი ეხებოდა ერთხელ ახალგაზრდა მწერლების მუშაობას: „Когда писать нечего, о погоде пишут, а это пора оставить. Ну, шел дождик, мог бы и не идти с таким-же успехом“.

ჩვენი ავტორი უნდა ერიდოს ხოლმე ასეთ შედარებებს და მეტაფორებს: ნისლი-ლეჩაქის მსგავსი, ღრუბლების ქარავანი, ხიდი წააგავს ბაღდახინს, ღამის ცა და მიწა—სუდარას. თანამედროვე მწერალს უნდა ეჩიოთ ირებოდეს ლეჩაქი, ქარავანი, ბაღდახინი, სუდარა,—როგორც მრავალჯერ ნახმარი, ნაცნობი და გამოყენებული ობიექტები პოეტური შედარებებისათვის.

კრებულში ყველაზედ საინტერესოა „რკინის ძმები“. აქ ავტორს თემათ აღებული აქვს ლეჩხუმის აჯანყება. მაგრამ საქმეს აფუჭებს გადაჭარბებულად პათეტიური ტონი და აღწერის მანერა. აგრეთვე ავტორი არ იძლევა ნათელ სურათს, თუ რა სოციალური და ეკონომიური მოტივები ახელმძღვანელებდა აჯანყებულ სოფლებს. მკითხველი ამას გეგულობს მხოლოდ მომქმედ პირთა დეკლარატიული განცხადებიდან აქა-იქ. ავტორს არ ემარჯვება აგრეთვე ხალხის, მასის, კოლექტივის ფსიქოლოგიისა და სულისკვეთების გადმოცემა. ამიტომ ხშირად პოლუმორფიზმის მოთხრობებში ხალხი ძალიან წააგავს ოპერის სტატიტებს, ხოროს.

საერთოდ ავტორს სჭირდება დაკვირვებული და სისტემატიური მუშაობა. ეხლანდელი მოთხრობები ხშირად ნაჩქარევად გაკეთებულის შთაბეჭდილებას სტოვებენ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სარეცენზიო წიგნი შესავალია ელიზბარ პოლუმორფიზმის მომავალი საინტერესო და ნაყოფიერი მუშაობისა.

ჩვენ ვუსურვებთ ავტორს წარმატებას და გამარჯვებას.

— : —

ლიტერატურული ცხოვრება

საქართველო

საბჭოთა მწერლების ფედერაციაში

= მწერალთა ფედერაციის საბჭოს პლენუმი. 27 ოქტომბერს ხელოვანთა სასახლეში შესდგა საბჭოთა მწერლების ფედერაციის საბჭოს პლენუმის სხდომა. პლენუმმა მოისმინა ფედერაციის ყურნალ „ქართული მწერლობა“ რედაქციის მოხსენება განვლილი მუშაობის შესახებ. მოხსენებამ ცხოველი კამათი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. არჩეულია კომისია, რომელმაც საბჭოს პლენუმის შემდეგ სხდომას უნდა მოახსენოს რეზოლუცია „ქართ. მწერლ.“ მუშაობის შესახებ. პლენუმმა მოისმინა და დაამტკიცა საბჭ. მწ. ფედერაციის ახალი წესდება. პლენუმმა განიხილა აგრეთვე ზოგიერთი მიმდინარე საკითხები: საბჭოში ახალი წევრების მიღების შესახებ და სხვ.

= მასებთან დაახლოებისათვის. ყურნალ „ქართული მწერლობის“ რედაქციამ დაადგინა ახლო მომავალში მოწვეულ იქნას „ქართული მწერლობის“ თანამშრომელთა და მკითხველთა ყრილობა; რედაქციამ დაადგინა აგრეთვე ჩაატაროს ტფილისის მუშათა კლუბებში „ქართულ მწერლობის“ საღამოები რომელზედაც დამსწრეები გამოსთქვამენ აზრს როგორ საღამოზე წაკითხულ ნაწარმოებთა შესახებ, ისე საერთოდ ყურნალის შესახებაც.

= ჩვენი ყურნალის „ქართულ მწერლობის“ მორიგი ნომერი მიძღვნილი იქნება ე. ნინოშვილის და ან. ფურცელაძის ხსოვნისადმი.

= გ. წერეთლის რჩეული პუბლიცისტური ნაწერების სახელგამი სცემს გ. წერეთლის რჩეული პუბლიცისტური ნაწერების წიგნს. წიგნი გამოვა სიმონ ხუნდაძის რედაქციით და წინასიტყვაობით.

= ეგნატე ნინოშვილის დაბადების 70 წლის თავი. ა.წ. 18 დეკემბერს სრულდება 70 წელი ეგნატე ნინოშვილის დაბადებიდან. საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციამ გამოჰყო კომისია, რომელსაც დაევალა პროგრამის გამომუშავება ამ დღის აღსანიშნავად.

= გ. წერეთლის გარდაცვალებიდან 30 წლის თავი. 1930 წ. 27 იანვარს სრულდება 30 წელი გიორგი წერეთლის გარდაცვალებიდან. საბჭოთა მწერლების ფედერაციამ ამ დღის პროგრამის გამოსამუშავებლათ გამოჰყო კომისია.

= აკაკი წერეთლის გარდაცვალების 15 წლის თავი. 1930 წ. 28 იანვარს სრულდება 15 წელი აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან. მწერალთა ფედერაციის მიერ გამოყოფილია ამ დღის ჩამტარებელი კომისია.

ე. ნინოშვილის, აკ. წერეთლის, და გ. წერეთლის ხსოვნის აღსანიშნავათ გამოყოფილმა კომისიამ უკვე მიმართა სახელგამს, გამ. „შრომას“ გამომც. „ქართულ წიგნს“ რათა მათაც მიიღონ მონაწილეობა ამ საქმეში (მათი ნაწერების ან მათ შესახებ შრომის გამოცემით).

= მწერალთა დაახლოება მუშათა მასებთან. მწერალთა ფედერაცია და პროფკავშირთა კულტგანყოფილება იმუშავებს გეგმას საბჭოთა მწერლების მუშათა მასებთან დასახლოებლათ (სალამოების მოწყობა კლუბებში და სხვ.).

= განუწყვეტელ კვირაზე გადასვლა. მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმმა უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა: რათა ნუშაობა ფედერაციაში გადაყვანილ იქნას განუწყვეტელ კვირაზე.

= გრიბოედოვის სახ. მუზეუმი. ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა ტფილისში მოაწყოს გრიბოედოვის სახ. მუზეუმი. მუზეუმი ნოთავსებული იქნება გრიბოედოვის სამარესთან ახლო მდებარე სახლში. განათლების განყოფილებას დაევალა შეადგინოს საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა და გეგმა.

= ახალი პიესა. პროლეტ პროტმა ი. ლისაშვილმა დასწერა პიესა: „გარდატეხა“; დრამა 4 მოქმედებად, მენშევიკების დროის ყოფა-ცხოვრებიდან. პიესა გიდაეცა დასადგმელათ კ. მარჯანიშვილის თეატრს.

= მწერლები წარმოებებში. საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმმა დაადგინა რამდენიმე მწერალი მიავლინოს სხვადასხვა წარმოებებში, რომელთაც დაევალებათ გაეცნონ მუშათა და გლეხთა ყოფა ცხოვრებას და დასწერონ ნარკვევები.

= ოქტომბრის დღესასწაულებისათვის. საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმმა დაადგინა ოქტომბრის დღესასწაულებზე მოეწყოს ხელოვანთა სასახლეში საზეიმო საღამო. საღამოზე წარმოთქმულ იქნება სიტყვები, პოეტები წაიკითხავენ რევოლუციონურ ლექსებს.

საღამოში მონაწილეობას მიიღებს მწერლობის მთელი აქტივი.

= ალიო მამაშვილის პოემები. სახელგამმა გამოსცა პროლეტარული პოეტის ალიო მამაშვილის პოემების წიგნი.

= კლასიკოსების გამოცემა. საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობასთან დაარსდა კლასიკური მწერლობის სექცია, რომლის მიზანია დაამუშაოს და დაამზადოს გამოსაცემად კლასიკური მწერლობა. სექციამ განიხილა გეგმა რომლის მიხედვით სამეცნიერო-საგამომცემლო მუშაობა დაყოფილი იქნება ოთხ დარგათ: 1) ხალხური ლიტერატურა, 2) ძველი მწერლობა, 3) ახალი მწერლობა (მე-19 საუკ.) და 4) უცხოეთის და რუსეთის კლასიკური მწერლობა.

= ნოტები. სახელგამმა გამოსცა კომპოზიტორ დ. არაყიშვილის რომანსების ნოტები.

= დრამატურგთა და კომპოზიტორთა მოსკოვის საზოგადოების (მოდპიკ) ტფილისის ბიურომ შუამდგომლობა აღძრა რათა ტფილისში დაარსდეს აღნიშნულ საზოგადოების განყოფილება.

მოდაიკის ტფილისის ბიურომ წარგზავნა თავისი წარმომადგენლები სამხატვრო საბჭოებში: კინოში—კ. მიქაბერიძე, რუსთაველის თეატრში შ. დადიანი, ოპერაში—დ. არაყიშვილი.

= ახალი ტარიფები. მთავარ ხელოვნების კოლეგია ამუშავებს ახალ ტარიფებს დრამატურგებისა, კინო-სცენარისტებისა და კომპოზიტორთათვის.

= პიესა სვანეთის ცხოვრებიდან. სიმონ სიქოვანი და სერგეი ტრეტიაკოვი სწერენ ახალ პიესას სვანეთის ცხოვრებიდან. პიესაში ნაჩვენებია იქნება ძველი და ახალი ყოფის შეხლა სვანეთში.

= ახალი საბავშო პიესა. სიმონ ჩიქოვანმა და კ. ლორთქიფანიძემ დაამთავრეს ახალი საბავშო პიესა „პირველყოფილი ბავშვის ცხოვრება“. პიესას მიმდინარე სეზონში დასდგამს მოზარდ-მაცურებელთა თეატრი.

= დემნა შენგელიას წიგნი. სახელგამ მაგიილო დასაბეჭდათ დემნა შენგელიას მოთხრობათა კრებული „ცხრა თვალი“.

= მხატვართა გამოფენა ოქტომბრის მე-12 წლის თავისათვის. ოქტომბრის რევოლუციის მე-12 წლის თავის აღსანიშნავად საქართველოს მხატვართა სმზოგადოება მართავს თავის მორიგ გამოფენას. გამოფენა გაიხსნება „ორიანტის“ შენობაში.

თეატრი და კინო

= რუსთაველის თეატრის სეზონის გახსნა. 28 ოქტომბერს კირშონის პიესით „ქართა ქალაქი“ (დადგმა ალ. ახმეტელის, მხატვარი ირ. გამრეკელი) გაიხსნა რუსთაველის თეატრის 1929—30 წ.წ. სეზონი, პიესაში გადმოცემულია პროლეტარიატის განმათავისუფლებელ ბრძოლის ერთ-ერთი გმირული ეპიზოდი. იგი აგებულია ბაქოს „26 კომუნარის“ დახვრიტის ფაქტზე. წარმოდგენას ხალხი დიდი ინტერესით შეხვდა. მთავარ როლებს ასრულებდენ: ა. ხორავა, ა. ვასაძე, გ. დავითაშვილი.

= ოპერის სეზონის გახსნა. 1 ნოემბერს მ. ბალანჩივაძის ოპერით „თამარ ცბიერი“ იხსნება ოპერის და ბალეტის სახელმწიფო თეატრი. ოპერა მიდის განახლებული დადგმით, ალ. წუწუნავას რეჟისორობით.

= კ. მარჯანიშვილის თეატრი. ქუთაისის კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სეზონი გაიხსნება 16 ნოემბერს; დაიდგმება „ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ“.

= სოხუმის ქართული დრამა. წელს სოხუმის ქართული დრამის დასში იმუშავებენ: ც. ამირეჯიბი, ე. ანდრონიკაშვილი, შ. სიხარულიძე, თ. ქუთათელიძე, ო. შენგელია, ნიკო გვარაძე, ტ. გაგუა, ილ. ჯუღელი და სხვ. რეჟისორად მიწვეულია ვ. გარრიკი.

= ბაქოს ქართული დრამა. წელს ბაქოს ქართულ დასში იმუშავებენ: გ. ფრონისპირელი, არეთა ლოლუა, ა. შოთაძე, გ. გორდაძე და სხვ. დალი უკვე შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას. სეზონი გაიხსნება 1 დეკემბერს.

= ამ უამად მიმდინარეობს თეატრის შენობის შეკეთება, რომელსაც აწარმოებს ბაქოს ქალაქის აღმასკომი. ქართული დრამის სეზონის ხარჯების დასათვარავად აზერბეიჯანის სახალხო კომისარიატმა გადასდო 7.000 მან.

= პიონერთა ოპერა. ქუთაისის ნორჩ-პიონერთა საოლქო ბიუროს ინიციატივით, ქუთაისში მოეწყო პიონერთა ოპერის თეატრი. თეატრს ხელმძღვანელობენ ქუთაისის აკადემიური თეატრის მთავარი რეჟისორი კ. მარჯანიშვილი და ქუთაისის მუსიკალური ტექნიკუმის გამგე ი. აბაშიძე. პიონერთა ოპერის თეატრში მისაღებათ დანიშნულ გამოცდებზე გამოცხადებული 200 პიონერიდან მიღებულ იქნა 85 პიონერი.

= შუამდგომლობა. ხელოვნების მთავარ მმართველობის კოლეგიამ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ცაკის წინაშე რათა ვალერიან გუნიას და გ. ჯაბაურას მიენიჭოთ დამსახურებულ მსახიობთა სახელწოდება.

= სახალხო არტისტი. ხელოვნების მთავარ მმართველობის კოლეგიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა: აღძრას შუამდგომლობა საქართველოს

ცაკის წინაშე, რათა კომპოზიტორ დ. არაყიშვილს მიენიჭოს სახალხო არტისტი სახელწოდება.

= კერძო საცეკვაო სკოლების დახურვა. ხელოვნების მთ. მმართველობამ დაადგინა მთელ რესპუბლიკაში დაიხუროს კერძო ხასიათის საცეკვაო სკოლები.

= თეატრი „მსუბუქი კავალერია“. ხელოვნების მუშაკთა კლუბთან მოეწყო სატირის თეატრი „მსუბუქი კავალერია“. თეატრის რეჟისორათ მოწვეულია შოთა მანაგაძე, მხატვარი—სანაძე.

= მუშა-ახალგაზრდობის თეატრი. ხელოვნების მთ. სამმართველომ დაამტკიცა მუშა-ახალგაზრდობის თეატრის დაარსების პროექტი.

= მოზარდ-მაყურებელთა თეატრი. 1 ნოემბერს პიესა „ეშმაკით“ გაიხსნა ტფილისის მოზარდ-მაყურებელთა თეატრი.

სომხეთი

= ამხ. მრავიანის გარდაცვალება. 23 ოქტომბერს, ერევანში გარდაიცვალა სომხეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სომხეთის განათლების სახალხო კომისარი ამხ. ასკანას მრავიანი. მისი გარდაცვალების გამო სამძიმრის დეპეშები გაუგზავნა სომხეთის სახკომსაბჭოს საქართველოს მთელმართველმა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა დაწესებულებებმა. სამძიმრის დეპეშა გაუგზავნეს აგრეთვე საქ. პროლეტარულმა ასოციაციამ და საქ. საბჭოთა მწერლების ფედერაციამ.

= ამიერ-კავკასიის ერთა კულტურული კავშირი. ერევანში სომხეთის პროფგანათლების მთავარ სამმართველოს ინიციატივით, 28 ოქტომბერს კულტურის სახლში საქართველოს განათლების კომისარმა ამხ. კანდელაკმა და საქართველოს უნივერსიტეტის პრორექტორმა ამხ. ნუცუბიძემ, რომელნიც ამხ. მრავიანის დასაფლავებაზე დასასწრებლად იყვნენ ჩამოსული, გააკეთეს მოხსენება საქართველოს კულტურული მშენებლობის შესახებ. მოხსენებას დაესწრნენ სომხეთის უნივერსიტეტის და ამიერ-კავკასიის სიბეითლო ინსტიტუტის პროფესორისა და სტუდენტობის წარმომადგენლები, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელი მოხსენებამ გამოიწვია აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს პროფესორებმა ამხ. ღამბარიანმა, კეჩეკმა, ნავაკათიკიანმა, აბოვიანმა და სომხეთის პროფგანათლების სამმართველოს გამგემ ამხ. მუშელიანმა. ორატორები შეეხნენ საბჭოთა სომხეთის კულტ-მშენებლობის საკითხებს და აღნიშნავენ, რომ ამ დარგში უნდა ხდებოდეს გამოცდილების გაცვლა-გამოცვლა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის.

— : —

შეცდომის გასწორება: სიმონ ჩიქოვანის ლექსში გვ. 23. ზევიდან მე-18-ე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს: „და თქვენზე მსჯავრნი თუ არ დამეხსნენ“.